K 251276
3

ვახტანგ ითონიშვილი

ნარკვევები არაგველთა ისტორიიდან

თბილისი – 2006

1-88023
3

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ვახტანგ ითონიშვილი

ნარკვევები არაგველთა ისტორიიდან

თბილისი – 2006

ეროვნული ბიბლიოთეკა

უაკ(UDC)947.922:39
ი409

ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკურ-ონომასტიკური ძიების საფუძველზე ნარკვევებში განხილულია საარაგვოს მმართველობის სისტემა, ქართველ მთიელთა ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან და ფეოდალურ ზედაფენასთან და ცალკეული ეპიზოდები საარაგვოს ისტორიიდან. ამასთან ერთად, კრიტიკულადაა შეფასებული სხვადასხვა ეპოქის მკვლევართა შეხედულებები. წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერიან ითონიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი;
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ხათუნა იოსელიანი

K251276

წიგნი გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე“.

სკეგ-2006
შემოწმებული

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარინა ბუტიკაშვილი
ლელა ჯაფარიძე

©ვახტანგ ითონიშვილი
ISBN 99940-58-66-5

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ი 181
2006

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. არაგვის საერისთავოს მმართველობის ისტორიიდან

ბარისა და მთიანეთის ზონების მიხედვით არაგვის საერისთავოში განსხვავებული იყო სამეურნეო-კლიმატური პირობები და ამის შესაბამისად წოდებრივი იერარქიაც. ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, აქაც სოციალური დიფერენციაციის პროცესი პირველ ყოვლისა ბარის ზონაში განვითარდა და აქ მოხდა პრივილეგიური ფენის ჩამოყალიბებაც. იგულისხმება ფეოდალური წყობის ფორმირება და ერისთავის ტიტულში აღზევება, რაზედაც წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური კვლევა-ძიების შედეგები.

დ. გვრიტიშვილის გამოკვლევის მიხედვით, პირველი ცნობა არაგვის ერისთავების შესახებ გვხვდება 1398 წლის მცხეთის გუჯარში, რომელშიც იხსენიება მიქაი შაბურისძე ერისთავი. 1433 წლით დათარიღებულ გერგეტის სამების „სულთა მატიანეშიც“ ჩაწერილია შაბურისძე ერისთავები, როგორც არაგვის საერისთავოს გამგებლები[1]. დ. გვრიტიშვილის მიერ დამოწმებულია XV საუკუნის კიდევ ორი საბუთი. ერთი მათგანის მიხედვით, რომელიც თარიღდება 1465 წლის 23 აპრილით, ვამიყ შაბურისძე „საკანონოდ“ მცხეთას მამულს სწირავს. მეორე საბუთში – ბოლნისის მონასტრის გუჯარში (1474 წლის 24 ივნისი) არაგვის ერისთავად იხსენიება შაბურიშვილი, რომელსაც „ჭერია დაბალი საერისთაო“. დამოწმებული დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ XII-XV საუკუნეებში არაგვის ერისთავები შაბურისძეები იყვნენ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მათი საერისთავო მოიცავდა არა მთელი არაგვის ხეობის ტერიტორიას, არამედ მხოლოდ მის ქვემო მხარეს –

[1] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარის ზონას, რომელსაც შესაბამისად ეწოდებოდა „დაბალი საერისთავო“[2].

ზემოთქმულისაგან განსხვავებით ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებდა, რომ ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპრების გაბატონებამდე არაგვზე ერისთავებად იჯდნენ არა შაბურისძენი, არამედ თექთურმანიძე და ჭარმეული, რომელთა ამოწყვეტის შემდეგ არაგვის ხეობაში ნუგზარ ერისთავის წინაპრები გაბატონდნენ. დ. გვრიტიშვილი იმოწმებს აგრეთვე „ქამთააღმწერლისა“ და ბერი ეგნატაშვილის ცნობებს და დაასკვნის, რომ XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დამდეგს არაგვის ერისთავებად შაბურისძეები ყოფილან[3]. მისივე შეხედულებით, XVI საუკუნიდან მდგომარეობის გართულებით ისარგებლეს ნუგზარ ერისთავის წინაპრებმა – პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებმა აზნაურებმა და ოსებისა და ქსნის ერისთავების დახმარებით არაგვის ხეობაში გაერისთავდნენ[4].

ბუნებრივია, რომ არაგვის საერისთავოში მომხდარიყო ერისთავებისადმი დაქვემდებარებული აზნაურებისა და სხვა მოხელეთა (ბოქაულთუხუცესები, მოურავები თუ სასულიერო პირები) ფორმირება. ისინი უმთავრესად საერისთავოს ბარში იმყოფებოდნენ, განსხვავებით მთიანეთისაგან, სადაც ადგილობრივი წარმოშობის არამც თუ თავადი, არამედ აზნაურიც კი არ მოიძებნებოდა. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ხევი, სადაც აზნაურული გვარი გაჩნდა ჩოფიკაშვილების ერთ-ერთი განშტოების ყაზბეგის სახით. არსებული დოკუმენტების მიხედვით საერისთავოს მთიანეთში მხოლოდ ბარიდან ასული თითო-ოროლა აზნაური თუ ფიგურირებდა.

---

[2] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.
[3] იქვე, გვ. 88.
[4] იქვე, გვ. 95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის საერისთავოში მოქმედი აზნაურები ერისთავის ან სამეფო ხელისუფლების დავალებითა და რეკომენდაციით ასრულებდნენ თავის მოვალეობას. ისინი მონაწილეობდნენ უმთავრესად მოსახლეობაში წარმოქმნილი სადავო საკითხების მოგვარებაში ადგილობრივი მოურავების, ბოქაულთუხუცესების თუ სასულიერო პირების დახმარებით. სამაგიეროდ ეს აზნაურები უზრუნველყოფილი იყვნენ მამულებითა და ყმებით. სამსახურის შეუსრულებლობისა და უკანონო ქმედების შემთხვევაში ნებისმიერი აზნაური კარგავდა მინიჭებულ უფლებებს და პრივილეგიურ მდგომარეობას.

იმის შესახებ, თუ საერისთავოს მართვა-გამგეობაში როგორ იყო განაწილებული ფუნქციები, ვინ რა მოვალეობის შესრულებაზე იყო პასუხისმგებელი და ვინ სარგებლობდა საბოლოო გადაწყვეტილების უფლებით, ჩანს სხვადასხვა ეპოქის დოკუმენტებიდან. ეს დოკუმენტები გვაცნობენ უმთავრესად არაგვის საერისთავოს გაუქმებისა და საუფლისწულოდ მისი გარდაქმნის (1743) შემდგომ ვითარებას, როდესაც ნებისმიერი სადავო საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა მეფის ან უფლისწულის რეზოლუციით.

ქრონოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით პირველ რიგში შეიძლება დავიმოწმოთ 1775 წლის 8 მაისს შედგენილი დოკუმენტი – „არზა ადამ ყარანგოზიშვილის მამულის თაობაზე ერეკლე მეორის ოქმით“[5], რომელშიც წერია: ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ადამ ყარანგოზიშვილსა.

მთიულეთში ერთი კომლი კაცი თქვენი მტერი ამოგვიწყდა და იმისი მამული ივანე ბურდულს მივაბარე ამ პირობით: იმ მამულის გამოსავალი წელიწადში ნახევარი ჩემთვის უნდა მოეცა; არც ნახევარი მოსავალი მომცა და არც მამულს მანე-

---

[5] ქართული სამართლის ძეგლები, ი. **დოლიძის** გამოცემა, ტ. VII, თბ., 1981, გვ.287-288.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს. ამას მეუბნება: ბატონმა მე მიბოძაო. აზნაურშვილები გახლანან აქა, ღმერთი და თქვენი მზე აფიცეთ, თუ ჩემი იყოს, წყალობა მიყავით. თითონ მთიანეთის მოურავიც აქ გახლავსთ; და თუ ის სახასო იყოს ან ბეითალმანი იყოს, ნება თქვენია, ვისაც გინდა იმას უბოძეთ. ბატონიშვილის გიორგის ოქმი მოვიტანე, მაგრამ ავათ მომეპყრა და ცემაც მიქადა და შიგ არ გამატარა. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს".

ერეკლე მეორემ არგის კიდეზე წააწერა: ქ. ვინცავინ ამის მეცნიერნი იყვნეთ არაგველნი გლეხნი თუ აზნაურნი აქ მყოფნი, ღმერთს გაფიცებთ რომ ჭეშმარიტი მოგვახსენოთთ"... მეფის თხოვნა დააკმაყოფილეს საქმეში ჩახედულმა მოწმეებმა:

„ქ. ბედნიერს კელმწიფეს ამის ჰაღიღათი ეკითხა. მე, მთიულეთის მოურავის ძმა ნიკოლაოზ, ჭეშმარიტს მოვაკსენებ: ის მამული ადამისაა მამა-პაპით და ამისმა მამამ მიაბარა იმ კაცს.

ქ. გუდამაყრის მოურავი სახლთხუცის ბიძაშვილი ნიკოლაოზ მოვაკსენებთ: რაც ადამს მოუკსენებია, ჭესმარიტია, რომ ღმერთსაც ვფიცავ და შენს მზესაცა."

დამოწმებული დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სამართალწარმოების შესახებ, რისი საფუძველიც იყო საადგილმამულო დავა, სახელდობრ აზნაურ ადამ ყარანგოზიშვილის მამის მიერ მთიულეთის მკვიდრის ივანე ბურდულისათვის სანახევრო სარგებლობის პირობით მიცემული მამულის მითვისების მცდელობა.

ზემოხსენებული არზა არაერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის შემცველია:

1. არზაში ხსენებული მთიულეთი და გუდამაყარი საუფლისწულოში შემავალი ტერიტორიული ერთეულებია, რომლებშიც ყოველგვარ საქმიანობას და მათ შორის საადგილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულო ურთიერთობას აწესრიგებენ აღნიშნული კუთხეების მოურავები, ხოლო მათზე კონტროლს ანხორციელებდა მეფე ან უფლისწული. საადგილმამულო დავის მოწესრიგებისათვის საჭირო მონაცემების მოძიებაც მოურავების კომპეტენციას შეადგენდა, რომელზე დაყრდნობითაც ხდებოდა მეფის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. დოკუმენტის მიხედვით მოურავები წოდებრივად აზნაურიშვილებს წარმოადგენდნენ, რომლებთან ერთად მოხსენიებულ თიანეთის მოურავსაც გარკვეული როლის შესრულება ხვდა წილად, როგორც საადგილმამულო დავის მხილველსა და, ამდენად, მოწმეს.

2. მოდავე ადამ ყარანგოზიშვილთან და თიანეთის მოურავთან ერთად დოკუმენტში მოწმეებად ფიგურირებენ სოციალური ზედაფენის წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილი პირები: მთიულეთის მოურავის ძმა ნიკოლაოზი და გუდამაყრის მოურავი, სახლთუხუცესის ბიძაშვილი ნიკოლაოზი. მათი დასტური ადამ ყარანგოზიშვილის სამართლიანი ჩივილის შესახებ მეფისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ მიზანშეწონილად ეცნო მოჩივარისთვის მამულზე საკუთრების უფლების შენარჩუნება.

3. მთიულეთი როგორც საუფლისწულოს ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი, იმ დროისათვის გიორგი ბატონიშვილის საგამგებლოს წარმოადგენდა. მთიულეთში არსებული სახასო, ბეითალმანი, ნასყიდი თუ ნაწყალობევი მამულები სამეფო ხელისუფლების ხელში იყო, მაგრამ ადგილობრივ აზნაურებსაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში აზნაურ ყარანგოზიშვილებს, თავისი მიწები ჰქონდათ, რაზედაც მჯდარან მეფისადმი ერთგული სამსახურის სანაცვლოდ.

4. ყარანგოზიშვილებს ჰყავდათ ყმა გლეხებიც, რომლებიც მიცემული მამულებით სარგებლობდნენ. დოკუმენტიდან გამოჩნდა, რომ ამოწყვეტილი ყმის ბეითალმანად დარჩენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამული აზნაურის მფლობელობაში რჩებოდა, რომლით სარგებლობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი გარკვეული პირობით სხვაზე გაცემა, მის კომპეტენციაში შედიოდა. სწორედ ასეთ მამულზე დავას ეხება არზა, რომელიც შეთანხმების პირობის დარღვევას და მოწმეების ჩვენების საფუძველზე მეფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გვაუწყებს.

5. ივანე ბურდული სოციალური მდგომარეობით გლეხია, მაგრამ, როგორც ჩანს, „გაბუდაყებული" (თავგასული). მისი ქმედება აშკარად შეესაბამება მთიანეთისათვის დამახასიათებელ ვითარებას, ე.ი. გლეხის გაბედულ თვითნებობას, აზნაურისადმი დაუმორჩილებლობას, რაც წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო საუფლისწულოს ბარის ზონისათვის.

ადამ ყარანგოზიშვილის დავა მის სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ ხსენებული აზნაურის საადგილმამულო ბრძოლა ამითი არ დასრულებულა. სხვა დოკუმენტებიდანაც ჩანს, რომ მას მეფისა და უფლისწულთათვის რამდენიმე სხვა საჩივრითაც მიუმართავს. 1776 წლის 17 სექტემბერს დაწერილი ერთ-ერთი ასეთი საჩივარი ცნობილია სახელწოდებით – „არზა ადამ ყარანგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე მეორის ოქმით"[6]. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ყარანგოზიშვილს ადამს. სანატრელის ბატონისშვილის ვახტანგისაგან სამი საკომლო მამული გვაქვს ნაბოძები. მანამ მამაჩემი ცოცხალი გახლდათ, იმ მამულის მცილე და მოდავე არავინა გვყუანდა. მამაჩემი რა ჭირის სანაცვლო გაგიხდათ, არაგვის აზნაურიშვილებმა ჩემზედ შური იძიეს. ჯერ ბატონისშვილს გიორგისთან დამაბეზღეს, ამას ამდონი მამული უჭირავსო, ბატონისშვილმა ნახა, რომ თავის ძმის ნაბოძები იყო, ამანაც მევე მიბოძა. ახლა ბატონიშვილ ლეონთან მაბეზღებენ, უნდათ, რომ ბატონის-

---

[6] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 352-353.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის ვახტანგის წყალობა მომიშალონ. საბრალო მამაჩემი იყო თქვენი მლოცველი და მე ვარ; და ერთი რამ დანაშაული არა მაქვს რა; რაც ჩემგან შეიძლება სამსახურსა ვცდილობ. დიდად გევედრებით: ან თქვენ და ან ბატონისშვილმა მტრის ენით არ შემიბეზღოთ და კურთხეულის ბატონისშვილის ვახტანგის მოწყალება არ მომიშალოთ. თქვენი რძალია მოწამე და ელიზბარ მოლარეთუხუცესი, რომ ბატონიშვილის ნაბოძებია და ნება თქვენია... თქვენს რძალს და მოლარეთუხუცესს ღმერთი და თქვენი მზე აფიცეთ, თუ ტყუილი მომეხსენებინოს, დიდათა ვტყუი და გარდამახდევინეთ".

არზის კიდეზეა ერეკლე მეორის მინაწერი: „ქ. მოლარეთუხუცესო ელიზბარ! ღმერთს გაფიცებთ, თუ ჩვენი შვილი ვახტანგ გიყვარდეს, ღმრთის წინაშე ჭეშმარიტებით მოგვახსენე, ეს მამული ჩვენმა შვილმა ვახტანგ უბოძა თუ არა"...

როგორც ამ არზიდან შეიძლება წარმოვიდგინოთ, ჯერ ადამის მამა, ხოლო შემდეგ თვით სახასო აზნაური ადამი მეფის სამსახურში ერთგული ყმის რეპუტაციით სარგებლობდა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ სამსახურის სანაცვლოდ ადამის მამას ვახტანგ ბატონიშვილმა უწყალობა სამი საკომლო მამული, რაც მემკვიდრეობით ადამს გადაეცა. ამას ერთგვარად შეუშფოთებია შურიანი აზნაურები, მაგრამ გიორგი ბატონიშვილთან მათმა ცრუ ბეზღობამ არ გასჭრა და გიორგიმ თავისი ძმისგან ნაბოძები მამული ადამის საკუთრებად სცნო. დაპირისპირებული აზნაურები არ დამცხრალან და ახლა უკვე ლევან ბატონიშვილთან ცდილან ადამის განქიქებას. მდგომარეობის გართულების მოწმე ადამი იძულებული გამხდარა მეფისთვის მიემართა, რათა ლევანი მისი მტრების ენას არ აჰყოლოდა და უსამართლოდ არ მოჰქცეოდა. მოწმეების დასახელებაც მას სიმართლის დამტკიცებისთვის დაჭირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამ ყარანგოზიშვილის ამგვარი გადაწყვეტილება იმის მაჩვენებელია, რომ საუფლისწულოს უშუალოდ უფლისწული განაგებდა და ვითარების შესაბამისად გადაწყვეტილებასაც ის ღებულობდა, მაგრამ უფლებრივი უზენაესობა ეკუთვნოდა მეფეს, რომლის განჩინებასაც უნდა დამორჩილებოდნენ როგორც მოდავე მხარეები, ისე თვით უფლისწულიც. ამ შემთხვევაში დავა ადამის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, ვინაიდან ერეკლემ საკმარისად ჩათვალა სახლთუხუცესის ცნობა, რომ ეს მამული მისი შვილის ვახტანგის მიერ იყო ნაბოძები.

საადგილმამულო ურთიერთობაში განმსაზღვრელი იყო არა იმდენად მოწმეთა ზეპირი განმარტება, რამდენადაც პირველ რიგში მამულის მიკუთვნების დოკუმენტი. ნათქვამის დამადასტურებელია 1776 წლის 1 დეკემბერს დაწერილი „არზა ადამ ყარანგოზიშვილისა მამულის თაობაზე ლევან ბატონიშვილის ოქმით“[7]:

„ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის მეფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს მათს მონას ადამ ყარანგოზიშვილს.

ჩვენს მოწყალეს კელმწიფეს ამას მოვახსენებთ: რაც თქვენი მოწყალება არა მჭირს, იმას გარდა ჩემი სარჩო არა არის რა. მამასა და პაპასაც თქვენი სახასო სჭერიათ და მეც თქვენი წყალობა ისი მაქვს. თქვენი სახასო ბეითალმანი ორი საკომლო ყუაგოლში მიჭირავს – ერთი სარემაულსა და მეორე გოჭიშვილს, ერთი დუშეთსა სულიკაშვილისა და ერთი ბაზალეთსა და ამითა ვრჩები.

მამის თქვენის წყალობაც მჭირდა და კურთხეულის თქვენის ძმისაცა. ახლა ბეითალმანად დაწერეს და მოგახსენეს. თუ ესენი გამომერთვა, მოგეხსენებათ, რომ ჩემი რჩომა სხვით არათი იქნება.

---

[7] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 358-359.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას გევედრებით ჩემო მოწყალევ ქელმწიფევ, რომ ეს არ მომეშალოს, რომ მეც დავრჩე და თქვენც გმსახურო“...

არგის თავში ლევან ბატონიშვილის მინაწერია:

„ქ. ბატონიშვილი ლეონ გიბრძანებ ამ არგის პატრონო! მერმე თუ ბატონისა და ან კურთხეულის ჩვენის ძმის წიგნი გაქვს, ის წიგნი ჩვენ უნდა გვაჩვენო, არც ჩვენგან მოგეშლება, ჩვენ ვისაც ან ბატონის და ან ჩვენის ძმის წყალობა სჭირვებია, იმისი ბეითალმანად დაწერა არ გვიბრძანებია და არც შენ მოგეშლება. მაგრამ ვისიც წიგნი გაქვს, ჩვენ უნდა ვნახოთ... და ან უწინდელის ერისთავების ვისგანმე წიგნი გქონდეს, გვაჩვენე, არც ის მოგეშლება“.

როგორც ლეონ ბატონიშვილის რეზოლუციიდან ჩანს, გადაწყვეტილების საფუძველი იყო მამულზე კუთვნილების დოკუმენტი, რომლის წარდგენა მომჩივარის დაკმაყოფილების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მომჩივარის მტკიცებულება ძალაში ვერ შევიდოდა და საკითხი ღიად დარჩებოდა. საფიქრებელია, რომ თვით მოწმეთა ჩვენებაც, რაც ამ საჩივარში ფიქსირებული არ არის, იურიდიულ საფუძველს ვერ შექმნიდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის.

საბოლოოდ როგორი გადაწყვეტილება მიიღო ლეონ ბატონიშვილმა, ზემოხსენებული არგიდან არ ჩანს, მაგრამ, როგორც ჩანს, ადამ ყარანგოზიშვილმა თავისი სიმართლე მასთან წარდგენილი დოკუმენტებით დაამტკიცა. ამის საბუთად მიმაჩნია 1780 წლის 30 ოქტომბერს მიღებული „განჩინება ადამ ყარანგოზიშვილისა და გოგია გრიგოლაშვილის მამულის საქმეზე“[8], რომელშიც აღინიშნა: „მოწყალე ხელმწიფემ სხვათაც უბოძა თავთავეთი მამული და მეც წყალობა მიქმნია“.

---

[8] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. V, თბ., 1974, გვ 125-129

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარი წყალობის საფუძველზე გამართლებულ ადამ ყარანგოზიშვილს კვლავ აღუდგინეს „სადავო“ მამულებით სარგებლობის უფლება, მაგრამ მას ახლა სხვა პრობლემა გასჩენია, რომლის მოწესრიგება კვლავაც სამეფო ხელისუფლების კომპეტენციას შეადგენდა. როგორც ჩანს, არაგვის საუფლისწულოს გამგებლის დონეზე საკითხი ვერ გადაწყდა და მომჩივარმა ახლა უკვე ერეკლე მეორეს მიმართა 1781 წლის 6 სექტემბერს („არზა ადამ ყარანგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე მეორის ოქმით“)[9].

„ქ. ღმერთმან ბედნიერისკელმწიფის ჭირი მოსცეს ყარანგოზიშვილს ადამს. ქ. მოგეხსენებათ ავის დროის მიზეზით კახეთსა გხლებივართ და რაც არაგვზედ ჩვენი მამული იყო, თქვენ გვიბოძეთ და ოთხი საკომლო ჩვენი მამული მიბარებით გრიგოლაშვილს ეჭირა და აღარ გვანებებდა. სანატრელს ბატონიშვილთან ვიჩივლეთ შარშანს წინ, მსაჯულებიც იახლო და სამართალი გვიყო. და სამართლით ჩვენგან მიბარებული მამული ჩვენვე დაგვრჩა, რომ განაჩენი კელთ გვიჭირავს.

ქ. კიდევ ბატონიშვილის ოქმი გვაქვს შარშანდელის ღალისა, მაგრამ არ დამანება და წელსაც სამნი ძმები მომიხდნენ, თოფის იარაღით მოსაკლავათ იწიეს ჩემზედ, რაც იმათ მიყვეს, სირცხვილით რომელი ერთი მოგახსენო.

ქ. ჩემო კელმწიფევ, ერთის იასაულის წყალობა გვიყავით, ჩემი მამული და ღალა გამომირთოს. თუ სიტყუა აქვს კიდევ, სამართალში მელაპარაკოს.“ საჩივარს ახლავს ერეკლეს რეზოლუცია:

ქ. ჩვენი ბძანება არის მოურავის შვილო გოგიავ! მერე როგორც ამ არზით უთხოვნია, თავისი მამულის ღალა გამოურთვი და მოაბარე. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს.“

---

[9] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 520-521.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტი იმის მაუწყებელია, რომ მოჩივარმა საქმე აღძრა საუფლისწულოს გამგებელთან, მაგრამ ამ დონეზე გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო მან მიმართა მეფეს, რომელმაც სამართლიანი თხოვნის აღსრულება დაავალა მოურავს. ეს არგა კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ვითარებას, რომ ადგილობრივი განსჯის უშედეგოდ დამთავრების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობდა მეფე, რაც საკითხის შემდგომ განხილვას აღარ ექვემდებარებოდა.

ზემოაღნიშნული ვითარებისაგან განსხვავებით მამულის მიკუთვნების საკითხი ზოგჯერ უფრო მარტივად წყდებოდა. ეს ხდებოდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ორი მოდავე მხარე კი არ იყო დაპირისპირებული, არამედ პიროვნების თხოვნას საუფლისწულოს გამგებელი აღასრულებდა. ასეთი შემთხვევის დამადასტურებელია 1778 წლის 10 ივნისს დაწერილი „არგა ფირან შაბურიშვილისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით:“[10] „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს შაბურისშვილს ფირანს. მერე იმას მოგახსენებთ ჩვენს ხელმწიფეს: ერთი საკომლო მამული თქვენი სახასო ბუჩუკურას არის. მე საქმე არა მაქვს, რომ წყალობას გეევედრებით, რომ წყალობა დამმართოთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ“...

არგის თავში მიწერილია ლეონ ბატონიშვილის რეზოლუცია: „ბატონიშვილი ლეონ გიბრძანებ ბოქაულთუხუცესო ავთანდილ! მერე ამას წინათ რომ ამ მამულის ხელის ამართვა გიბრძანეთ, ის მამული ისევ ფირანსვე მიაბარე“.

დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ მთიულეთის სოფელ ბუჩუკურთაში არსებობდა სახასო მიწა, რომელსაც უფლისწულს სთხოვს მის სამსახურში მყოფი აზნაური ფირან შაბურიშვილი. მისი თხოვნის აღსრულებას უფლისწული ავალებს

---

[10] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 410-411

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ერთ-ერთ მოხელეს – ბოქაულთუხუცესს, რომლის მოვალეობას შეადგენდა უფლისწულის ბრძანების უყოყმანოდ შესრულება.

ანალოგიური შინაარსის მატარებელია უფრო ადრინდელი, 1773 წლის 25 აპრილს დაწერილი დოკუმენტი („არზა ჩრდილელისა მამულის თაობაზე ერეკლე მეორის ოქმით"[11], რომელიც გვაცნობს აზნაურ ჩრდილელის თხოვნას, რომ ერეკლე მეორემ მას მისცეს ბეითალმანად დარჩენილი წიკლაურის მამული არაგვზე, რაზედაც თანხმობა დადასტურებულია ერეკლეს ბრძანებით: „ბატონო არაგვის მოურავო! ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, თუ ერთი წინააღმდეგი და მოდავე არავინა ყვანდეს, ეს ბეითალმანი ამას მოაბარეთ, ამისთვის გვიბოძებია".

ერეკლეს გადაწყვეტილებიდან არა მარტო ის ჩანს, რომ საუფლისწულოში მიწების მფლობელია მეფე და ის ბეითალმანსაც იმას გადასცემს, რომელსაც ამის ღირსად სცნობს, არამედ ისიც, რომ მოურავისადმი დავალების აღსრულება ითვალისწინებდა მოდავე მხარის შესაძლებლობას. მოდავის არსებობის შემთხვევაში კი საკითხი განიხილებოდა მოწმეთა ჩვენების საფუძველზე.

არაგვის საერისთავოს გაუქმებამდე წყალობის გამცემის როლში ფიგურირებს ერისთავი, რომლის მფლობელობაშია საერისთავოს მიწები, ხოლო წყალობის სახით ყმებიანად მათი გაცემის საფუძველი იყო მთხოვნელის დამსახურება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა „1693 წლის 27 ივლისის ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი ერისთავის მიერ ელისბარ კობიას-შვილისადმი"[12]:

---

[11] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 231-232.

[12] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I (XV-XVIII სს.) **ნ. ბერძენიშვილის** რედაქციით, თბ., 1940, გვ. 91.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღუთისათა... ესე უკუნისამდე ქამთა გასათავებელი მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ და შეგიწყალეთ ჩვენ, ერისთავმან პატრონმან გიორგი, ბიძამან ჩვენმან დავით, ბოქოულთ-უხ-უცესმა ზურაბ, თეიმურაზ, ავთანდილ, ვამიყ, ხარჭაშნელმა გრიგოლ, თბილელმან ონოფრემ, ოთარმა და რევაზ, ედიშერ, თქვენ ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმას კობიას-შვილს ელისბარს და შვილთა თქვენთა გივსა, ავთან-დილს და ამირანს; – ასე რომე მამულის წყალობას გვეაჯე-ნით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გი-ბოძეთ დუშეთს გორზამისშვილი თანდილა, დემეტრე და გიორ-გი მისის სამართლიანის მამულითა დღეს რისაც მქონებელი იყოს, სახლითა, კარითა, ველით, ვენახით, მთითა, ბარითა, წყლითა და წისქვილითა, სახნავითა და სათიბითა, ქვევრითა და მარნითა, ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრით.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულათ სამსახურსა შინა. და ასე

გაგითავდეს და არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან. ვინც ეს ჩვენი წყალობა მოგიშალოს, რისხვამც ღმერთი“...

ეს დოკუმენტი მეფის რეზოლუციის გარეშეა შედგენილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ საერისთავოს უშუალოდ ერისთა-ვი განაგებდა, მიწების მფლობელიც ის იყო და წყალობის გა-ცემაც მის უფლებამოსილებაში შედიოდა. ამ მხრივ ანალოგიუ-რი ვითარების დამადასტურებელია ასევე არაგვის საერისთა-ვოს გაუქმებამდე დაწერილი „1723 წ. კომლების წყალობის წიგნი, მიცემული ოთარ არაგვის ერისთავის მიერ საამ კობია-შვილისადმი“[13]:

---

[13] დოკუმენტები საქართველოს..., გვ. 200.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქ... ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, არაგვის ერისთავმან პატრონმან ოთარ და ძმამან ჩემმან ბარძიმ, სახლთ-ხუცესმან თეიმურაზ, ედიშერ, რევაზ, ომან, უთრუთ, პაპუამ, ქაიხოსრომ, მამუკამ, აბელ, ბაღათარ, ზაალ და დათუამა შენ, კობიაშვილს საამს და შვილსა შენსა ზურაბს, იოსებს, გიორგის და იოთამს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; ასე რომ წყალობას გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ მლაშეს სამი კომლი ერთი ფიტკვირაული, იმისი ძმა დათუნა, შვილი მახარე, მეორე ერეჩაშვილი ბერი, იმისი ძმა თამაზა, მესამე კანატიელის მამული; იმაზე სახლობს მახარაშვილი შუშანა, იმისი ძმა თამაზა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შიგან. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა ჩვენთა შემდგომთა მეპატრონეთაგან“...

საუფლისწულოდ გარდაქმნილ საერისთავოში მეფის ან უფლისწულის კომპეტენციაში შედიოდა სასისხლო საქმის განსჯაც, რაზედაც წარმოდგენას გვიქმნის 1752 წლის 2 ივლისს დაწერილი „განჩინება ერეკლე მეორისა ჩრდილელიშვილისა და ღუდუშაურის სასისხლო საქმეზე“[14].

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, მეფე გადაწყვეტილებას ღებულობდა დაპირისპირებულთა დავის შესწავლის შედეგად, რაც კონკრეტულ ვითარებაში შემდეგი სახითაა ფორმირებული: „ქ. ჩვენ, პატრონმა მეფემ ერეკლემ ეს განაჩენი გიბოძეთ შენ, ჩრდილელისშვილს ჩრდილელსა და რევაზს ესე, რომე: უბრალოს საქმით მოკევე ღუდუშაური გივი და შამახალა სისხლზე გელაპარაკებოდა. ჩვენს სამართალში ილაპარაკეთ, გავსინჯეთ და მოკითხულიცა ვქენით, არაფერი სიტყვა და სადაო თქვენთან ღუდუშაურს გივსა და შამახალას არა ქონდა რა.

---

[14] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. IV თბ., 1972, გვ. 407-408.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენზე ჯელი სამართლით ავაღებინეთ. დღეის იქით შენთან ამ საქმეზე ჯელი და სიტყვა აღარა აქვსთ რა, ძმობისა და მოყვრობის მეტი, არც შენთან და არც შენს ყმებთან“.

საადგილმამულო დავის საკითხი განხილულია არა მარტო ორი პიროვნების დაპირისპირების შემთხვევაში, არამედ ორი სამოსახლო ერთეულის მკვიდრთა შორისაც. ამაზე მეტყველებს 1776 წლის 5 მაისს დაწერილი „არგა ცხაოტელთა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით“[15]. არგაში ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს მთიულს ცხაოტელთ. ფასანაური ჩვენი სამკვიდრო მამული არის და ქავთარაშვილისათვის გიბოძებიათ. ამ ფასანაურზედ ასი კომლი კაცნი ვლაპარაკობთ, ჩვენი არის. ქავთარაშვილებს ჩვენზე მეტი არა აქვსთ, ნახევარი იმათი, ნახევარი ჩვენია. ამ წყალობას გევედრებით, რომ ჩვენი სამკუიდრო მამული არ წაგვერთვას, ღმერთი გაგვიმარჯვებს... თქვენის ძმის გიორგის წიგნიცა გვაქვს ერთობლივ მოცემული“.

K 251276

არგაზე არის უფლისწულის მინაწერი: „ქ. ბატონიშვილი ლეონ გიბრძანებ ამ არგის მომრთმევო! მერე ღმრთით ამ ცოტას ხანში ჩვენ არაგვზედ ამოვალთ და ამ შენს საჩივრის სამართალს მაშინ მოგცემთ“...

ამ არგიდან ნათლად ჩანს, რომ მამულზე დავა წარმოქმნილა ცხაოტის თემის მოსახლეობასა და ამავე თემის ერთერთი სოფლის ქავთარაანთკარის მკვიდრთა შორის. როგორ დამთავრდა ეს დავა, ცნობილი არ არის, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, რომ ლეონ ბატონიშვილმა ვითარების შესწავლისათვის ადგილზე ასვლა გადაწყვიტა. ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ მოსახლეობასთან შეხვედრისას ის თავისი ძმის გადაწყვეტილებასაც მოიხმობდა და ამის შესაბამისად მოაგვარებდა შექმნილ მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკა

[15] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 341.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუფლისწულოდ გარდაქმნილ არაგვის საერისთავოში საადგილმამულო ურთიერთობასთან ერთად განიხილებოდა ყველა ის საკითხი, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესებს შეესაბამებოდა. ერთ-ერთ ასეთ საკითხად წარმოგვიდგება ყმობის სტატუსი, ე.ი. ყმობის კუთვნილების განსაზღვრა. აშკარად ჩანს, რომ არაგველები აზნაურისადმი ყმობას სახასო ყმობას ამჯობინებდნენ, რისი მაჩვენებელიცაა 1776 წლის 17 ივლისს შედგენილი დოკუმენტი („არზა დიდებაანთა ყმობის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით"[16]: „ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის კელმწიფის ძის ლეონის ჭირი მათს ფერხთა მტვერთ სულ ხელიერთპირ დიდებაანთ მოსცეს. მერმე ამას გევედრებით ჩვენო მოწყალევ: მთა და ბარი, მოხელენი და აზნაურნი სულ აქ გახლავან. მოკითხული ჰქენით, თუ ჩვენი მამა-პაპანი მაგათი ყმანი ყოფილიყვნენ. მკვიდრნი თქვენი სახასონი, გახლავართ, თორემ ყველამ იციან, შენნი ყმანი ვართ, ვისაც გეპრიანებოდეს, იმათ მიგვეც, თოთხმეტნი გახლავართ. თუნდა სხვას სჯულს მიგვეც, მაგრამ ჩვენ დასაკარგავი კაცნი არ გახლავართ. თუ ჩვენი თავი ბატონმა უბოძა, ბატონის წიგნი ექნება; თუ ნასყიდნი ვართ, ნასყიდობის წიგნი ექნება და ორნივ მოგართოსთ. თუ არა ჩვენ მაგისი ყმანი არა ვყოფილვართ, თქვენი ყმანი ვართ ძველადვე, თორემ ყოველნი აქაურნი ძველნი კაცნი მოგახსენებენ. თუ არ დაგვკარგავთ ხომ კარგი; თუ არადა, მაგისი ყმობა არ შეგვიძლიანთ და არც ვეყმობით. და ნება თქვენი მოწყალებისა აღსრულდეს"...

არზას ახლავს ლეონ ბატონიშვილის რეზოლუცია:

„ქ. ბატონიშვილი ლეონ გიბრძანებთ ამ არზის მომრთმევნო! მერე ამ თქვენი საჩივრის საქმეზე ადამ ყარანგოზიშვილისათვის ენკენისთვის გასვლამდის ვადა მიგვიცია. თუ მანამდის ბატონის მამის ჩვენის წიგნი მოიტანა, რომ თქვენ ადა-

[16] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 348-349.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისათვის უბოძებიხართ, ჩვენ იმ წიგნის წინააღმდეგობა არ შეგვიძლია და იმისნი უნდა იყვნეთ. და თუ წიგნი ვერ მოიტანა თქვენთან იმას საქმე არ ექნება რა და ჩვენი სახასონი იქმნებით წიგნის მოტანით. მანამ თქვენს საქმეს ადამ გაარჩევდეს, მანამ ისევ ადამის ხელთ უნდა იყვნეთ"...

შექმნილი ვითარების მიხედვით, დიდებაანი ერეკლე მეორემდე აღწევენ და მას თავიანთ პრეტენზიებს აცნობენ, რის შემდეგაც მეფე უფლისწულს წერს: „ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო ლეონ! მერე თუ სამართალი ამათ ყარანგოზიშვილს მისცემდეს და შენი ნებაც იყოს, ხომ მიეც და თუ არც სამართალი მისცემდეს და არც შენი ნება იყოს, ნუ მისცემ. შენი სამართლის ჩვენც ყაბული გვაქვს. თუ ჩვენი წიგნი ქონდეს, თუ რიგიანად და სამართლიანად მიგვეცეს, იმაზე დააყენე, და თუ ჩვენთვის ღალატად გაეშინჯებინოს და მოტყუებით აეღოს ჩვენგან წიგნი, იმის დახსნის ნება მიგვიცია. ის წიგნი მოშალე და სამართლიანად შენ გაარიგე".

როგორც არზიდან, ისე მასზე მიწერილი რეზოლუციებიდან აშკარად ჩანს, რომ ყმობის კუთვნილების საკითხი უფლისწულის მიერ განიხილებოდა, რომელიც დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენას საჭიროებდა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების საფუძვლად მეფის დასკვნას მიიჩნევდა. თავის მხრივ მეფეც სამართლიანობის დადგენისათვის საბუთის წარდგენას მოითხოვდა, ხოლო მდგომარეობის შეფასებას და განსჯას უფლისწულს ანდობდა. ყოველივე ეს იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ მეფე სცნობდა უფლისწულის უფლებამოსილებას და დამოუკიდებელი, მაგრამ კანონიერი მოქმედების საშუალებას მას აძლევდა. ისიც ნიშანდობლივია, თუ მეფე რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვითარების ყოველმხრივ შესწავლას და როგორი სიფრთხილით ეკიდებოდა წარმოქმნილი სადავო საკითხის ობიექტურად გადაწყვეტას. მეფის უზენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესობა აშკარად ჩანს ადამიანთა სოციალური სტატუსის განსაზღვრაშიც, მაგრამ მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი საქმეების შესწავლა-განხილვაში პრიორიტეტი უფლისწულს ჰქონოდა შენარჩუნებული. ამგვარი დამოკიდებულება სავსებით კანონზომიერი იყო საუფლისწულოს მმართველობის სისტემაში, რომლის სახელმძღვანელო კანონსაც წარმოადგენდა თვით ვახტანგ და ლეონ ბატონიშვილების მიერ შედგენილი „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“, რასაც სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა[17].

განხილული დოკუმენტები ნათლად წარმოაჩენენ საერისთავოს თუ მისი გაუქმების შემდეგ საუფლისწულოს მართვა-გამგეობის სისტემას. აშკარად ჩანს, რომ ყველა სახის სადავო საქმის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება მეფის, ერისთავის თუ უფლისწულის კომპეტენციაში შედიოდა. საერისთავოს თუ საუფლისწულოს მმართველობის სისტემაში ასევე მონაწილეობდნენ და დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდნენ ადგილობრივი მოხელეები მოურავის, ბოქაულთუხუცესის, იასაულის თუ ნაცვალის სახით. ხელისუფლებისადმი ერთგული სამსახურით შერჩეული ეს მოხელეები მეფის, ერისთავის თუ უფლისწულის ბრძანებას აღასრულრბდნენ. სადავო საქმეების განხილვაში ასევე გარკვეულ როლს ასრულებდნენ მოწმეები, რომელთა ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტში. მმართველობის ეს სისტემა დამახასიათებელი იყო ფეოდალური სენიორიისათვის, კონკრეტულ ვითარებაში კი არაგვის საერისთავოს (საუფლისწულოს) სოციალური სტრუქტურისათვის.

---

[17] ი. ფუტკარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ქართველ მთიელთა ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან და ფეოდალურ ზედაფენასთან

ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის, სოციალური სტატუსისა და სახელმწიფოებრივ სისტემაში მათი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ერთხანს აშკარად გამოკვეთილი სახით ჩამოყალიბდა გვაროვნულობის თეორია, როდესაც ქართველ მთიელებში თვით XIX საუკუნეშიც კი თემური წყობილების ადეკვატურ სურათს ხედავდნენ. ამ შემთხვევაში თემობრიობის ტრადიციები გვაროვნულ წყობილებასთან იყო გაიგივებული. ეს „თეორია" როგორც დაბალი დონის ისტორიოგრაფიული აზროვნების ნაყოფი, თავის მხრივ რამდენადმე ამაგრებდა რუსულ შოვინისტურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას, რომ ქართული ტერიტორიული დანაყოფები საქართველოსაგან იზოლირებულ ქვეყნებს წარმოადგენდნენ, ხოლო ამის შესაბამისად ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფები დამოუკიდებელი ეთნოსების რიგს განეკუთვნებოდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთხანს ფეხმოკიდებული გვაროვნულობის თეორიისაგან განსხვავებით გაჩნდა შეხედულება მთიანეთის კუთხეების ე.წ. „ავტონომიური ფუნქციონირების" შესახებაც, მაგრამ ამასთან დაკავშირებით სათანადო სისრულით არ განიხილებოდა იმ საისტორიო წყაროების შინაარსი, რაც თვალნათლივ წარმოაჩენდა სამეფო ხელისუფლებასთან და ფეოდალურ ელიტასთან ქართველ მთიელთა ურთიერთობის რეალურ სურათს. დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე კი ეს სავსებით შესაძლებელია, რაშიაც დავრწმუნდით არსებული წერილობითი წყაროების მონაცემების მოხმობის მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით შუქი ეფინება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თავისებურებას ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში და ამის შესაბამისად, მთიანეთის მოსახლეობისადმი სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულების ფორმებს.

მთიანეთის შემომტკიცებისა და მთიელთა გაერთგულების მიზნით საქართველოს სამეფო ხელისუფლება მათთან ურთიერთობას შექმნილი ვითარების შესაბამისად სხვადასხვა საშუალების გამოყენებით ანხორციელებდა. სახელმწიფო მმართველობაში კარგად იყო გაცნობიერებული იმის საჭიროება, რომ მთიანეთის სახით ქვეყანას ძლიერი ზურგი ჰქონოდა და მისი მკვიდრნი საიმედო ქვეშევრდომებად თუ მოკავშირეებად ჰყოლოდათ, როგორც მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე შიდასახელმწიფოებრივი სტაბილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში. დასახული მიზანი კი განხორციელებადი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეფო ხელისუფლება გაითვალისწინებდა მოსახლეობის ეკონომიკურ ინტერესებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა ეროვნული ცნობიერების ამაღლების საჭიროებას. ყოველივე ეს კარგად გათვლილი ჰქონდათ ქართველ მეფეებს და მთიელებისადმი დამოკიდებულებაში ისინი ანგარიშს უწევდნენ ყველა იმ ფაქტორს, რაც უზრუნველყოფდა მთიელთა ერთგულ სამსახურს და მათი ქმედების შედეგს.

* * *

ქართული საისტორიო წყაროები თვალნათლივ წარმოაჩენენ სამეფო ხელისუფლებასთან და ფეოდალურ ზედაფენასთან ქართველ მთიელთა ურთიერთობის ორმხრივ ხასიათს –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მხრივ ურჩობას და წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას, ხოლო მეორე მხრივ მოსალოდნელ წინააღმდეგობათა აღკვეთის საშუალებებს წყალობისა და მშვიდობიანი გარიგების გზით.

სახელმწიფო ხელისუფლებისადმი აშკარა დაპირისპირების მაჩვენებლად შეიძლება დავიმოწმოთ თუნდაც პაპუნა ორბელიანის ორი ცნობა. პირველი მათგანი შეეხება გლეხთა მიერ ფეოდალის ტერორისტულ მკვლელობას, ხოლო მეორე – სამეფო ხელისუფლებისაგან ხევსურთა განდგომის მცდელობას.

პირველი ცნობის თანახმად, იმის შემდეგ, რაც რუსეთისკენ მიმავალი ანტონ კათალიკოსი არაგვის ერისთავად წოდებულმა ჯიმშერ ჩოლოყაშვილმა საქართველოს საზღვრამდე გააცილა და უკან მობრუნდა, მთიულეთის სოფელ მლეთაში ნაზღაიძის ოჯახს ესტუმრა. მაგრამ „უღალატეს ღამით კაცთა საერისთოელთა და მოკლეს თოფით და ჩამოიტანეს გვამი მისი, დაფლეს ანანურს, მონასტერსა შინა. დაჭმუნდნენ მეფენი ამა ამბავზე ფრიად, უმეტეს მეფე ერეკლე, თან–შეზდილ იყო ჯიმშერ და კაი ყმა, მაგრა რა გაეწყობოდა, საერისთოს კაცნი ჩვეულ იყვნენ ერისთავების სიკვდილს და არც მას რიდეს“ (7, გვ. 240).

პაპუნა ორბელიანი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ მეფემ რა ზომები მიიღო მკვლელთა მიმართ. ისტორიკოსი მხოლოდ იმის აღნიშვნით დაკმაყოფილდა, რომ მომხდარი ტრაგედიის გამო „დაჭმუნდნენ მეფენი,“ მაგრამ, როგორც ჩანს, მდგომარეობის გამწვავებას მათ თავი აარიდეს ალბათ იმის შიშით, რომ „ერისთავების სიკვდილს ჩვეულ“ მთიელებს შურისძიების განახლებაზე არ ეფიქრათ.

აღნიშნული ინდივიდუალური ხასიათის ტერაქტისაგან განსხვავებით, რასაც მთიელთა დასჯა არ მოჰყოლია, განდგომილ ხევსურთა მიმართ სამეფო ხელისუფლებამ მკაცრ ზომებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართა. ნათქვამის დამადასტურებელია პაპუნა ორბელიანის შემდეგი ცნობა: „ქორონიკონს უმგ (1756) ამა ხანთა შინა ხევსურის ქვეყანა აღარ დამორჩილდა კახს ბატონს და პირველი-სამებრ აღარ მონებდნენ. ჩამობრძანდა კახეთიდამ კახი ბატონი ერეკლე ქალაქს და მოსთხოვა ფარვანი მამასა თვისსა, ქართველს ბატონს მეფეს თეიმურაზს, ინება ხევსურეთისა დალაშქვრა. გაისტუმრა მამამან ცხებულმან ძე თვისი მეფე ერეკლე და გასცა ბრძანება თავადთა ქართლისათა, რათა იახლნენ მათ. მობრძანდა მეფე ერეკლე ანანურს, შემოეყარნენ იქ ქართველნი, დიდებულთა შვილნი და აზნაურშვილნი ზემო ქართლისანი და ერისთავები ორივე დავით და ჯიმშერ, წაბრძანდა ანანურიდამ, მობრძანდა თიანეთს, იქ შემოეყარა ჯარი კახეთისა. ზამთარი იყო, თოვლი დიდი და გზა საჭირო. დაიქვეითეს ყოველთა თვინიერ მეფისა და იმანცა ბევრჯერ იარის ქვეითად. მივიდნენ ფშავში, მოეგებნენ ფშაველნი, დახვდნენ რაც იმ ქვეყანას გაეწყობოდა, მიართვეს მოსართმევი, ენებათ იქიდამ გარდასვლა ქვეყანასა ხევსურეთისასა.

რა შეიტყვეს ხევსურთ, შემოეხვეწნენ ხევსურნი და ითხოვეს დანაშაულისა მიტევება, შეუნდო ცთომა მათი და შემოირიგა. იახლნენ უფროსნი კაცნი და მოართვეს ჯორნი, ძროხანი და ცხვარნი ფეშქაშად და დაიდვეს თავს სამსახური, რაცა ძველთაგან კახთ ბატონებისაგან სდებოდათ. გამოართო ბატონმა მძევლები და განუტევა ხევსურნი მშვიდობით. აგრეთვე მოართვეს ფშაველთა ფეშქაშნი და ბეგარა და წაბრძანდა ბატონი, ჩამობრძანდა ქალაქს, შეეყარა მამასა, ცხებულს მეფეს“ (7, გვ. 222-223).

ციტირებული ადგილი ააშკარავებს იმ ვითარებას, რომ საქართველოს მთიანეთი სამეფო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებოდა და განკერძოება-დაპირისპირების შემთხვევაში უკომპრომისო ზომები ხორციელდებოდა. იმის მიუხედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად, რომ ქართველი მთიელები თავდაუზოგავად ებრძოდნენ გარეშე მტრებს და სამეფო ხელისუფლებას ერთგულად ემსახურებოდნენ, წინააღმდეგობრიობა სასტიკად ითრგუნებოდა. მეფისადმი მათი თანადგომა სახიერდებოდა მესაქონლეობასთან შეფარდებული გადასახადების გამოღებაშიც, რაც პაპუნა ორბელიანის აღწერილობიდანაც ნათლად გამოჩნდა. სამეფო ხელისუფლება დიდად აფასებდა მთიელთა ერთგულ სამსახურს, მაგრამ ვალდებულებაზე უარის თქმასაც შეუწყნარებელ დანაშაულად თვლიდა. დიდთოვლობის პერიოდში ფშავ-ხევსურეთში ერეკლეს შესვლაც მთიელთა მოთვინიერების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ლაშქრის შესვლამ არა მარტო განდგომილი ხევსურები დააყენა მონანიების ხასიათზე, არამედ უდანაშაულო ფშაველებსაც წინდახედულება აფიქრებინა, რამაც გამოხატულება ჰპოვა მეფისადმი ძღვენის მირთმევაში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გონს მოსული მთიელების მხრიდან დანაშაულის მიტევების თხოვნა მეფემ სულგრძელად შეიწყნარა და ისინი შემოირიგა.

აღწერილი მოვლენები მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოსათვის თავდადებული მთიელები ზოგჯერ სამეფო ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ, ხოლო სამეფო ხელისუფლება თავის მხრივ ძალასაც იყენებდა და მონანიებული მთიელების მიმართ შემწყნარებლობასაც იჩენდა.

საჭიროების შესაბამისად ძალის გამოყენება ნებისმიერი ქვეყნისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. უამისობა საქართველოსთვისაც შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სამეფო ხელისუფლება და დიდგვაროვანთა ფენა უფრო ოპტიმალურ საშუალებად მიიჩნევდა ქართველ მთიელებთან მშვიდობიანი და სახელმწიფოებრივად სასარგებლო ურთიერთობის განვითარებას მათი ეკონომიკური მდგომარეობის, ვალდებულებათა აღსრულების შესაძლებლობის, ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივი საზოგადოებრივი ყოფის, ცხოვრების წესისა და სულიერი კულტურის თავისებურებათა გათვალისწინებით. ამ ფაქტორების შესაბამისად სამეფო ხელისუფლება მთიელებისადმი თანადგომას სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით გამოხატავდა. სამეურნეო სპეციფიკის მიხედვით თუ, მაგალითად, ხევსურებს მათი სალოცავების სახელზე კახეთში ვენახს გამოუყოფდა, ფშაველებსა და თუშებს უმთავრესად ზამთრის საძოვრებით უზრუნველყოფდა. ამგვარი ვითარების საფუძველი ის იყო, რომ ხევსურები უმთავრესად მსხვილფეხა მესაქონლეობას მისდევდნენ, მთაბარული ტიპის მეცხვარეობას არ ავითარებდნენ. მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო სამეფო ხელისუფლების მიერ ზვრების ბოძება და ღვინის გამოყენება ხალხურ ღღესასწაულებზე. მისგან განსხვავებით, ფშაველნი და თუშნი დაინტერესებულნი იყვნენ ზამთრის საცხვრე საძოვრებით, თუმცა სათანადო დოკუმენტები ფშაველთათვის ზვრების გამოყოფასაც გვაუწყებენ.

ცნობები იმის შესახებ, რომ სამეფო ხელისუფლება მთიელთათვის ზამთრის საძოვრების გამოყოფით უზრუნველყოფდა მეცხვარეობის განვითარების შესაძლებლობას, დაცულია როგორც საისტორიო წყაროებში, ისე ღღემდე შემორჩენილ ხალხურ გადმოცემებში. წერილობითი წყაროები თვალნათლივ ცხადყოფენ, რომ საძოვრების გაცემა უმთავრეს შემთხვევაში რაიმე მიზეზით განდგომილი მთიელების შემორიგების მიზნით ხდებოდა. ნათქვამის დამადასტურებელია ცნობა XV საუკუნეში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, როდესაც კახეთის მეფე გიორგი პირველის (1471-1492) მიერ საერისთავოების გაუქმებას და მოურაობის დაწესებას მთიელთა უკმაყოფილება მოჰყვა: გიორგიმ "დაიპყრა სრულიად კახეთი. მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირე ადგილთა, ვითარცა არიან ღღემდე: მოურავი ქიზიყისა,

ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყუარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა, და სხუანიცა, და განჰყო ოთხ სადროშოდ... და მისცა დროშანი ეპისკოპოსთა, რათა არა განიმკჯიდრონ მთავართა და დაიპყრან შეუცვალებლად, და ამით ერთგულ-ყენა მრავალნი... გარნა თუ იწოდა თჯისთაგან მეფედ. არამედ გარემონი თჯსნი კახ-ბატონად უწოდებდენ. ამათ არა მორჩილებდნენ თუშნი და ფშავ-ჯევსურნი. არამედ დიდოეთი ერთგულებისათჯს დავითისა ერთგულებდენ ამათ და მსახურებდნენ" (1, გვ. 567-568).

დამოწმებული ცნობა აშკარად იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ გიორგი პირველის პოლიტიკით წარმოქმნილი უკმაყოფილება მთიელთა დაუმორჩილებლობით დასრულდა, მაგრამ შექმნილი ვითარების რეალურად შეფასების ნიადაგზე შემდგომ პერიოდში მდგომარეობა გამოსწორდა, როდესაც კახეთის მეფე ლევან მეორემ (1520-1574) მთიანეთის კვლავ შემომტკიცების მიზნით სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: „არამედ ამას წინათა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ჯევსურნი და თუშნი; და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქუა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მისცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა" (1, გვ. 573).

ციტირებული სტრიქონები იმის მაჩვენებელია, რომ განდგომილი მთიელების გადმობირება მოხდა არა ძალის გამოყენებით, არამედ სასიცოცხლო სამეურნეო შეღავათებით. ეს გადაწყვეტილება ერთი მხრივ ხელს უწყობდა მეცხვარეობის ფართო მასშტაბით განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ განაპირობებდა მთიელთა ერთგულ სამსახურს როგორც მოლაშქრეობაში, ისე ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულებაში (საკომლო, საბალახე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთის ზამთრის საძოვრებით სარგებლობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა თუშეთის ეკონომიკაში, მაგრამ გამუდმებული შემოსევების შედეგად მთაბარული ტიპის მეცხვარეობის განვითარების შესაძლებლობა უკიდურესად მცირდებოდა. კახეთს საერთოდ და მისი მთიანეთის მეურნეობას კერძოდ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სპარსელთა შემოსევამ და 1658 წელს შაჰის მიერ კახეთის მმართველად სალიმხანის დანიშვნამ, რომელმაც ბახტრიონში და ალავერდში ყიზილბაშები ჩამოასახლა. მისივე მხარდაჭერით გახშირდა ლეკთა თარეშიც: „ხოლო კახეთს შემდგომად სიბერისათჳს როსტომისა დასუეს სალიმხან ქ-სა ჩ- ქნბ, ქარ.ტ-მე. არამედ ზაალსვე ეპყრნა ზემოთქმულნი ქუეყანანი და კითხვითა მისითა მართვიდა სალიმხან კახეთსა. ამან სალიმხან მოიყვანნა ელნი და დასხნა შიგნით და გარეთ-კახეთს და დაიპყრეს ამათ ბახტრიანი, ალავერდი და განრყუნეს წმიდანი ეკლესიანი, რამეთუ იყვნენ არვე-მროწლეთა მათთა სადგურად და იყო ჭირიცა დიდი მათგან კახეთსა შინა და ქურდთა ლეკთაგან. არამედ სალიმხან ჯდა ყარაღაჯს უზრუნველი კახთათჳს და განისუენებდა უზრუნველი მტრის ვნებისაგან. ხოლო დღესა ერთსა მღუდელი ვინმე მოვიდოდა შიგნით კახეთს, შეიპყრეს იგი თათართა და განხრწნეს სოდომურითა და განუტეევეს. შეიწრებული მღუდელი იგი მოვიდა წინაშე ზაალისა მეტყუელი ესრეთ: „შენდა რწმუნებულ არს კახეთი კნინღა პყრობად, აწ შემამთხვიეს თათართა უჯერო, ამისთჳს შენვე პასუხ-უგე ქრისტესა დღესა მას დიდსა განსჯისასა“. ამისმან მსმენელმან ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თჳსნი და ფშავ-ჴევსურ-თუშნი, და ბიძინა სუფრაჯი და ერისთავი კსნისა შალვა ძმით ელიზბარ (რამეთუ სიძე იყო შალვა ზაალისა), შეკრიბნა ესე ყოველნი, წარუძღუანა ძე თჳსი და მოუკდნენ პირველად ბახტრიანს, მოსრნეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწყვლნეს თათარნი, რამეთუ არცაღათუ დაუტევეს აკუანთა შინა მწოვარნი და განათავისუფლეს კახეთი“ (1, გვ. 599-600).

ბუნებრივია, რომ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივ ქლეტა-აწიოკებასთან და მეურნეობის მოშლასთან ერთად ფაქტიურად შეჩერდა მთაბარული მეცხვარეობის განვითარებაც. შექმნილი ვითარების შედეგი იყო ბახტრიონის ცნობილი აჯანყება, რაშიაც კახეთის მთიელებმაც (თუშები, ფშავლები, ხევსურები) აქტიური მონაწილეობა მიიღეს. აჯანყების მიზანი იყო არა მარტო სამშობლოს ხსნა და კახეთში ნორმალური ცხოვრების აღდგენა, არამედ ზამთრის საძოვრებით სარგებლობის განახლებაც. წერილობით წყაროებთან ერთად ამას ადასტურებს დღემდე მოღწეული არაერთი ხალხური გადმოცემა. მტრის მიერ შექმნილი უმძიმესი ვითარება მიაჩნიათ თუშებს იმის მიზეზად, რომ მათმა წინაპრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კახეთის განთავისუფლებისათვის თავდაუზოგავ ბრძოლაში და სამეფო ხელისუფლებამ მათ საშვილიშვილოდ უწყალობა ალვანის ველი ბახტრიონიდან ტახტისგორამდე. სწორედ ამ ტერიტორიაზეა გაშენებული ზემო და ქვემო ალვანი მათ ირგვლივ გადაჭიმული სამეურნეო ნაკვეთებით (5, გვ. 443-457).

* * *

განხილულ საისტორიო წყაროებთან ერთად უსათუოდ გასათვალისწინებელია გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტები, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მთიანეთის მოსახლეობის საზოგადოებრივი ყოფის, ისე სამეფო ხელისუფლებასთან და ფეოდალურ არისტოკრატიასთან ქართველ მთიელთა მრავალმხრივ საყურადღებო ურთიერთობის ხასიათის შესწავლისათვის. ამ ურთიერთობაში გამოკვანძულია ორმხრივი – ეკონომიკური და იურიდიული ვალდებუ-

ლებანი, რაც ხორციელდებოდა მთიელთა ცხოვრების წესის გათვალისწინებით და მათი ტრადიციებისადმი გამოხატული პატივისცემით.

ქართველ მთიელებთან სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალური ზედაფენის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები გამოაქვეყნეს ნ. ბერძენიშვილმა და ვ. ბარდაველიძემ, რასაც ქვემოთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილავთ.

ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული პირველი დოკუმენტი – „პირობის წიგნი, მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვრის-შვილისადმი," შედგენილია 1732 წლის 20 იანვარს.სისრულისა და სიზუსტისათვის მას სიტყვა-სიტყვით ვიმოწმებთ:

„ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, არაგვის ერისთავის მთის კაცმა ციხიბერას ზეითმა ციხისთავმა ბერმა, ჩოფიკაშვილმა ყაზიბეგ, ღუდუშაურმა ლომინამ, კევის ნაცვალმა ალუღიმ, ქარჩაიძე თათარამა, კადის ნაცვალმა ზაზამ, გუდამაყრის ნაცვალმა პაპიმ, ნადიბაიძემ გივმა, ამირიძე კურციკმა, ბურდულმა ბეჟან, ნაზღაიძემ ავთანდილ, კელი ერთპირათ მთიულთა, მოკევეთა და გუდამაყრელთა, კიდევ ჭართლიანის ნაცვალმა გივმა, კადას ნაცვალმა გამახარემ, პავლეურთ ციხისძირმა, თრუსოელთა, ღუდელთა, რაც კევის ოსი ვართ, იმათა ჭორვილელთ (?) და ფშოელთა თქვენ, ამილახვრის–შვილს ოთარსა და ბარძიმს; –ასე რომ თქვენ ჩვენს ბატონს ერისთავს ბარძიმს ოთხის ქესას თავდები დაუდექით რევაზის ვალზედ და ჩვენ ეს მთის კაცი სულ თქვენი თავდები შავიქენით. ორ თვეში ეს ოთხი ქესა მოგართვათ. ამას გარდა ხუთი ქესა ბარძიმ თავისი გაიღო, რევაზის ვალი რომ ბარძიმს დააღვეს. გრიმ (?) ფაშასთან მივიდა და ერისთაობაზედ კელი აიღო. ახლა ჩვენ ამისთვის არა ვქენით, რომ ისინი სულ მთის კაცს დატყვევებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირებდნენ. ეს პირობა დაგვიდებია, რომ ოთხი ქესა ვადაზე მოგართვათ“ (4, გვ-233; შდრ. 2, გვ. 43).

მთის კაცთა ეს პირობა იმის გამომხატველია, რომ ისინი ფეოდალს ექვემდებარებოდნენ და ამის გამო სუბორდინციის პრინციპით მოქმედებდნენ.

ფეოდალისადმი ერთგული სამსახურისა და მთის კაცთა პასუხისმგებლობის მაჩვენებელია 1759 წლის 6 ივლისს დაწერილი შერიგების წიგნი, მიცემული ფშავ-ხევსურთა მიერ მოურავ გრიგოლ ჩოლოყაშვილისადმი. ამ დოკუმენტის შინაარსი გვაუწყებს, რომ მთის კაცნი აქტიურად მონაწილეობდნენ საქმის გარჩევაში, რაც საეჭვო მკვლელობის ბრალდებასთან იყო დაკავშირებული. როგორც ამ დოკუმენტში აღინიშნა, დემეტრე ასათაშვილის მოწამვლა ბრალდებოდა ფშავის, ხევსურეთისა და თიანეთის მოურავს, სახლთუხუცესს გრიგოლ ჩოლოყაშვილს. მთის კაცნი ჩვენებას იძლევიან, რომ დემეტრე ასათაშვილი „თავის დღით მომკვდარიყო“ და არა მოწამვლით. ეს ჩვენება ერთგული სამსახურის ფიცით მიცემულია იმის საფუძველზე, რომ თვით ერეკლე მეორე თავისი ამალით თუშეთს ასულა, მთის კაცთა დაკითხვით საქმე გამოუძიებია და ბრალდებაც გაქარწყლებულა. ამის გამო კვლავაც ძალაში დატოვეს გრიგოლ ჩოლოყაშვილის, როგორც მოურავის უფლებამოსილება და სამეფო ხელისუფლებასთან მისი შემდგომი სამსახურის გაგრძელება (4, გვ. 424-425).

ქართველ მთიელთა მიმართ სამეფო ხელისუფლებისა და დიდებულთა ურთიერთობის ხასიათის ჩვენებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა დოკუმენტების ის ნაწილი, რომელიც გვაცნობს სალოცავისადმი შეწირვის ფაქტებს და შეწირულებათა გაცემის მიზნებს. კონკრეტულად ეს მჟღავნდება ფშავლებისადმი და ლაშარის ჯვრისადმი, როგორც “მოძმესადმი” დამოკიდებულებაში. აღნიშნული სალოცავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძმედ აღიარება ნაკარნახევი იყო ფშავის შემომტკიცებისა და ფშაველთა გაერთგულებისათვის. ამ შემთხვევაში ლაშარის ჯვარი განასახიერებდა თავის "უნჯ ყმათა" ერთობას ფშაველთა სახით და იმ ძალას, რომელთან ძმობა განსაზღვრავდა საიმედო კავშირს სამეფო ხელისუფლებასა და ფშავის მოსახლეობას შორის.

იმის შესახებ, რომ ლაშარის ჯვარს მამულებს სწირავდნენ ქართველი მეფეები და ფეოდალები, ჩანს 1741 წლის 12 ოქტომბერს დაწერილი საბუთიდან. მისი შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ სახლთუხუცეს გრიგოლ ჩოლოყაშვილის წილი მამული მარილისში მეფეს ლაშარის ჯვრისთვის შეუწირავს, რის გამო გრიგოლს უკმაყოფილება გამოუხატავს. ამის გამო მეფეს ის დაუჯარიმებია. შექმნილი მდგომარეობა გრიგოლს იმით გამოუსწორებია, რომ მეფის გადაწყვეტილებას შერიგებია და ფშაველთათვის აღუთქვამს – ბატონმა რაც შემოგწირათ, „ჩვენც ისევ შემოგწირეთ"-ო. მონანიებულ ფეოდალს „ჯურუმიც"გადაუხდია და უთხოვია „ისევ შემოგვიერთდით და ისევ მწყალობელი შეიქენით." გრიგოლს იმის პირობაც მიუცია, რომ კვლავაც ფშაველთა მწყალობელი იქნებოდა (4, გვ. 406; შდრ. 2, გვ. 43-44).

იმის შესახებ, თუ რა გზით ხორციელდებოდა სამეფო ხელისუფლების ურთიერთობა ქართველ მთიელებთან და კანონის დარღვევის შემთხვევაში მეფე რა სახის გადაწყვეტილებას ღებულობდა, ამაზე პასუხს გვაძლევს ერეკლე მეორის განაჩენი გრიგოლ სახლთხუცის საქმეზე 1747 წლის 18 იანვარს: „ქ. ეს განაჩენის წიგნი დაგვიდვია ჩვენ, მეფე ერეკლეს; – ასე რომ გრიგოლ სახლთხუცესი გავგზავნეთ ფშავს ჩვენი მოძმის კარზე იყო და ფშაველთ სტუმარი იყო. წამოსვლაში იმასთან გოდერძი იყო ასათაშვილი, დემეტრე ვედრაული, პაპა კუსრა ნაცვალი. გზაზე გოგოლაური ჩაშჯდომოდა, თოფი რომ უნდა დაე-

კრა, სასხეპი მოსტყომოდა, ვეღარა ექნა რა. რადგან რომ მთის კაცსში სასტუმრო დადებული არის თექვსმეტი ჯარი, ეს ჯერ რომ იყო თავადიშვილი იყო, მერმე ჩემი გაგზავნილი და მოძმის კარიდამ წამოსული იყო. ახლა ჩვენ გაგვიპჭვია: სასტუმროც ის არის, ჩვენიც ჯარიმაც შიგ არის, – თოთხმეტჯერ თექვსმეტი ჯარი უნდა მოსცეს და თუ ის კაცი ჩვენ ჩავიგდევით, იმისი კიდემ ჩვენ ვიცით. ამ სახლთხუცეს და ამ კაცს სამართალს ჩვენ უზამთ და თუ სიტყვა ქონდეს... ჩვენ მოგვახსენოს იმ გოგოლაურმა“ (4, გვ. 417; შდრ. 2, გვ. 44).

დამოწმებული დოკუმენტი ავლენს არა მარტო მთიელთადმი სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულების ხასიათს, არამედ სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის ხელშეუხებლობასაც. შემთხვევითი არ არის რომ მეფემ სტუმრის მოსაკლავად ჩასაფრებულ გოგოლაურს ჯარიმაც უზომოდ გაუდიდა და მას სამართლით დასჯასაც დაემუქრა. ესოდენ მკაცრი გადაწყვეტილების საფუძველი იყო ჯერ ერთი ის, რომ გოგოლაურმა მეფის მიერ გაგზავნილი თავადის მოკვლა განიზრახა და მეორე ის, რომ გრიგოლი მეფის „მოძმის კარზე ფშაველთ სტუმარი იყო“. ეს მეორე არგუმენტი აშკარად იმის გამომხატველია, თუ სამეფო ხელისუფლება რაოდენ დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა მთიელებთან კეთილგანწყობილ ურთიერთობას.

1709 წლის 7 იანვარს დაწერილი საბუთის მიხედვითაც ქართველი მეფე თუ ფეოდალი ლაშარის ჯვართან „ძმობას“ აღიარებს. ამ საბუთის თანახმად იმამ ყულიხანი მოძმედ მიჩნეულ ლაშარის ჯვარს სწირავს თავის ყმად სახელდებულ ფიცხელაურის ოჯახს მამულით, მიწა–წყლით და ვენახით. ასეთი შეწირულების საფუძველი იყო ფშაველთა, როგორც ლაშარის ჯვრის ყმათა ერთგული სამსახური–საბუთში შემდეგი სიტყვებით გაცხადებული: შემოგწირეთ „ჩვენსა დიდათ ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თგულთ ჭირნახულად ნამსახურსა ჩვენის ძმის ლაშარის-ჯვრის ყმათ და ჩვენს ყმათ ერთობით ფშაველთ“ (2, გვ. 40-41).

ამ დოკუმენტის შინაარსით აშკარადაა გამოკვეთილი ის ურთიერთობა, რაც მეფისადმი ერთგულ ყმობაში სახიერდებოდა და ძმობის დონეზე იყო აყვანილი. სამეფო ხელისუფლება საჭიროებდა ლაშარის ჯვრის ძმად მიჩნევას და ერთობით ფშაველთა ლაშარის ჯვრისადმი ყმობას და ამავე დროს მეფისადმი ყმობას.

მოძმედ სახელდებული ლაშარის ჯვრისა და ფშაველთადმი წყალობის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ 1725 წლის 19 მაისს კონსტანტინე მეფის მიერ გაცემული პირობის წიგნი: „ძეთა კაცთასა უცილობელი სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი და მტკიცედ დამტკიცებული, მოუშლელი ძღვენი და შესაწირავი მოგართვით და შემოგწირეთ თქვენ ყოვლად დიდებულსა და ყოვლად ქებულსა მხედარსა მეუფესა ღ˜უთისასა, მოძმესა ჩვენსა წმიდასა გიორგის ლაშარის ჯვარსა და კვალად მოუბოძეთ მოყმეთა, მოლაშქრეთა, დეკანოზთა, ქადაგთა და სრულიად ფშაველთა”...

ძღვენის ბოძების საფუძველი ყოფილა ფშაველთა დიდი დამსახურება წინამორბედ მეფეთა წინაშე თავისი ერთგულებით და საბრძოლო შემართებით, ომებში გამარჯვებისათვის თავგანწირვით, “შეწევნითა მოძმისა ჩვენისა გიორგისათა”. მოძმეობა კი იმაშიც გამოიხატა, რომ ურუმობის მძიმე პერიოდში სამეფო კარი ფშავში გაიხიზნა თავისი ბარგით და მათ ფშაველებმა უპატრონეს.

სიკეთის სანაცვლოდ მეფემ აღნიშნა: “შევსწირეთ ლაშარის ჯვარსა და შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენცა მისთა მოყმეთა, სრულიად ფშაველთა ნახევარი მარილისი, ოთარის კერძი, გარდა გარსევან მოურავისა და ალავერდის კერძისა, რისაც მქონებელი მამულისა მარილისში ოთარი ყოფილიყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშარის ჯვრისათვის, შეგვიწირავს და თქვენ ფშაველთათვის გვიბოძებია: სასახლე, ზვარი და მარანი საკვამლო კაცითა აქამდე; შენითა და უშენოთა. რადგან გარსევან მოურავის ყმად იყო ის ალაგი და გამოვართვით და თქვენ მოგეცით; მოურავად ისევ გარსევან მოურავი იყოს იმ თქვენის წილის ალაგისა, გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღ˜თნ, ჩვენს ერთგულებაში და სამსახურში არ მოგეშალოსთ ჩვენგან არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და დედოფალთაგან, მოყმეთა და ნათესავთა ჩვენთა უკუნისამდე" (2, გვ. 41- 43).

ფშავის მთავარი სალოცავისადმი და ერთობილ ფშაველთადმი კეთილგანწყობილება მკაფიოდაა გამოვლენილი შანშე ქსნის ერისთავის, მისი ძმებისა და შთამომავლების ერთგულების ფიცშიც, სანაცვლოდ იმისა რომ მოძმედ მიჩნეული ლაშარის ჯვრის ყმანი უანგარო სამსახურით გამოირჩეოდნენ. ერისთავის ოჯახის უდიდესი პატივისცემა ფშავის მთავარი სალოცავისადმი და ფშაველთა დამსახურების ესოდენ დიდი დაფასება ამ შემთხვევაშიც იმის საჭიროებით იყო ნაკარნახევი, რომ სამეფო ხელისუფლებას და ფეოდალურ ზედაფენას მთიანეთში სტაბილური მდგომარეობა შეენარჩუნებინა. ამ მიზნით ისინი არა მარტო ფშაველთა ერთგულ სამსახურს აღიარებდნენ, არამედ თავის მხრივ ამის დაფასებასაც ფიცით განამტკიცებდნენ.

საბუთის თარიღი ნაჩვენები არ არის. სამაგიეროდ ცნობილია რომ შანშე ერისთავობდა 1718 წლიდან და გარდაიცვალა 1753 წელს (2, გვ. 41).

ლაშარის ჯვრისადმი თაყვანისცემისა და ფშაველთადმი კათილგანწყობილების გამომხატველია 1799 წლის 20 მარტით დათარიღებული შეწირულების წიგნი. შემწირველის როლში ფიგურირებს მეფის სიძე, სახლთუხუცესი და საგარეჯოს მოურავი გიორგი ჩოლოყაშვილი, რომელსაც თავისი ყმის ვენახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამონაჭერი ლაშარის ჯვრისთვის შეუწირავს თავისი „სულისა და ხორცის შემწედ.“ ვენახის ამ ნაჭერს შემწირველი ლაშარის ჯვრის უცილობელ საკუთრებად აცხადებს და ნათქვამს ღმერთისა და მოწმეების სახელით ადასტურებს (2, გვ. 45-46).

იმ შემთხვევაში, თუ შეწირულებასთან დაკავშირებით საადგილმამულო დავა წარმოიქმნებოდა, სათანადო გადაწყვეტილებას თვით მეფე ღებულობდა. 1801 წლის 7 თებერვლის დოკუმენტის თანახმად, პატარა კაცისა და ბაწაწურის ნაქონი ერთი საკომლო მამული ალაჭანს, შეწირული მოძმე ლაშარის ჯვრისადმი, სადაო გამხდარა. თიანეთის მოურავის დიმიტრი ჩოლოყაშვილისათვის მეფეს დაუვალებია: ეს მამული „თავისი სახნავით და სათესით, შესავლით და გასავლით, ყველა უკლებლივ უნდა ფშაველთ მიაბარო სამართლიანის საქმითა“ (2, გვ. 47).

ანალოგიური ხასიათის დოკუმენტშიც (1801 წლის 10 აპრილი) აღინიშნა საადგილმამულო დავაში მეფის ჩარევა. იგულისხმება გიორგი მეფის ბრძანება იმის შესახებ, რომ ფშავლებს უნდა დაუბრუნონ დავით ტუსიშვილის მიერ უკანონოდ მითვისებული მამული. აღრე გაცემული ბრძანებით ფშავლებისათვის მიკუთვნებული მამულის დაბრუნება მეფეს უბრძანებია დიმიტრი ჩოლოყაშვილისათვის და ისიც დაუვალებია, რომ იასაულებისათვის ჩამოერთმიათ წიგნები, რომლებშიც დადასტურებული იყო ფშაველთა უფლებამოსილება. მეფე თვით ერთობილ ფშავლებს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ავად მოეპყრონ მამულის მიმთვისებელ დავით ტუსიშვილს (2, გვ. 47-48).

მოძმე ლაშარის ჯვრისა და ფშაველთადმი ვალდებულება სახიერდებოდა არა მარტო მამულების შეწირვით, არამედ ძღვენის მირთმევითაც. ეს თვალნათლივ ჩანს 1801 წლის 22 თებერვლის დოკუმენტიდან, რომლის თანახმადაც მეფე გიორგი ავთანდილ გილდაშვილს ლაშარის ჯვრისადმი სამსახურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავალდებულებს. ეს ვალდებულება ითვალისწინებდა ლაშარის ჯვრის სახელზე ძღვენის რეგულარულად მიტანას ორი ცხვრისა და ცხენის ერთი საპალნე ღვინის სახით (2, გვ. 46).

ლაშარის ჯვრისა და სახელმწიფოსათვის სავალდებულო გადასახადების არსებობას გვიჩვენებს 1801 წლის 20 მარტით დათარიღებული დოკუმენტიც. როგორც მასში აღინიშნა, ხელმწიფის, ლაშარის ჯვრისა და ერთობილ ფშაველთადმი თხოვნაში მარილისელები თავს აცხადებენ ოდითგანვე ლაშარის ჯვრის ყმებად და თვით მარილისს ლაშარის ჯვრის მამულად. თხოვნაში აღიარებულია, რომ ლაშარის ჯვრის სახელზე მათ ევალებოდათ წელიწადში კომლზედ კოდი პური და ათი ჩაფი ღვინო. ისინი პირობას იძლევიან, რომ ამ სახის ვალდებულებას კვლავაც შეასრულებენ, ოღონდ იმის თხოვნით, რომ გადასახადი აღარ გაზრდილიყო. იმაზედაც თანხმობას აცხადებენ, რომ კოდის პურს და კულუხს ყოველწლიურად ლაშარის ჯვარს მიართმევდნენ და ამას გარდა სხვების თანაბრად, რაც ხატისა და სხვა ეკლესიის ყმათ ევალებათ, სახელმწიფოსათვის ისინიც გადაიხდიდნენ (2, გვ. 46-47).

ბარის მოსახლეობასთან ფშაველთა საადგილმამულო ურთიერთობა გაგრძელდა რუსეთის ხელისუფლების დამყარების პერიოდშიც. ფშაველთა ერთ-ერთი საჩივარი ეხება კულუხის გადახდის ვალდებულებას, რაც სდებიათ არაგვისპირის მცხოვრებთ და რომლებიც წმინდა გიორგის კულუხს აღრე იხდიდნენ, მაგრამ შემდეგ შეუწყვეტიათ (9.12.1803 წ).

როგორ დამთავრდა ეს დავა, საბუთიდან არ ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ლაშარის ჯვრის სახელზე მამული ფშავლებს არაგვისპირშიც ჰქონიათ (2, გვ. 48).

ანალოგიური ხასიათისაა იმავდროულად დაწერილი მეორე საჩივარიც, რაც ფშავლებს წარუდგენიათ დუშეთის კაპიტან-ისპრავნიკისათვის თხოვნით, რომ გუდამაყრის სოფელ

ლუთხუბიდან მათ მიიღონ ყოველწლიური გადასახადი. იგულისხმება მამულის ღალა, ე.ი. გადასახადი იმ მამულზე, რაც ლუთხუბში ფშაველებს ეკუთვნოდათ (2, გვ. 48.).

XIX საუკუნის დასაწყისში რომ კვლავაც გრძელდებოდა ლაშარის ჯვრისადმი შეწირულების ტრადიცია, ამაზე მეტყველებს 1805 წლის 14 სექტემბერს მეფის ძის ფარნაოზის მიერ გაცემული და ფშაველთადმი კეთილსასურველი ურთიერთობის დამადასტურებელი საბუთი. ამ დოკუმენტის მიხედვით, ფარნაოზს თავის ძმის მეფე გიორგის ბრძანებით, მოძმე ლაშარის ჯვრისთვის შეუწირავს ზემო ხოდაშენში მცხოვრები ორი კომლი თავისი მამულით (2, გვ. 49).

სამეფო სახლის წარმომადგენლებთან ერთად ლაშარის ჯვრისადმი შეწირულების ოდითგანვე დამკვიდრებულ ტრადიციას დიდებულებიც კვლავ ერთგულობდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის მოურავის გრიგოლ ჩოლოყაშვილის შეწირულების წიგნი (1813 წლის 15 ივლისი) იმის თაობაზე, რომ მას ლაშარის ჯვრისთვის შეუწირავს ვერცხლის თასი და თავისი მკვიდრი ყმის მარიამ ყულის ვენახის ნაჭერი (2, გვ. 50).

ზემოთ განხილულ დოკუმენტებთან ერთად, რომელთა მიხედვითაც სამეფო ხელისუფლებისადმი ფშაველთა ერთგულება ჩანს და ეს განსაზღვრავდა მათთან ურთიერთობის ხასიათს, ამაზე მეტყველებს სამეფო ტახტის აღდგენისათვის მებრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი (1814 წლის 26 აგვისტო) ფშაველი ხევისბერებისადმი. ამ წერილის მიხედვით ალექსანდრე ბატონიშვილი ფშავლებს თავის საიმედო მოკავშირეებად თვლიდა და მათში ნდობის საფუძველს ხედავდა იმის გათვალისწინებით, რომ სამეფო კარისადმი ერთგულება ფშავლებს ადრეც დაუმტკიცებიათ (2, გვ. 50-51).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოწმებული დოკუმენტები თვალნათლივ გვიჩვენებენ სამეფო ხელისუფლებისა და ფაოდალთა დამოკიდებულების ხასიათს ლაშრის ჯვრისა და ერთობილ ფშაველთა მიმართ. ეს დამოკიდებულება მჟღავნდებოდა მოძმედ სახელდებული სალოცავისადმი გაღებულ შეწირულებათა სახით.

ამასთან ერთად ზოგიერთი დოკუმენტი ეხება ვალდებულებებს თვით ფშაველთა მხრიდან. 1801 წლის 22 თებერვლის საბუთში აღინიშნა, რომ მარილისის მამულის შეწირვისა და მისი გამოყენების სანაცვლოდ ფშაველებს დაეკისრათ ღალისა და საბალახეს გამოღება. ეს ვალდებულება გაფორმებულია რომელიღაც ბატონიშვილის განახლებული ბრძანებით, ვინაიდან ანალოგიური შინაარსის ბრძანება მეფეს ადრეც გაუცია (2, გვ. 47).

სამეფო ხელისუფლება რომ წყალობასთან ერთად ფშაველებს ვალდებულების შესრულებასაც შეახსენებდა, ამაზე პასუხს გვაძლევს დავით ბატონიშვილის ბრძანება ფშავის უნჯ ყმათა და ხევისბერების მიმართ (20 თებერვალი, 1802 წ.). მეფისწული ხევისბერებს საყვედურობს გულგრილობისა და წაყრუების გამო, იმის გამო, რომ ისინი დიდი ხნის განმავლობაში არ ხლებიან მას საქმიანი შეხვედრის მიზნით. ბრძანებაში მუქარამაც გაიჟღერა: „თუ არ ჩამოხვალთ, მაშინ შევიტყობთ, რომ ჩვენი ბატონ-ყმობა არ გნდომებიათ და მერე ჩვენს ძალასაც სცნობთ“ (2, გვ. 48).

უფლისწულის ეს განაცხადნი ფშაველთ ავალდებულებს ბატონყმობის რიგის დაცვას, რაც თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ წყალობასთან ერთად ვალდებულების შესრულებაც იგულისხმებოდა.

როგორც დამოწმებული დოკუმენტის შინაარსიდან გამოჩნდა, მთიელებთან სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალური ზედაფენის ურთიერთობა სახელმწიფოებრივ ინტერესებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან იყო დაკავშირებული. სახელმწიფო ხელისუფლებამ ამ ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მთავარი სალოცავის როლსა და ადგილს მთიელთა ტრადიციულ ცნობიერებაში. ლაშარის ჯვრის მოძმედ აღიარებაც ამ ფაქტორით იყო პირობადებული.

აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულება მოძმეობისა და ძმადნაფიცობის ტრადიციის შესახებ. ვ.ბარდაველიძემ ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში (3) სათანადო სისრულით წარმოაჩინა ეთნოგრაფიული მონაცემები ძმადნაფიცობისა და დადნაფიცობის ტრადიციის შესახებ. ეს მონაცემები ძირითადად გვაცნობენ ქართველ მთიელთა ყოფის თავისებურებებს, რაც ვ. ბარდაველიძის გამოკვლევის გამოქვეყნებამდეც ფართოდ იყო ცნობილი როგორც ეთნოგრაფიული ლიტერატურით, ისე მხატვრული ნაწარმოებებითაც (ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა). ამ საკითხზე ვ. ბარდაველიძის კვლევის შედეგები ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ როდესაც მკვლევარი ძმადნაფიცობის ხალხურ ტრადიციასთან ორგანულ კავშირში განიხილავს ლაშარის ჯვართან მეფე-დიდებულთა მოძმეობას, ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის არსებითი განსხვავება ამ ორ მოვლენას შორის. ამგვარ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია განიმარტოს, რომ ტრადიციული ხალხური ძმადნაფიცობა წმინდა ყოფითი ჩვეულება იყო და ის ოჯახებსა და პიროვნებებს შორის ურთიერთდაახლოება-დანათესავების მიზნით სრულდებოდა. მისგან განსხვავებით, მოძმეობა ლაშარის ჯვარსა და სახელმწიფო ხელისუფლების მესვეურთ შორის სოციალურ-პოლიტიკურ სტატუსს ესადაგებოდა და მთიანეთის შემომტკიცების ინტერესებით იყო ნაკარნახევი. სამეფო ხელისუფლებისათვის ლაშარის ჯვარს იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც ის მთიელთა ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობას განასახიერებდა. ეს ფაქტორი რომ არა, მოძმედ ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული ისეთი ბევრად დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა სვეტიცხოველი, ალავერდი თუ ბაგრატის ტაძარი. როგორც ცნობილია, საქართველოს უდიდესი ეკლესიებიდან წყაროებში არსად არ აღნიშნულა რომელიმე მათგანის მოძმეობა. ლაშარის ჯვართან მოძმეობა განაპირობა არა ზემოხსანებულ ტაძრებთან შედარებით ამ სალოცავის უდიდესობამ, არამედ მისმა მნიშვნელობამ მთიელებთან ურთიერთობის განვითარებაში. ამდენად, ლაშარის ჯვართან მოძმეობისა და ტრადიციული ხალხური ძმადნაფიცობის გაიგივება დაუშვებელია.

* * *

განხილული დოკუმენტების მიხედვით ნათლად გამოჩნდა, რომ ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობასთან სამეფო ხელისუფლების ურთიერთობა ლოკალური ხასიათისა იყო, რამდენადაც ეს ურთიერთობა განისაზღვრებოდა ქვეყნის შიდა ინტერესებით. სახელმწიფო ხელისუფლება ამ მხრივ სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენდა ხევის მიმართ, ვინაიდან ეს რეგიონი არა მარტო შიდასახელმწიფოებრივ, არამედ ჩრდილო კავკასიასთან და რუსეთთან ურთიერთობაშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ეს იმიტომ, რომ გარესამყაროსთან დამაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენდა არაგვის გზა, შემდგომში საქართველოს სამხედრო გზად წოდებული მაგისტრალი, რაც თბილისიდან იწყება და დარიალის ხეობის ბოლოში საქართველო-ოსეთის (ფაქტიურად კი საქართველო-რუსეთის) საზღვართან მთავრდება. ამ 200 კილომეტრიანი მაგისტრალიდან საგანგებო ყურადღება ექცეოდა გზის მონაკვეთს ხევის ტერიტორიაზე ჯვრის უღელტეხილიდან დარიალის კლდეკარამდე. ეს განპირობებული იყო ერთი მხრივ დარიალის ჭიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრის თავდაცვითი მნიშვნელობით, როგორც უძველესი დროიდან რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე, ისე ამ შეერთებისთანავე და მის შემდგომ პერიოდშიც. საქართველოს სამეფო ხელისუფლება ხედავდა, რომ დარიალის ხეობაზე კონტროლის დაწესება და გზის სამიმოსვლო ვარგისიანობა აუცილებელი პირობა იყო რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. პირველ რიგში ამაზე ფიქრობდა ერეკლე მეორე, რომლის მეფობის პერიოდშიც გაფორმდა ე. წ. "მფარველობითი ტრაქტატი" (1783 წ.) და რეგულარული ხასიათი მიეცა ელჩების მიმოსვლას, რუსეთის ჯარის შემოსვლას თუ ვაჭართა ქარავნების მოძრაობას. ყოველივე ეს რომ შეუფერხებლად განვითარებულიყო, უპირველეს საზრუნავს შეადგენდა უსაფრთხოების შექმნა, განსაკუთრებით კი მგზავრებზე თავდასხმების აღკვეთა. არადა თავდასხმებს ანხორციელებდნენ თაგაურის ხეობაში – სოფელ ლარსიდან ქ. ვლადიკავკაზამდე მცხოვრები ოსები. მათი მუდმივი ყაჩაღობის ალაგმვის მიზნით ერეკლე მეორემ თაგაურელი ოსები თავის სამსახურში ჩააყენა (ხიდების შეკეთება, გზის რემონტი, ძნელად სავალ ადგილებში მგზავრთა ბარგის გადაზიდვა ...) ჯამაგირის მიცემის პირობით. ეს კარგად ჩანს ერეკლეს წერილებიდან თაგაურელი ოსებისადმი. ასევე ცნობილია, რომ ამგვარ ურთიერთობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ოთხ სამოურავოდ დაყოფილი ხევის თავკაცები, სახელდობრ, ქვემო ხევის მოურავის სტატუსით აღჭურვილი ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი. როგორც ეს პიროვნება, ისე მისი შთამომავლობა ხევში დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და საქართველოს სამეფო ხელისუფლებას თუ რუსეთის სამოხელეო აპარატს გულმოდგინედ ემსახურებოდნენ. ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის შემდეგ ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა იყო მისი შვილი გაბრიელ ყაზბეგი (მან მამის საკუთარი სახელი გვარად გაიკეთა), რომელმაც გენერლის წოდებაც კი დაიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურა. ყოველივე ეს გაშუქებულია სპეციალურ ნაშრომში (6) და მის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ამჯერად ჩემს ამოცანას შეადგენდა მხოლოდ იმის თქმა, რომ პერიფერიებთან სამეფო ხელისუფლების ურთიერთობაში ხევი გამორჩეულ კუთხეს წარმოადგენდა, რამდენადაც გეოგრაფიული მდებარეობის გამო მას ყველაზე დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ მთიანეთის ყველა სხვა კუთხისაგან განსხვავებით ხევში გამოიკვეთა ყაზბეგების პრივილეგიები და სახელმწიფოებრივ დონეზე ჩამოყალიბდა სამეფო ხელისუფლებისა და ადგილობრივ მოხელეთა ურთიერთობა.

არსებული დოკუმენტებისა და საისტორიო წყაროების განხილვის შედეგად გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო ხელისუფლებისადმი მთიელთა თანადგომას და ურთიერთობის იმ ფორმებს, რაც განაპირობებდა მთიანეთის შემომტკიცების აუცილებლობას ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. საბუთები იმაზედაც მეტყველებენ, თუ ამ ურთიერთობაში რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა მთიანეთის ამა თუ იმ კუთხის მდებარეობას, მის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ტრადიციული ყოფის ლოკალურ თავისებურებებს და სალოცავების როლს მთიელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, "ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973.
2. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ., 1974.
3. ვ. ბარდაველიძე, მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მოძმეობის ინსტიტუტი), ჟ. მაცნე (ისტორიის... სერია), 1971, № 3.
4. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.
5. ვალ. ითონიშვილი, ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები წოვა-თუშებში, "ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული", თბ., 1976.
6. ვალ. ითონიშვილი, მეგობრობის გზა, თბ., 1983.
7. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გამოსცა ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობები ქართველ მთიელთა შესახებ

რუსეთის იმპერიის შექმნის დროიდან ინტენსიური ხასიათი მიეცა მის შემადგენლობაში მოქცეული ქვეყნებისა და ხალხების მრავალმხრივ მეცნიერულ შესწავლას. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის საიმპერატორო აკადემიის დაარსების პერიოდიდან (1725წ.), ხოლო შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდა 1845 წლიდან – რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების დაფუძნების დროიდან (**Л.М.Сабурова**, Русское географическое обшество и этнографическое иследования, Сб. „Очерки истории русской этнографии, фольклористики и антропологии, Ленинград, 1997). რუსეთის აკადემიისა და გეოგრაფიული საზოგადოების ფართომასშტაბიანი კომპლექსური კვლევა-ძიების შედეგები აისახა რუსულ და ევროპულ ენებზე გამოცემულ მრავალრიცხოვან წიგნებში, სამეცნიერო კრებულებში და ჟურნალ-გაზეთებში. სამეცნიერო პროდუქციის შექმნაში მონაწილეობდნენ თავდაპირველად რუსეთის აკადემიაში მოწვეული ევროპელი სწავლულები, ხოლო შემდეგ რუსი და რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები, სომხები თუ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გაერთიანებულ ყველა სხვა ქვეყანასა და რეგიონთან ერთად სამეცნიერო მუშაობა ფართოდ გაიშალა კავკასიაშიც, რისი დამადასტურებელიცაა მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები კავკასიის ხალხთა ისტორიული წარსულის, ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების, ფოლკლორისა და ენების შესახებ.

უცხოელ მკვლევართა და დამკვირვებელთა შორის, რომლებიც ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი, თვალსაჩინო ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმკვიდრა ი. გიულდენშტედტმა (1745-1781). გერმანელი სწავლული, პროფესიით ექიმი და ბუნებისმეტყველი, იყო რუსეთის საიმპერატორო აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ისტორიული და გეოგრაფიული კალენდრის რედაქტორი. რუსეთის აკადემიაში მოღვაწე მრავალ მეცნიერთან ერთად ი. გიულდენშტედტი ხელმძღვანელობდა დიდ სამეცნიერო ექსპედიციას, რომელიც მრავალი რეგიონის შესწავლას ითვალისწინებდა. აკადემიის დავალებით მან 1770-1773 წლებში იმოგზაურა სახელმწიფოს ევროპული ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთში და კავკასიაში, მოიარა ყიზლარის მხარე, ყაბარდო, ოსეთი და საქართველო.

გარდაცვალებამდე ი. გიულდენშტედტმა გამოაქვეყნა კავკასიაში მოპოვებული მასალების საფუძველზე დაწერილი მხოლოდ რამდენიმე ცალკეული გამოკვლევა. ერთ-ერთი მათგანია „Географические и исторические известия о новой пограничной линии Российской империи, проведенной между рекой Тереком и Азовским морем (с картой). ეს ნაშრომი, რომელიც გერმანულ ენაზეც არსებობს, მან გამოაქვეყნა თავისი რედაქტორობით გამოცემულ ორგანოში: „Месяцеслов исторический и географический на 1779 год"; перепечатано, „собрание сочинений, выбранных из месяцесловов на разные годы",1790, №4.

როგორც მ. კოსვენი შენიშნავს, ამ სტატიაში წარმოჩენილია კავკასიის ხაზის ორგანიზაციის ისტორია, აღწერილია ცალკეული ციხე-სიმაგრეები, გამოვლენილია ისტორიული მონაცემები, ნაჩვენებია ადგილობრივი მოსახლეობის (ყუმუხების, აფხაზების და ე.წ. „ნოღაელი თათრების"; ამ უკანასკნელში იგი გულისხმობს ბალყარლებსა და ყარაჩაელებს) იმდროინდელი მდგომარეობა (**М.О. Косвен**, Материалы по истории этнографического щучения Кавказа в русской науке, „Кавказский этнографический сборник", москва. 1956, с.285).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და კავკასიის სხვა მხარეებში ი. გიულდენშტედტის საექსპედიციო მუშაობის შედეგები აისახა მის გამოკვლევაში (ი. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962; II, თბ., 1964; გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და გამოკვლევით გამოსცა გ. **გელაშვილმა**), რომელშიც ავტორი მრავალ სხვა საკითხთან ერთად განიხილავს მონაცემებს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ენების შესახებაც. მისი დაკვირვებები ერთნაირად საყურადღებო და მნიშვნელოვანია როგორც კავკასიის ხალხთა შესახებ, ისე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევასთან დაკავშირებითაც. მონაცემები კავკასიის ხალხთა შესახებ განხილული მაქვს სპეციალურ ნაშრომში*, რასაც აქ აღარ დაუბრუნდები. ამჯერად მიზნად დავისახე მხოლოდ იმ მონაცემების ინტერპრეტაცია, რაც ეხება ქართველ მთიელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგებს.

ცნობები საქართველოს მთიანეთისა და მისი მოსახლეობის შესახებ გვხვდება მეცნიერის მიერ განვლილი მარშრუტების აღწერილობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ასეთ მარშრუტს წარმოადგენდა გზა ქსნის ხეობის სოფელ ლარგვისიდან ოსეთის ქალაქ მოზდოკის მიმართულებით, რომლის აღწერილობაში ვკითხულობთ: „3 დღე მივდიოდით დაუბრკოლებლად – ლომისაზე, მლეთზე, გუდამაყარზე (ქართულ თარგმანში შეცდომაა დაშვებული – ი. გიულდენშტედტმა მოიხსენია არა გუდამაყარი, გუდამაყრის ხეობა, არამედ მთიულეთის სათავეში მდებარე ღუდა ანუ ღუდის ხევი) და ხევზე გავლით – თერგზე მდებარე უკანასკნელ ქართულ სოფელ სტეფანწმინდამდე, რომელიც არის ადგილ-სამყოფელი ყაზბეგისა, ქართვე-

---

* იგულისხმება <u>ვახტანგ ითონიშვილის</u> ნაშრომი – ი. გიულდენშტედტის ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ, რაც მე-11 თავის სახით შეტანილია წიგნში – „ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან," თბ., 2002.

ლი აზნაურისა, რომელსაც ერეკლე მეფისგან აქვს ეს ტიტული ნაბოძები და განაგებს ამ სასაზღვრო სოფლებს. აქედან ოსური მხარის ტაგატას ან თაგაურის სოფელ ჩიმამდე ხუთჯერ გავედით თერგზე, რომელზედაც ახლა არც ერთი ხიდი არ იყო. სამ ზემოთ მდებარე ხიდს ხევსურეთის (ქართულ თარგმანში ხევის ნაცვლად შეცდომით წერია ხევსურეთი, დედანში კი ხსენებულია ხევი – ვ.ი.) ქართველები დარაჯობენ; ორ ქვემოს კი თაგაურელი ოსები" (II, გვ. 157).

ავტორისეულ შეცდომად უნდა შეფასდეს ხევის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ სტეფანწმინდის (მერმინდელი ყაზბეგი) მიჩნევა უკანასკნელ ქართულ სოფლად. ამ შეცდომით მკვლევარმა სტეფანწმინდა საქართველო-ოსეთის სასაზღვრო ზონაში განათავსა. როგორც ჩანს, მისთვის უცნობი იყო, რომ სტეფანწმინდის ქვემოთ, დარიალის ხეობაში იყო და არის კიდევ რამდენიმე სოფელი; გზის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ადგილას მდებარეობდა სოფელი ქობი (ამჟამად ნასოფლარი), მის ახლოს დღემდე არის შემონახული სოფელი ცდო, ხოლო გზასთან ახლოს, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე – სოფელი გველეთი.

ხევის შესახებ ფიქსირებულ ზემოთ განხილულ ცნობებთან ერთად ფრიად საყურადღებოა მეცნიერის ინფორმაცია ამ კუთხის ერთ-ერთი ადგილის შესახებ, სადაც მოხდა ერეკლე მეორისა და გენერალ ტოტლებენის შეხვედრა 1769 წელს. ამ ესოდენ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის აღწერასთან ერთად ყურადღებას იქცევს თვით შეხვედრის ადგილის სახელწოდება. როგორც მეცნიერი იუწყება, „ამ მხარეში თერგზე კობთან, პატარა ველზე, რომელსაც ქართველები ადოს მინდორს უწოდებენ, შეხვდა მას (ტოტლებენს – ვ.ი.) ერეკლე მეფე" (II, გვ. 225).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ტოპონიმი პირდაპირ კავშირშია აქ მდებარე სოფლის სახელწოდებასთან. ამ სოფელს ისტორიულად ერქვა ადო. ასე მოიხსენიება ის „გერგეტის სულთა მატიანეში", სახელდობრ, 1439 წლით დათარიღებულ გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში (ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, XV-XVIII სს. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 247, 272). დროთა ვითარებაში ამ სოფელში ოსები ჩამოსახლდნენ და მას უწოდეს ნოგყაქ, რაც ოსურად ნიშნავს ახალ სოფელს (ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971). ცხადია, ეს სოფელი ახალმოსახლე ოსთათვის მართლაც ახალი იყო, მაგრამ ძნელი სათქმელია – ტოტლებენის იქ დაბანაკების ჟამს სოფელ ადოში ოსები უკვე მოსახლეობდნენ თუ არა. ამაზე პასუხს არ გვაძლევს არც საისტორიო წყაროები და არც ხალხური გადმოცემები. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ზემოხსენებულ გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთის (XV ს.) ჩვენებით ადო ქართველებით (მოხევეებით) დასახლებული სოფელი იყო, ხოლო ტოპონიმიკამ შემოგვინახა სოფლის მიდამოს სახელწოდება ადოს მინდორი, რაშიაც თავისთავად არეკლილია სოფლის ქართული სახელწოდებაც.

გარდა საკუთრივ ხევისა, ი. გიულდენშტედტმა თავის აღწერილობაში დააფიქსირა საარაგვოში შემავალი რამდენიმე ტერიტორიული თემის არსებობა. მათ შორის აღსანიშნავია მხარეებად სახელდებული ხადა, გარეშემო, მრევლი და გუდამაყარი (I, გვ. 267-269).

მოცემული ლოკალიზაცია არაგვის საუფლისწულოს 1774 წლის აღწერის მონაცემების შესატყვისია (შდრ. ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907, გვ. 428-473). ამდენად, ზოგიერთი უზუსტობის მიუხედავად, ი. გიულდენშტედტის აღწერი-

ლობას ერთ-ერთი წყაროს მნიშვნელობა ენიჭება საარაგვოში შემავალი ტერიტორიული თემების ლოკალიზაციასთან დაკავშირებით (დაწვრილებით იხ. **ვახტანგ ითონიშვილი**, არაგვის ხეობა, თბ., 1986).

ი. გიულდენშტედტის აღწერილობაში ზოგიერთი უზუსტობა გამოჩნდა ქართლისა და კახეთის მთიანეთის ცალკეული კუთხეების გეოგრაფიულ განთავსებასთან დაკავშირებით. ამის მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ ცნობა იმის შესახებ, თითქოს ხევსურეთი „მხარე არის მაღალ მთიანეთში, კიდევ უფრო ზევით არაგვზე; მთლიანად ოსებითაა დასახლებული" (I, გვ. 269).

ცხადია ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ხევსურეთის არაგვი, არამედ მთიულეთის არაგვი, რომლის სათავეში მდებარეობს ღუდის ხევი ანუ ღუდა, რაც ხევსურეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული მხარეა. სხვა ადგილას თვით ი. გიულდენშტედტი არნიშნავს: „ამ პროვინციის (ავტორი ეხება შიდა ქართლს – ვ. ი.) ჩრდილოეთი ნაწილი უკავიათ ოსებით დასახლებულ მხარეებს. ამ პროვინციის მხარეებია: ოსური მხარე გუდა (ღუდა – ვ. ი.) არაგვს ზემოთ, 7 სოფლით" (I, გვ. 267).

მართებული იქნებოდა შიდა ქართლის ნაწილად ღუდის გამოყოფა ოსური მოსახლეობით და არა ოსურ მხარედ, რამდენადაც ოსების აქ დასახლება გვიანფეოდალურ ეპოქაში რეალური ჩანს (**ვახტ. ითონიშვილი**, არაგვის ხეობა), მაგრამ კიდევ უფრო დიდი შეცდომაა ღუდის მიჩნევა ხევსურეთად. ეს შეცდომა შეინიშნება სხვა ადგილასაც, როდესაც შიდა ქართლის შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებად დასახელებულია ხადა, ხევსურეთი, გუდამაყარი, ფშავი და საერისთავო (I, გვ. 267, 269, 271). ესოდენ აღრეული ლოკალიზაციის საფუძვლად აღებულია ერთ შემთხვევაში კუთხური, ხოლო მეორე შემთხვევაში ადმინისტრაციული სახელწოდებანი. ადმინისტრაციულ ერთეულად სახელდებულია საერისთავო, რომელშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედიოდა არაგვის ხეობის ბარი და მთის კუთხეები: ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი (ორი თემის ხადისა და ცხავატის გაერთიანება – ვ. ი.), ხევი და თრუსო. ამგვარი დაყოფით ლოკალიზაციის პრინციპი დარღვეულია, ვინაიდან აქ ერთდროულად დასახელებულია საერისთავოც და მასში შემავალი ზოგი ხეობაც. სამაგიეროდ გამორჩენილია ჭართალი, ხანდო, ხევი და თრუსო. სრულ გაუგებრობას ქმნის აქ ხევსურეთისა და ფშავის დასახელება, რომლებიც ეკუთვნიან არა ქართლის, არამედ კახეთის მთიანეთს.

ანალოგიური ხასიათის აღრევა შეინიშნება ი. გიულდენშტედტის მეორე ტომშიც. მისი ავტორი ოსური მხარეების არწერისას ვალაგირის მხარეში ასახელებს ჯუთას და ჩიმს (II, გვ. 61). სინამდვილეში ჯუთა ხევსურებით დასახლებული სოფელია ხევში, ხოლო სოფელი ჩიმი ოსურ მხარეს კი განეკუთვნება და ჩრდილო ოსეთში მდებარეობს, მაგრამ არა ვალაგირის (ალაგირის – ვ. ი.), არამედ თაგაურის ხეობაში, მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, ქ. ვლადიკავკაზიდან 22-ე კილომეტრზე დარიალის ხეობის მიმართულებით.

მკვლევარი კიდევ უფრო ამახინჯებს სინამდვილეს, როდესაც ის ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავს ხევსა და ხევსურეთს, ხევის სახელწოდებად აცხადებს ხევსურეთს, უსისტემოდ ჩამოთვლის ამ ორი სხვადასხვა კუთხის სოფლებს და რაც მთავარია, ყველა მათგანს ოსურ მხარეს მიაკუთვნებს (II, გვ. 63). მის მიერ აღრიცხული სოფლების ერთი ნაწილი ხევშია განლაგებული და მაშინაც მოხვევებით იყო დასახლებული. წარმოდგენილია ხევსურთა სოფლების არასრული ნუსხაც. მკვლევარს შეუმჩნეველი არ დარჩენია აგრეთვე ხევის ტერიტორიაზე ოსებით დასახლებული რამდენიმე სოფელი: ტალგათი (თოლგოთი – ვ. ი.), მნა, ნოგყაუ, კობი, უხათი და ყოველივე ამის საფუძველზე იგი განმარტავს: „ორი მოსაზღვრე მხარეა ზემო თერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზე, რომლებსაც აგრეთვე სონი და მეკევანი ჰქვიათ... ისინი მდებარეობენ თერგზე და კუმბელეის ნაკადულებზე ალპების მთებში. მოსახლეობა თავის თავს ეძახის აგრეთვე ხევსურეთს" (II, გვ. 63).

ი. გიულდენშტედტი ამგვარ შეცდომებს იმეორებს თრუსოს ხეობის აღწერილობაშიც. მისი წარმოდგენით, საქართველოს ტერიტორიაზე, მდ. თერგის ზემო წელზე მდებარე თრუსოს ხეობა ოსური მხარეა იმ მოტივით, რომ იმ დროისათვის იქ უკვე ოსები ცხოვრობდნენ. სინამდვილეში ეს ხეობა მაშინაც ქართული მხარე, საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი იყო, ისტორიულად წანარეთის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო წანარები მოხევეთა წინაპრებად უნდა ვიგულოთ. შემდგომში წანარების ადგილ-სამყოფელში ქართველური მოდგმის დვალები მოსახლეობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში დვალები თანდათანობით გაითქვიფნენ ქართულსა და ოსურ მოსახლეობაში. ყოველივე ამის შესახებ ნათქვამი მაქვს გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ ნაშრომებში, მაგრამ ამჯერად აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დამატებით აქ მხოლოდ იმას ავღნიშნავ, რომ თრუსოს ხეობის სოფლების ჩამოთვლისას ი. გიულდენშტედტი კვლავაც ოსურ მხარეში აქცევს ხევს, ხევსურეთს და ინგუშეთის ნაწილს – არმხის ანუ ჯარიახის ხეობას (II, გვ. 65).

გერმანელმა მეცნიერმა ესოდენ დიდი არევ-დარევა შემოიტანა მთის კუთხეების აღწერილობაში, მაშინ როდესაც სწორედ არაგვისა და თერგის ხეობებზე გაიარა 1772 წელს და არ უნდა გასჭირვებოდა მათი სწორი ლოკალიზაცია. განსაკუთრებით საოცარია ის, რომ მან სტეფანწმინდა საქართველო-ოსეთის სასაზღვრო ზონის უკანასკნელ ქართულ სოფლად მიიჩნია. ეს მაშინ, როდესაც ყიზლარისაკენ მიმავალი მეცნიერი, თავისი ექსპედიციით, უგზოობისა და დარიალის ხეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსების მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის შიშით, მთელი ოთხი კვირის განმავლობაში ამ სოფელში იყო გაჩერებული მაშველი შეიარაღებული რაზმის მოლოდინში. ამ ხნის მანძილზე ის ცხოვრობდა ყაზბეგების ოჯახში და ქირასაც იხდიდა. მისთვის ისიც ცნობილი იყო, რომ ამ მხარეს (ხევს) განაგებდა ყაზბეგი (იგულისხმება ყაზიბეგ ჩოფიკაშილი – ვ. ი.), რომელსაც ერეკლე მეორისაგან აზნაურობა ჰქონდა ბოძებული. ამ გვარის წარმომადგენელთაგან მასთან ყველაზე ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ყაზიბეგის შვილი გაბრიელი (ალექსანდრე ყაზბეგის პაპა), როგორც მეგზური და თარჯიმანი (რუსეთის ხელისუფლების წინაშე დამსახურებისათვის შემდგომში გენერლის წოდებაში ამაღლებული). გაბრიელი თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა რუსული ენის ცოდნის წყალობით. ასეთ პიროვნებასთან საქმიანი ურთიერთობის პირობებში ძნელი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ გაბრიელის მეშვეობით მკვლევარს არ სცოდნოდა სად თავდებოდა საქართველოს საზღვარი და რანაირად უნდა ყოფილიყო სტეფანწმინდა უკანასკნელი ქართული სოფელი ხევის ტერიტორიაზე. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩოფიკაშვილებისგან და განსაკუთრებით კი გაბრიელისგან მას ვერ მიეღო სათანადო ინფორმაცია მთიანეთის კუთხეების შესახებ და ისიც კი ვერ დაედგინა, თუ სად იმყოფებოდა – ხევსურეთში, ხევში, თუ ოსურ მხარეში.

საქართველოს მთიანეთის შესახებ არსებულ ცნობებს შორის საყურადღებოა ი. გიულდენშტედტის დაკვირვება რელიგიის განვითარების მდგომარეობაზედაც. მისი შეხედულებით, „რელიგია ქართულ პროვინციებში არის ბერძნულ-ქრისტიანული. მაღალ მთებში მდებარე მხარეებში, როგორიცაა თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი და სვანეთი, ის თითქმის გადავარდნილია და მოსახლეობა ცხოვრობს ყოველგვარი რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგიისა და რელიგიური ქმედების გარეშე. მხოლოდ დიდმარხვა და კვირაობით სამუშაოზე გაუსვლელობა აქ, ისევე როგორც ქისტეთში, ოსეთსა და ბასიანიაში, არის ერთადერთი ნაშთი ბერძნულ-ქრისტიანული რელიგიისა, რომელიც იქ არასოდეს ღრმად ფესვგადგმული არ ყოფილა" (II, გვ. 181).

დამკვირვებელს სწორად შეუნიშნავს, რომ ჩამოთვლილ მთიან კუთხეებში ქრისტიანული რელიგია „არასოდეს ღრმად ფესვგადგმული არ ყოფილა." მართებულად უნდა მივიჩნიოთ ის შეხედულებაც, რომ მისი იქ ყოფნის პერიოდისათვის ქრისტიანული რელიგიის როლი შესუსტებული იყო. აღნიშნული ვითარების ახსნას მკვლევარი არ იძლევა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთისა და ბარის არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაც მეტ-ნაკლები მასშტაბებით ხორციელდებოდა. სათანადო წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობა დიდ დაბრკოლებებს ხვდებოდა, განსხვავებით ბარისაგან, სადაც ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება ახალი იდეოლოგიის გამარჯვების საფუძველს ქმნიდა. ასეთ ვითარებაში, როდესაც მთიანეთის კუთხეებში წარმართული რწმენა-წარმოდგენები და კულტები ბევრად დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, სამღვდელოებასთან შედარებით მეტი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული ხევისბერ-დეკანოზებს და ეკლესიებზე მეტად ჯვარ-ხატებს ეთაყვანებოდნენ, საკუთრივ ლოგიკურად უნდა წარმოვიდგინოთ ქრისტიანული რელიგიის როლის შესუსტება საქართველოს სამეფოს ერთიანობის რღვევის პირობებში. მეცნიერი ისეთ დროს მოხვდა საქართველოში, როდესაც სამეფოს ერთიანობა მოშლილი იყო და ამ ერთიანობის გამომხატველი იდეოლოგიაც კარგავდა ზემოქმედების ძალას. ეს ორი ფაქტორი – მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების სუსტი საფუძვლები, ხოლო შემდეგ სამე-

ფოს ერთიანობის რღვევა, საკმარისი პირობები აღმოჩნდა იმისათვის, რომ მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობა გაფერმკრთალებულიყო.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, გადაჭარბებულად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ ქრისტიანული რელიგია მთიანეთის კუთხეებში „თითქმის მთლად გადავარდნილია და მოსახლეობა ცხოვრობს ყოველგვარი რელიგიისა და რელიგიური ქმედების გარეშე." ის გარემოება, რომ მთიანეთში ქრისტიანობა ოდითგანვე ბარის დონეზე ვერ განმტკიცდა და ამის გამო ადვილად წარმოსადგენია მისი ფუნქციონირების დაქვეითება ფეოდალური სახელმწიფოს ერთიანობის მოშლის პირობებში, არ გამოდგება ქრისტიანული რელიგიის მთლად გადავარდნის არგუმენტად. როგორც ი. გიულდენშტედტის დროს, ისე შემდგომ პერიოდშიც მთიანეთის კუთხეებში მოსახლეობის სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო რელიგიური სინკრეტიზმი, ქართველ მთიელთა ცხოვრებაში წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანული დოგმების თანაარსებობა, ხოლო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში ჯერ წარმართული, შემდეგ წარმართულ-ქრისტიანული, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში წარმართულ-ქრისტიანულ-მაჰმადიანური რწმენის ფუნქციონირება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული რელიგიის პრიორიტეტის დონით გაუმართლებელია თვით საქართველოს მთიანეთის კუთხეების გათანაბრება. ამ მხრივ მიზანშეწონილი არ იყო არა მარტო კახეთის მთიანეთის შედარება ეკლესიების სიმრავლით და ქრისტიანული რელიგიის განვითარებით ბევრად დაწინაურებულ სვანეთთან, არამედ თვით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეების ერთ სიბრტყეზე დაყენება. როგორც ჩანს, ი. გიულდენშტედტი არ დაჰკვირვებია იმ გარემოებას, რომ სოციალური განვითარებისა და ქრისტია-

ნობის გავრცელების დონით კახეთის მთიანეთი (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი) ჩამოუვარდებოდა ქართლის მთიანეთს (ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ქსანი).

ი. გიულდენშტედტის ნაშრომის მიმოხილვის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელმა მეცნიერმა უსათუოდ გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოსა და კავკასიის მრავალპროფილიანი შესწავლის სფეროში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს მთიანეთის შესახებ არსებული ცნობებიც, რომელთა ნაწილის გაგიარების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ განუხილველად დატოვებაც გაუმართლებელი იქნებოდა, რამდენადაც შეცდომების მხილებაც ისტორიოგრაფიული კვლევის ამოცანას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ერთი ხალხური გადმოცემის მცდარი ინტერპრეტაცია

1935 წელს ნიკო ბერძენიშვილმა ერთ-ერთ ექსკურსიაში მონაწილეობის დროს კახეთის სოფელ თეთრწყლებში მოხევე ღუდუშაურისაგან ჩაიწერა მისი ნაამბობი ხევის წარსულის შესახებ[1]. ნ. ბერძენიშვილს თავისი დღიური დაჰკარგვია, მაგრამ დაკარგვას გადარჩენია ცალკე ჩანაწერი, რომელსაც მან უწოდა „ღუდუშაურების ამბავი". ამ ჩანაწერის მიხედვით, „ღუდუშაურები სნოში ყველაზე ადრე მოსულან. ესენი ყოფილან შიოლა, პაპა და მესამე ძმა (სახელი არ იცის)". მეცნიერის ჩანაწერი ეხება ხევში მცხოვრები ზოგიერთი სხვა გვარის ვინაობასაც, ხოლო შემდეგ კვლავ ყველაზე მრავალრიცხოვანი ღუდუშაურების შესახებ აგრძელებს თხრობას და გვაუწყებს: „შიოლას და პაპას მამა ყოფილა შალვა ღუდუშაური".

ვიდრე ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერის შინაარსის გადმოცემას განვაგრძობდე, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ პირთა დასახელებისას შეინიშნება ანაქრონიზმი. თუ ხევის სოფელ სნოში ყველაზე ადრე მოსულან და დასახლებულან შიოლა, პაპა და მათი სახელუცნობი მესამე ძმა, რანაირად უნდა ყოფილიყო შიოლას და პაპას მამა შალვა ღუდუშაური. როგორ გავიგოთ ამ ცნობის შინაარსი – თავდაპირველად შალვა ღუდუშაურის შვილები მოვიდნენ და დამკვიდრდნენ სოფელ სნოში, ხოლო შემდეგ ამ სოფელში მათი მამა გადმოსახლდა?

გადმოცემაში ფიქსირებულ ცნობებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ჩანაწერი თვით **შიოლა ღუდუშაურის** შესახებ: „ნუგზარ ერისთავის დროს, როცა მან ხევი და ხევსურე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ხევის ისტორიული ფოლკლორიდან, "მრავალთავი" (საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული), I, თბ., 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი დაიჭირა (სხვათა შორის, ხევსურეთი მას არ დაუჭერია და ეს კუთხე არც შედიოდა არაგვის საერისთავოს ფარგლებში – ვ. ი.), ხევში მოხელეებად თავისი აზნაურები დააყენა: კობიანი, ჩრდილელი,. ტუსიშვილები, ყარანგოზიანი. თემთან ესენი ვერას გახდნენ. მაშინ ერისთავმა შიოლა ღუდუშაური თავის მოხელედ დანიშნა. ის მეტად უხეში და გაუტეხელი კაცი ყოფილა (მის შესახებ ბევრია ლექსი ხევში, ხევსურეთში). ერისთავმა შიოლას თავის საკუთარი სკამი გამოუგზავნა". ნათქვამის დამადასტურებლად იქვე დამოწმებულია ხალხური ლექსის ფრაგმენტი:

„შიოლა ღუდუშაურო,
სკამს იჯექ ერისთვისასა,
არც ქალს ინდობდი, არც კაცსა,
არც ყმაწვილს ერთი თვისასა
პირიდან ცეცხლსა დაჰყრიდი,
სალსა ადნობდი კლდისასა,
მთლად გული გაგქვავებია,
ნატეხს მიგიგავს ქვისასა".

ციტირებულ ჩანაწერში ნაწილობრივად აირეკლა იმ ხალხურ გადმოცემათა ვარიანტების შინაარსი, რაც ცნობილია მოხეური და ხევსურული ზეპირსიტყვიერებიდან. ყველა არსებული ვარიანტისათვის დამახასიათებელია იმ სოციალური ბრძოლის პროცესი, რაც მიმდინარეობდა გვიანფეოდალურ ეპოქაში და უშუალოდ იყო დაკავშირებული არაგვის ერისთავების მოქმედებასთან.

არსებული მასალებისა და გამოკვლევების მიხედვით ცნობილია, რომ არაგვის ერისთავები საერისთავოს ფარგლებში თავის აგენტებს აყენებდნენ, რომლებიც მათ ინტერესებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განასახიერებდნენ[2]. საისტორიო წყაროების მონაცემებს რამდენადმე ადასტურებენ ხალხური გადმოცემებიც, მაგრამ მათი დამოწმება გამართლებულია მხოლოდ არსებული ვითარებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით. ამგვარი მიდგომა იყო საჭირო თუნდაც ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერში ხსენებულ მოხელეთა არაგვის ერისთავების სამსახურში ყოფნის თაობაზედაც. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ ეს მოხელე აზნაურები ფიგურირებენ XVIII საუკუნეში, როდესაც არაგვის საერისთავო 1743 წლიდან უკვე საუფლისწულოდ იყო გარდაქმნილი. ამის გამო არაგვის ერისთავების სამსახურში მათი ყოფნა გამორიცხულია. სამაგიეროდ სარწმუნოა ხალხური გადმოცემების ჩვენება ხევში ღუდუშაურების პრეროგატივისა და საკუთრივ შიოლა ღუდუშაურის თავგამოჩენილობის შესახებ. ნ. ბერძენიშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსის ფრაგმენტიც იმის მაჩვენებელია, რომ „ერისთავის სკამში მჯდომი“ შიოლა XVII საუკუნეში რეალური პიროვნება იყო და თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა. ხალხური გადმოცემების სხვა უფრო სრული ვარიანტები იმასაც გვაუწყებენ, რომ ხალხისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო შიოლას ხევის თემმა შეთქმულება მოუწყო და ის მოკლეს, რაც ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერში არ აღინიშნა. ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერის მიხედვით, შიოლას სახელი მოუხვეჭია ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში და საჩუქრად საუკეთესო აბჯარიც მიუღია, მაგრამ ნუგზარ და ზურაბ ერისთავების მოხელედ წოდებულ „ამ გმირს – შიოლას, პირველს გაუტეხია თემის პირი“.

---

[2] ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გამოსცა ა. შანიძემ, ტფ., 1931; ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934; **დ. გვრიტიშვილი**, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955; **ვალ. ითონიშვილი**, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერი რამდენადმე ავსებს ხალხური ზეპირსიტყვაობის სხვადასხვა ვარიანტის ცნობებს შიოლას „დამსახურებისა“ და თემისმტეხელობის შესახებ, მაგრამ სოფელ თეთრწყლებში მოხევის ნაამბობი, თითქოს შიოლას შვილი იყო **შარამბალ ღუდუშაური,** შორს დგას არსებული რეალობისაგან. მთხრობელის ინფორმაციით, შარამბალი განთქმული მეომარიც ყოფილა და ამავე დროს თემის მტეხელიც. მთხრობელმა მას მიაწერა სოფელ კარკუჩიდან ყამარაულების აყრაც და თავისი თხრობა იმითი დაასრულა, რომ ივანწმინდას (ნათლისმცემლობას) თემის ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით დაუმორჩილებელი და აზნაურობის მაძიებელი შარამბალი მოუკლავთ. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შარამბალ ღუდუშაური იხსენიება 1774 წლის მოსახლეობის აღწერაში[3], რაც თავისთავად შეუძლებლად ხდის იმის წარმოდგენას, რომ ის XVII საუკუნეში მცხოვრები შიოლა ღუდუშაურის შვილი ყოფილიყო.

დამოწმებული ჩანაწერი არსებულ ვარიანტებთან აშკარა შეუსაბამობაშია იმიტომაც, რომ შარამბალი გმირობით და თემისადმი ერთგულებით ყოფილა ცნობილი, ხოლო ის, რაც ნ. ბერძენიშვილის მთხრობელმა მას მიაწერა, სინამდვილეში ეს ეხება შიოლა ღუდუშაურს.

ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერიდან ყურადღებას იქცევს ხალხური ლექსის კიდევ ერთი ფრაგმენტი: „ღუდუშაურო ღუდითა ფული გკიდია გუდითა“.

ლექსის ეს ფრაგმენტი აშკარად იმის მაუწყებელია, რომ ღუდუშაურები არაგვის ერისთავების დავალებას ასრულებდნენ და მთიულეთის არაგვის ზემო წელზე მდებარე ღუდის თემში საერისთავო გადასახადებს კრეფდნენ. უნდა ვიფიქროთ,

---

[3] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოსცა ე. **თაყაიშვილმა,** თბ., 1907, გვ. 414.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს მოვალეობა პირველ რიგში ეკისრებოდა არაგვის ერისთავის მოურავად ცნობილ შიოლა ღუდუშაურს.

ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილს რაიმე კომენტარი არ გაუკეთებია. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ მთხრობლის ნაამბობის ფიქსაციით. სამაგიეროდ კომენტატორიც გამოჩნდა ჯ. გვასალიას სახით, რომელმაც მნიშვნელობა მიანიჭა არა იმას, რომ ღუდუშაურს ღუდიდან ყალანი მოჰქონდა. ჯ. გვასალიამ ეს მარტივი ნათქვამი ისე „თარგმნა," თითქოს ღუდუშაური წარმოშობით ღუდიდან იყო[4]. მანვე, ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერისაგან განსხვავებით, ღუდუშაურს ფული კი არა, არამედ ერბო წამოაღებინა (მისი ვერსიით ასეა: „ღუდუშაურო ღუდითა, ერბო გიდგია გუდითა"). ჯ. გვასალიამ ფულს ერბო ჩაუნაცვლა იმის დასამტკიცებლად, რომ ღუდაში მესაქონლეობა იყო განვითარებული და ღუდუშაურსაც იქიდან სწორედ საქონლის პროდუქტი უნდა წამოეღო ერბოს სახით. საბუთად იმისა, რომ აქ განვითარებული მესაქონლეობა იყო, იგი იმოწმებს „ძეგლი ერისთავთა"-ს (XIVს.) ცნობას: „ამას ჟამსა იყო შფოთი და პოეს ჟამი დვალთა და წაასხეს ღუდით ზროხაჲ"[5]. მაგრამ თავისდაუნებურად იქვე იმოწმებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას, რომ მთიულეთში (რომლის შემადგენელი ნაწილია ღუდა) „ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სივიწროვის გამო"[6]. ვახუშტის ამ ცნობის ფონზე „ძეგლი ერისთავთა"-ში დაცული ცნობა ღუდიდან ნადავლის სახით წასხმული ძროხების შესახებ არ კმარა იმის მტკიცების საფუძვლად, რომ მთიუ-

---

[4] ჯ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, "საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", V, თბ., 1975, გვ. 64.

[5] ძეგლი ერისთავთა, გამოსცა შ. მესხიამ, "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 355.

[6] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, "ქართლის ცხოვრება", ტ. IV, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1973, გვ. 356.

ლეთში (კონკრეტულად ღუდაში) განვითარებული მსხვილფეხა მესაქონლეობა არსებობდა. ერთია ის, როდესაც მსხვილფეხა მესაქონლეობას მისდევენ, ხოლო მეორეა ის, როდესაც მსხვილფეხა მესაქონლეობა განვითარებულია. მითუმეტეს ამგვარ კვალიფიკაციასთან შეუსაბამობაშია იმის მტკიცება, რომ „მიწის ფართობისა და საძოვართა სიმცირე არ იძლეოდა მესაქონლეობის ფართოდ განვითარების საშუალებას“[7]. ამდენად, ცნობა ღუდიდან ძროხების წასხმის შესახებ ან ლექსში ფულის ერბოთი ჩანაცვლება მესაქონლეობის განვითარების საზომად არ გამოდგება. ჯ. გვასალიას უმთავრეს მიზანს კი ის შეადგენდა, რომ დაემტკიცებინა ღუდუშაურების ღუდიდან წარმომავლობა. მან იმას კი არ მიანიჭა მნიშვნელობა, რომ „ღუდუშაური ღუდითა“, ე.ი. ღუდიდან ყალანს ეზიდებოდა ფულის თუ ერბოს სახით, არამედ მისი გაგებით „ღუდითა“ ყოფილა ღუდუშაურების ღუდიდან წარმომავლობის მაჩვენებელი. სხვათა შორის, ჯ. გვასალიამ ისიც კატეგორიულად განაცხადა, თითქოს „ღუდას კომპლექსი ადრეფეოდალური ხანისათვის ხეობაში დაწინაურებული პირის რეზიდენციაა“[8]. საინტერესოა, ჯ. გვასალია რა მონაცემების საფუძველზე აცხადებს ღუდის კომპლექსს (ფაქტიურად სალოცავს – ღუდის ყველაწმინდას) ადრეფეოდალური ხანის ძეგლად და რითი ამტკიცებს, რომ ამ დროისათვის ღუდაში დაწინაურებული პირიც ცხოვრობდა და ის საკუთარ რეზიდენციასაც ფლობდა.

ღუდის ყველაწმინდის ხსენებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს თვით ღუდის ხევის ლოკალიზაციისა და მისი მოსახლეობის ვინაობის საკითხიც. ამ შემთხვევაში სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის შესახებ, რომ მთიულეთის ერთიან ეთნოგეოგრაფიულ კუთხედ ფორმირებამდე არსებობდა ორი

---

[7] ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
[8] იქვე, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიული თემი ხადას და ცხვატის სახით. ხადა მთიულეთის არაგვის ხეობის სათავეებს მოიცავდა და ღუდაც მის შემადგენლობაში შედიოდა. როგორც ზემოთ ითქვა, „ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით ღუდა დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენდა. მოგვიანო პერიოდში კი ის გაუკაცრიელებულა. როდიდან მოხდა ეს, შესაბამისი წყაროების უქონლობის გამო ამის ჩვენების შესაძლებლობას მოკლებული ვართ. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ღუდაში ოსები ცხოვრობდნენ, მაგრამ ვინაიდან ვახუშტი ამის შესახებ არაფერს ამბობს, საფიქრებელია, რომ მათი აქ დასახლება ვახუშტის შემდგომ პერიოდში მომხდარიყო. სხვათა შორის, ერთ-ერთ უთარიღო დოკუმენტში (მთიულეთის, გუდამაყარისა და ხანდოს „დებულობა“) ყალანის გადამხდელ ამ თემებს შორის მთიულეთის ნაწილად იხსენიება ღუდაც. რ. ხარაძე იმოწმებს რა ამ „დებულობას“ და ჩამოთვლის ზემოხსენებულ ტერიტორიულ თემებს, შენიშნავს: „ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მთიულეთის სხვა ხევებთან ერთად „დებულობაში“ დასახელებულია ღუდაც, რომელიც ჩვენთვის ცნობილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ექვსი სოფლისაგან შემდგარ, ოსებით დასახლებულ თემს წარმოადგენდა და მთიულებთან ახლო მეზობლურ ურთიერთობაში იმყოფებოდა“[9].

რ. ხარაძე „განსაკუთრებულობას“ იმაში ხედავს, რომ ოსებით დასახლებული ღუდა ზემოხსენებულ „დებულობაში“ იხსენიება, მაგრამ ეთნოგეოგრაფიულ ნომინაციაში მთავარი ის კი არ არის, რომ ოსები იქ მოგვიანებით დასახლდნენ, არამედ ის, რომ ქართული მოსახლეობის ოსებით შეცვლის მიუხედავად ღუდა მთიულეთის ერთ-ერთ მიკროთემს წარმოადგენდა. ყველაწმინდის სახელწოდებით ცნობილი მისი მთავარი

[9] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალოცავი ქართული საკულტო ნაგებობა იყო (და არა გვასალიასეული დაწინაურებული პირის რეზიდენცია), რაც რიტუალის შესრულებაშიც ვლინდებოდა. როგორც რ. ხარაძე აღნიშნავს, ღუდის ყველაწმინდაში მთიულები წილდებულები იყვნენ და ბავშვებს პირველად იქ ალოცებდნენ[10]. ამასთან დაკავშირებით მკვლევარს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინა არა იმდენად იმისათვის, რომ ღუდაში დასახლებული ოსები მთიულებთან ახლო მეზობლურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, არამედ უპირატესად იმისათვის, რომ ღუდის მთავარ სალოცავში წილდებულებით მთიულები ამ ხეობაზე ხელდების უფლებას ინარჩუნებდნენ.

ღუდა რომ ხადის თემის და, ამდენად, მთიულეთის შემადგენელი ნაწილი იყო, ამის მტკიცების საჭიროებას აქ აღარ ვხედავ იმის შემდეგ, რაც მთიულეთის ცალკეული ხევებისა და თემების ლოკალიზაცია ჩემს მონოგრაფებშია მოცემული[11]. ღუდის თემთან დაკავშირებით ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაქცევ რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის ერთობლივი ნაშრომის მხოლოდ ერთ ნაწილზე, რომელშიაც ალ. რობაქიძის კვალიფიკაციით, XIX საუკუნის დასაწყისის საბუთების მიხედვით „ზოგი მათგანი მთიულეთიდან გამოყოფდა ხორხი-ს (ხარხეთს?), ზოგი ზაკუ-ს (ზაქათკარი?), ზოგი ღუდას, ზოგი ხადას“[12].

ღუდას და ხადას მთიულეთიდან თუ ვინმე გამოყოფდა, ეს მათ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ღუდა ხადის ტერიტორიული თემის ნაწილი იყო, ხოლო ხადა თავის მხრივ მთიულეთის მთავარ ტერიტორიულ თემს წარმოადგენდა ცხავატ-

---

[10] **რ. ხარაძე**, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[11] **ვახტ. ითონიშვილი**, არაგვის ხეობა, თბ., 1986; მისივე, არაგვი და არაგველები, თბ., 1989; **მისივე**, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992.

[12] **რ. ხარაძე**, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად. რაც შეეხება სხვა შეცდომებს, აქედან პირველ რიგში აღსანიშნავია ალ. რობაქიძის განმარტება, თითქოს **ხორხი** იგივე **ხარხეთია.** ამ შემთხვევაში საჭიროდ მიმაჩნია ითქვას, რომ ხორხი მთიულეთიდან მოშორებით მდებარე სულ სხვა ხეობაა, ხოლო ხარხეთი მთიულეთის ერთ-ერთი თემის – მრევლის სოფელია. ანალოგიური ხასიათის შეცდომაა დაშვებული, როდესაც ალ. რობაქიძემ იგივეობის ნიშანი დასვა ე.წ. ზაკუ-სა და ზაქათკარს შორის. სინამდვილეში ე.წ. "ზაკუ" (ზახა) მთიულეთიდან შორს მდებარე მხარეა, რომელიც ისტორიული **ბუდე ღვალეთის** ერთ-ერთ ხეობას წარმოადგენდა **ზაკის** ან **ზაკის კევის** სახელწოდებით, ხოლო **ზაქათკარი** ხადის თემის (მთიულეთის) ერთ-ერთი სოფელია. ამგვარი შეცდომები არ უნდა გაპარულიყო ისეთ ვითარებაში, როდესაც 1774 წლის სტატისტიკურ აღწერილობაში მთიულეთის სოფლებადაა სახელდებული როგორც ზაქათკარი, ისე ხარხეთი[13].

ამ მცირედი ისტორიული ექსკურსის შემდეგ კვლავ ვუბრუნდებით ღუდუშაურების ღუდიდან წარმომავლობის აბსურდულ ვერსიას, რაც პირველად გააკრიტიკა ვალერიან ითონიშვილმა[14]. მაგრამ ამის გაუთვალისწინებლად ადრე დაშვებული ეს შეცდომა ჯ. გვასალიამ კვლავ უცვლელად გაიმეორა მოგვიანებით გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში[15]. მის ესოდენ უცნაურ ქმედებას მეც შევეხმიანე,[16] თუმცა, როგორც ჩანს, თავის შენათხზს იგი ასე იოლად ვერ ელევა და კვლავინდებურად ინარჩუნებს თავიდანვე ჯიუტად აკვიატებულ შეხედულებას. მაგ-

---

[13] ე. თაყაიშვილი, მასალანი... გვ. 439, 453.

[14] ვალ. ითონიშვილი, ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებანი, ჟურნ. "მაცნე" (ისტორიის ... სერია), თბ., 1974, № 1.

[15] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 35.

[16] ვახტ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, ამის მიუხედავად, მაინც საჭიროდ მივიჩნიე ჯ. გვასალიასთვის იმის შეხსენება, რომ თვითნებურად აჩემებულ მის "ნააზრევს" ღუდუშაურების ღუდიდან წარმომავლობის შესახებ უპირისპირდება არსებული წერილობითი წყაროების მონაცემები. გარდა იმისა, რომ ღუდუშაურების გვარის უძველესობა ცნობილია ხალხური გადმოცემების მიხედვით, საისტორიო ძეგლების მაჩვენებლებიც აშკარად მეტყველებენ ხევში მათ ცხოვრებაზე ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს XVII საუკუნიდან წარმოუდგენია ღუდელობამანიით შეპყრობილ ჯ. გვასალიას.

ჯ. გვასალიას ფანტაზიის გასაფანტავად საკმარისია დავიმოწმოთ თუნდაც ხევის შესახებ XV-XVIII საუკუნეებში შექმნილი დოკუმენტები. მხედველობაში მაქვს "ზევდგინიძე-ამილახორთა და სხვათა მოსახსენებელი", რომელშიაც მრავალთა შორის მოხსენიებულია **ჯერასიმე ღუდუშაური** და მისი მეუღლე რუსუდანი ("სულსა მოძღურისა ღუდუშაურისა ჯერასიმესსა შ~ნ ღ~ნ, მეუღლესა მისსა რუსუდანსა შ~ს ღ~მ. ვინცა ბრძანოთ, თქვენცა შ~ნ ღ~ნ").[17] XVსაუკუნით დათარიღებულ ამ საბუთთან ერთად აქვე საყურადღებოა 1439 წელს შედგენილი "გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთი", რომელშიაც სამების ტაძრისთვის გამოყოფილ მძევლებს შორის დასახელებულია **კჳრაჲს ძალთაით ღუდუშაური შალვა**.[18] დადგენილია, რომ კჳრაჲს ძალთაი იყო სოფელი ხევში, რომლის შესატყვისი გვიანდელი ტოპონიმებია **კჳრე, კჳრესუკენაჲ**, ან **ზემო სოფელაჲ** სოფელ სნოს თავზე შემორჩენილი ნასოფლარ-ნასახლარების სახით[19]. გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული სოფლის მკვიდრად ხსენებული ეს შალვა ღუდუშაური ყოფილიყო ში-

---

[17] ქ. **შარაშიძე**, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIIს.ს.), "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 276.

[18] **იქვე**, გვ. 272.

[19] ვალ. **ითონიშვილი**, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971, გვ. 151-152.

ოლას წინაპარი, რომელიც ნ. ბერძენიშვილის ჩანაწერში შეცდომით შიოლას და მისი ძმების მამად იხსენიება. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ XV საუკუნის დასაწყისში მცხოვრები შალვა XVII საუკუნეში მცხოვრები შიოლას მამა ყოფილიყო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჯ. გვასალია მნიშვნელობას მიანიჭებს დოკუმენტურად დასაბუთებულ ჭეშმარიტებას და თავს გაინთავისუფლებს უსაფუძვლო ილუზიებისგან. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ღუდიდან ღუდუშაურების წარმომავლობის აზრს ვერ შეელიოს, ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში ცდილობდა იმის დამტკიცებას, თითქოს მთიულეთის სათავეში მდებარე **ხადას** წარსულში **წილკანი** ეწოდებოდა[20]. ბოლოს და ბოლოს ისტორიკოსი ფაქტების ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს და არა უსაბუთოდ აკვიატებულ თვითშემოქმედებას.

---

[20] ჯ. **გვასალია**, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ცხავატი, წილკანი, წანარნი), "კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", III, თბ., 1971.

რედაქტორის შენიშვნა: ჯ. გვასალიას მიერ წილკნის მცდარი ლოკალიზაციის შესახებ იხ. ვახ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, თბ., 1986, გვ. 104-106; მისივე, ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან, თბ., 2003, გვ. 38-39; მისივე, ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003, გვ. 267-271.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. ზოგიერთ უზუსტობათა გამო

გაზეთ „დარიალში“ (1982 წლის 23 იანვარი) გამოქვეყნდა ნოშრევან არაბულის სტატია – „დარიალის პოლიტიკური როლი კავკასიაში IV საუკუნემდე“. ავტორი ცდილობს მკითხველს გააცნოს დარიალის კარიბჭის ისტორიული მნიშვნელობა კავკასიაში და საქართველოსთან სხვადასხვა ქვეყნების საომარ ურთიერთობაში. ამ კეთილშობილი განზრახვის რეალიზაციის მიზნით სტატიაში მოხმობილია ქართული თუ არაქართული წერილობითი წყაროები და მოცემულია მათი ავტორისეული ინტერპრეტაცია. მაგრამ იმისათვის, რომ არაპროფესიული მდგომარეობის გამო ზოგიერთი შეხედულება სათანადოდ არგუმენტირებული არ არის, მზანშეწონილად მივიჩნიე შენიშნული სერიოზული ხარვეზების კვალიფიკაცია შესაბამისი თანმიმდევრობით:

1. ავტორის შეხედულებით, „ლეონტი მროველის თხზულება ნახევრად მითიურია, მაგრამ მაინც ღირებული, ხოლო ხაზარებში კი სკვითები უნდა ვიგულისხმოთ“.

ამ გამონათქვამს აშკარად არაპროფესიონალიზმის ბეჭედი აზის. ქართული საისტორიო თხზულების ამგვარი შეფასება მიუღებელია, ვინაიდან არც ერთ ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველის ეს ნაშრომი „ნახევრად მითიურ“ თხზულებად არ უცნია. არაპროფესიონალიზმის კიდევ ერთი გამოვლინებაა სტატიის ავტორის ახალი და დღემდე გამოუთქმელი კონცეფცია, რომ ხაზარებში სკვითები უნდა ვიგულისხმოთ. რატომ სკვითები და არა ხაზარები? – თურმე იმიტომ, რომ ლეონტი მროველი ქრონოლოგიურ უზუსტობას უშვებს. ნ. არაბულს უნდა შევახსენოთ, რომ ლეონტი მროველთან ხაზარების გამოსვლა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაზე ადრეა მოხსენიებული. სტატიის ავტორმა კი ქართველი მემატიანის ცნობები „შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწორა“ და თვითნებურად ხაზარები სკვითებად წარმოაჩინა. როდესაც მას სტატიის დაწერის სურვილი გაუჩნდა, უსათუოდ უნდა გაეთვალისწინებინა ის უტყუარი ფაქტი, რომ ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში სკვითებს არ შეეძლოთ „დაესწავლათ ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღუს კარი, დარუბანდი და არაგუს კარი, რომელ არს დარიალა“. იმ დროს ეს გზები უშუალოდ ქართული სახელმწიფოს დასათრგუნავად მტერს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოადგებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ძვ. წ. VIII საუკუნეში იბერია არც არსებობდა. „ქართლის ცხოვრებაში“ კი გარკვევითაა მინიშნებული, რომ ხაზარები ამ გზებით ქართლში შემოდიოდნენ და მას აოხრებდნენ.

2. ავტორის მტკიცებით, „დარიალსაც მიუძღვის „ბრალი“ ასურეთისა და ურარტუს დაცემაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სუსტ ქვეყნებზე, რომელთაგან ზოგი მთლიანად აღგავეს მიწისაგან პირისა“.

საინტერესოა, რანაირად ედება „ბრალი“ დარიალს ასურეთისა და ურარტუს დაცემაში მაშინ, როდესაც სკვითებისა და სარმატების შემოსევების დროს ეს ქვეყნები არ დაცემულან. ასევე გაუგებარია, რომელი ქვეყნები იგულისხმებიან ავტორის მიერ სახელდებულ სუსტ ქვეყნებად? ეს დაკონკრეტებული არ არის და ეს შეუძლებელიც იქნებოდა სათანადო მონაცემების დამოწმების გარეშე.

3. ასურეთისა და ურარტუს დაცემაში მონაწილეთა შორის ავტორი ასახელებს კავკასიელ ტომებსაც, მაშინ როდესაც ისინი მონაწილეობდნენ მხოლოდ ურარტუს ჩრდილოეთი სამფლობელოების განადგურებაში.

4. ავტორის შეხედულებით, თურმე „კარგი დღე არც იბერიას დაადგებოდა სკვით-კეიმერიელთა შემოსევის შედეგად დარიალი რომ არა, შესაძლებელი იყო მათ გვერდი აევლოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბერიისათვის, თუმცა იბერიაში მათი ლაშქრობის შესახებ ისტორიული წყაროები ძუნწ ცნობებს იძლევიან“.

დამოწმებული ფრაზის მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში იბერია ჩამოყალიბებული სახელმწიფო ყოფილა. ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ სწორედ დარიალი გამოიყენეს ბარბაროსებმა და იბერია ამ ფატალურმა უიღბლობამ ვერ იხსნა სკვითთა შემოსევებისაგან. თურმე დარიალი რომ არა, შესაძლებელი იყო სკვითებს გვერდი აევლოთ იბერიისაგან. ავტორს რატომღაც არ უფიქრია, რომ დარიალის გარდა იბერიაში შემოსაჭრელად სხვა გზაც არსებობდა თუნდაც დარუბანდის მხრიდან, მითუმეტეს, რომ მისივე თქმით, „დარიალი დარუბანდთან ერთად მაინც იქნებოდა მახლობელი აღმოსავლეთის გასაღები“ და ამდენად იგი იმოქმედებდა აღნიშნული „მონათმფლობელური თუ სხვა ქვეყნების ბედზედაც“.

ჯერ ერთი, ავტორი რა მონაცემების საფუძველზე თვლის დარიალსა და დარუბანდს მახლობელი აღმოსავლეთის გასაღებად და, მეორეც, რომელ მონათმფლობელურ ქვეყნებზეა საუბარი? როგორც ჩანს ნ. არაბული გულისხმობს ურარტუსა და ასურეთს, ზემოთ კი ლაპარაკობს იბერიასა და კოლხეთზედაც, რომლებსაც, როგორც ჩანს, ასევე მონათმფლობელურ სახელმწიფოებად მიიჩნევს. ამგვარ მტკიცებებს ხომ სპეციალური ლიტერატურის ცოდნა მაინც ესაჭიროებოდა.

5. უსათუოდ ნ. არაბულის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ის არგუმენტი, რომ სკვითები და კიმერიელები „გვაროვნულ წყობილებაში მყოფი ტომები იყვნენ“. მისივე შეხედულებით, სკვითებისა და კიმერიელების „შემოსევის შედეგად დაეცა ახლო აღმოსავლეთის ორი უძლიერესი სახელმწიფო – ურარტუ და ასურეთი. ამ ცნობებს ჰეროდოტე გვაწვდის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. არაბულის ორივე ეს შეხედულება მხოლოდ მისი ნააზრევია, რაც არ დასტურდება შესაბამისი წყაროებით და, ამდენად, ისტორიული მოვლენების ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე. მას უნდა შევახსენოთ, რომ ურარტუს სახელმწიფო დაეცა არა ძვ. წ. VIII საუკუნეში, არამედ ძვ. წ. VI საუკუნეში იგი დაანგრია მიდიამ. რაც შეეხება სკვითებს, მათ ურარტელებს ბოლო მოუღეს ჩრდილოეთში, სამხრეთ ამიერკავკასიაში. სკვითების მიერ ურარტუს ჩრდილოეთი სამფლობელოების მოსპობა არამც და არამც არ ნიშნავს ურარტუს სამეფოს განადგურებას სკვითების მიერ. რაც შეეხება ასურეთს, იგი არ დაცემულა კიმერიელებისა და სკვითების შემოსევებით. იგი დაიპყრო ბაბილონის ჯარმა ნაბუქოდონოსორის მეთაურობით ძვ. წ. 605 წ. ამრიგად, ასურეთს ბოლო მოუღო ბაბილონმა, ხოლო ურარტუს – მიდიამ. ამის ცოდნა ევალება ყველას, ვისაც კი ამ საკითხებზე რაიმეს დაწერის სურვილი უჩნდება.

6. ავტორი წერს: „დარიალის მეშვეობით ბევრჯერ გადაქანებულა ძლევამოსილების სასწორი ქართველებისა და ალან-ოსების, მცირე აზიური თუ ჩრდილო კავკასიური ტომების სასარგებლოდ, თუ საზიანოდ. მის ხელში ჩაგდებას მუდამ მიელტვოდნენ ცნობილი სახელმწიფოები, ტომები, მეფეები და სარდლები“.

ჯერ ერთი აქ გამოკვეთით უნდა ყოფილიყო სახელდებული ავტორის მიერ ნაგულისხმევი „ცნობილი სახელმწიფოები“. რაც შეეხება „ძლევამოსილების სასწორს“, ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა – ნუთუ დარიალმა თანაბარი როლი შეასრულა საქართველოსთვის და აქ აღნიშნული ქვეყნებისათვის? ჩრდილო კავკასიისათვის დარიალი განა ოდესმე ასრულებდა უარყოფით, საზიანო როლს?

7. ავტორის მტკიცებით, I საუკუნის მცხეთის სიმაგრეები კონტროლს უწევდნენ დარიალის ხეობაში გამავალ არაგვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას, ხოლო მისივე შეხედულებით, „ეს ცნობა უკვე მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდნენ იბერები დარიალის სავაჭრო-საკომუნიკაციო მაგისტრალს“.

ნათქვამთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ ფუნქციას ასრულებდა არა კონკრეტულად დარიალი, არამედ ორივე არაგვის (მთიულეთისა და ხევის არაგვის) მაგისტრალი მცხეთიდან დარიალამდე, რასაც შემდგომში საქართველოს სამხედრო გზა ეწოდა. ამ საკმაოდ გრძელი გზის ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტს წარმოადგენდა დარიალის კარი. ეს იყო აღნიშნული უმნიშვნელოვანესი საგზაო არტერიის ჩრდილოეთით მდებარე უკიდურესი პუნქტი, რაც ძირითადად საფორტიფიკაციო მნიშვნელობით გამოირჩეოდა. დარიალი არაგვის კარად იწოდებოდა იმდენად, რამდენადაც ის ამ გზის ჩამკეტ და ქართლში შემომყვან უმთავრეს შემოსასვლელს წარმოადგენდა.

8. ნ. არაბულის ინტერპრეტაციით, „იბერიელი მეფეები განსაკუთრებულად დარაჯობდნენ ჩრდილოეთის კარებს და რომ დარიალი დარუბანდზე მეტს თუ არა, ნაკლებ როლს არ ითამაშებდა იბერიის სახელმწიფოს ყოფაში“.

რამდენადაც ცნობილია, ამაზე არავინ დაეჭვებულა გარდა თვით ავტორისა, რომელიც სვამს კითხვას – დარიალი უფრო მნიშვნელოვანი იყო თუ დარუბანდი. შემდეგ ამ ეჭვს თვითონვე აქარწყლებს დღემდე უცნობი და არარსებული თვალსაზრისით, რომ იბერიის სახელმწიფოსთვის დარიალი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ვიდრე დარუბანდი. ამგვარი შედარებები მიზანშეწონილი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ დარიალი ყოველთვის ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა, ხოლო დარუბანდი იშვიათად.

9. ნ. არაბულის შეხედულებით, სომეხთა მხედართმთავრის სუმბატ ბივრიტიანის ძალებს იბერნი ვერ უმკლავდებოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ და საშველად უხმობდნენ ოსებსა და მათ მეზობელ ტომებს. როგორ ფიქრობს სტატიის ავტორი, სამხედრო ძალების მოშველიება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც იბერიას მოწინააღმდეგე ჯაბნიდა? – განა ქართული სამხედრო მანქანის ძლიერების ზენიტში ქართველი მეფეები არ იშველიებდნენ ჩრდილო კავკასიელთაგან დაქირავებულ ძალებს? ერთია, როდესაც სხვა გამოსავალი არ არსებობდა და ამიტომ იშველიებდნენ ოსებს და საერთოდ ჩრდილო კავკასიელებს, ხოლო მეორეა, როდესაც მათი მოშველიებით კიდევ უფრო განამტკიცებდნენ არც თუ ისე სუსტ ქართულ ჯარს.

10. სტატიაში გვხვდება ასეთი ფრაზები: „ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, როცა იბერიის სამეფო ძლიერების გზაზე იყო დამდგარი... I საუკუნის 30-იან წლებში იბერია უკვე ძლიერი სახელმწიფოა, იგი წინააღმდეგობას უწევს პართიასა და რომს“.

საკითხავია – სად წაიკითხა ამ სტრიქონების ავტორმა, რომ იბერია სხვა დროს სუსტი სახელმწიფო იყო? იბერია რომ ძლიერი სახელმწიფო არ ყოფილიყო, ის ვერ გაუძლებდა იმავე პართიისა და რომის მუდმივ მოწოლას. აქვე შევნიშნავთ, რომ წინააღმდეგობის გაწევა ყოველთვის არ არის ქვეყნის ძლიერების კრიტერიუმი.

11. ავტორი წერს: „მომდევნო საუკუნეებში მცხეთას რაიმე დიდი პოლიტიკური როლი არ უთამაშია. სამაგიეროდ იგი ყოველთვის იყო სავაჭრო-ეკონომიკური არტერია, რომლითაც იბერია კავკასიონის გადაღმა მდებარე ქვეყნებთან ამყარებდა კავშირს“.

ნათქვამის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორს მანამდე მცხეთის რაიმე როლზე უკვე ჰქონდა საუბარი. აქვე იბადება კითხვა – რას გულისხმობს ავტორი მომდევნო საუკუნეების ხსენებისას. იგი მანამდე მსჯელობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის მოვლენებზე, შემდეგ კი ლაპარაკობს მომდევნო საუკუნეების შესახებ. ასეთი ლოგიკით გამოდის, რომ ძვ. წ. VIII საუკუნეში მცხეთას უკვე რაღაც როლი ეკისრებოდა, ხოლო მომდევნო საუკუნეებში მისი ეს როლი დაკნინებულა. ასეთი ქრონოლოგიური ნახტომის ულოგიკობასთან ერთად აშკარად წინააღმდეგობრივია იმის მტკიცება, რომ „მომდევნო საუკუნეებში მცხეთას რაიმე დიდი პოლიტიკური როლი არ უთამაშია", მაგრამ „სამაგიეროდ იგი ყოველთვის იყო სავაჭრო-ეკონომიკური არტერია, რომლითაც იბერია კავკასიონის გადაღმა მდებარე ქვეყნებთან ამყარებდა კავშირს". ავტორს უნდა შევახსენოთ, ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის ან ქალაქის პოლიტიკურ როლს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მისი სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია. ბოლოს ისიც საჭიროა ითქვას, რომ მცხეთა იყო არა სავაჭრო-ეკონომიკური არტერია, არამედ ქალაქი, რომელიც მდებარეობს სავარო-ეკონომიკური არტერიის სისტემაში. ამ არტერიის გაყოლებით მდებარე პუნქტი არტერიად არ შეიძლება იყოს გამოცხადებული.

12. სტატიაში შეინიშნება ერთი გაუგებრობაც. ავტორი სათაურით გვაიმედებს, რომ გაანალიზებდა „დარიალის პოლიტიკურ როლს კავკასიაში IV საუკუნემდე". მაგრამ იგი ჯერ ერთი ძირითადად ეხება დარიალის როლს არა კავკასიაში, არამედ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში. მეორეც, სათაურისაგან განსხვავებით ავტორი დარიალის პოლიტიკური როლის ჩვენებას ცდილობს არა IV საუკუნემდე, არამედ მხოლოდ I საუკუნის 70-იან წლებამდე.

როგორც ვხედავთ, ისტორიული მოვლენების გაშუქება მხოლოდ პროფესონალის კომპეტენციაა და არა მოხალისის საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. ეპიზოდები საარაგვოს ისტორიდან

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლასთან დაკავშირებით, რაც ვრცლად არის წარმოდგენილი ჩემს მონოგრაფიებში და სტატიებში, შემდგომში მუშაობის პროცესში ზოგიერთ ისეთ საკითხს მივაქციე ყურადღება, რომლებიც გარკვეულწილად ავსებენ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამ საკითხებს ქვემოთ სათანადო თანმიმდევრობით მიმოვიხილავთ.

1. საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი თავისებურების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

სპეციალური გამოკვლევებიდან ცნობილია, რომ სოციალური დიფერენციაციის პროცესი საქართველოს მთიანეთსა და ბარში სხვადასხვა ფორმით და დონით მიმდინარეობდა. შედეგებიდან გამომდინარე, არსებითი განსხვავება გამოხატულებას პოულობდა იმაში, რომ ბარის ანალოგიურ მკვეთრ წოდებრივ გამიჯვნას მთიანეთში ადგილი არ ჰქონია. მთიანეთისათვის სპეციფიკურია არა თავად-აზნაურთა წოდების ფორმირება, არამედ მხოლოდ მოსახლეობის საერთო მასიდან გამოყოფილ შეძლებულ და გავლენიან პირთა პრეროგატივა. მაგრამ ასეთი გავლენისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას შედეგად არ მოჰყოლია მათი იურიდიული სტატუსის შეცვლა და მაღალ წოდებაში გაფორმება. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია არ იცნობს საარაგვოს, ფხოვის (ფშავ-ხევსურეთის) და თუშეთის მკვიდრი მოსახლეობიდან აღზევებულ არც ერთ ფეოდალს. საარაგვოსთვის ცნობილი იყო მხოლოდ მეფის სამსახურში დაწინაურებული ზოგიერთი მთი-

ელის არსებობა, რომელიც გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა და რიგით მეთემეებს „ზევიდან დაჰყურებდა“, მაგრამ ერთია მისი სამსახურებრივი სტატუსით მოპოვებული გამორჩეული მდგომარეობა და მეორეა ბატონის ამბიციებით შეპყრობილი ექსპლოატატორის პრეტენზიებით სარგებლობა და მეთემეთაგან უდების მოთხოვნის უფლებამოსილება. ასეთი ვითარება ხომ გაიაზრებოდა როგორც ბატონ-ყმობა, რაც ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა თანაარსებობას გულისხმობდა. „მთის კაცნი“ თუ იმას შეეგუებოდნენ, რომ სახელმწიფო სამსახურში გათავკაცებული მეთემე მათზე მაღლა დამდგარიყო, ისინი იმას კი ვეღარ შეურიგდებოდნენ, რომ ამ გზით ამღლებული იგივე პიროვნება „ბატონად“ მოვლენოდა. თავის მხრივ გათავკაცებული მთიელიც ამაზე ნაკლებად იოცნებებდა, ვინაიდან სჯეროდა, რომ „ბატონობა“ მისთვის მიუწვდომელი იყო და, ამდენდ, მოპოვებული პრეროგატივის შენარჩუნება მას სავსებით აკმაყოფილებდა.

უნდა ითქვას, რომ თვით სიტყვა „ბატონს“ ხევში და მთიულეთ-გუდამაყარში სხვაგვარი ჟღერადობა გააჩნია. საისტორიო წყაროებიდან, ზოგიერთი დამკვირვებლის ცნობიდან და ხალხური გადმოცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მთიელები ამ სიტყვას ხმარობენ მხოლოდ „უფროსის“, „თავკაცის“ მნიშვნელობით. ამგვარი ვითარება ჩანს XIX საუკუნეშიც, რაც შეუნიშნავს გრიგოლ ორბელიანს. პოეტი როდესაც თბილისიდან პეტერბურგს მიემგზავრებოდა და მთიულეთის სოფელ ქვეშეთში შეჩერდა, თავის დღიურში დააფიქსირა: აქა „ჰსდგას მთიულეთის პრისტავი, რომელსაც მთიულები უწოდებენ ბატონად“ (**გრ. ორბელიანი**, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 158). ფიქსირებულ ჭეშმარიტებასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა ბატონის გამოყენება არ იწვევს შესაბამისად სიტყვა „ყმის“ ხმარებაში დამკვიდრებას. საარაგვოს მოსახლეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში სიტყვა „ბატონი“ იდენტურია ცნებისა „უფროსი“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „გაუფროსებული“ მთიელის „ბატონად“ ტრანსფორმაცია მთიანეთში არ მომხდარა. იმის მიუხედავად, რომ გათავკაცებული პიროვნების მხრიდან რიგით მეთემეთა ექსპლოატაციის ცდასაც ჰქონია ადგილი, ეს ცდები წარუმატებლად მთავრდებოდა და მეთემეთა დაყმევება, ყმების სტატუსში მათი გადაყვანა, საარაგვოსათვის უცნობია.

თვით ქსნის საერისთავოშიც კი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობიდან აზნაურის სტატუსში მყოფი პირებიც ჩანან, სიტყვა „თავადი“ პრეროგატივის მქონე პირთა მისამართით პირდაპირი მნიშვნელობის ცნება კი არ იყო, არამედ მხოლოდ ხევისბერთა და მამასახლისთა გვერდით მყოფი თავკაცისა. ნათქვამის დამადასტურებელია 1460 წლით დათარიღებული ერთ-ერთი დოკუმენტი. მეფე გიორგი, მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი და ძე მათი ალექსანდრე ერისთავის სისხლის ღირებულების საზღაურთან დაკავშირებულ სიგელში აღნიშნავდენ: ...„და თქუენ ქრისტეს მიერ კურთხეულნო ქართლისა კათალიკოზნო და ეპისკოპოსნო, ქართლისა ერისთავნო და ერისთავთა ერისთავნო და ყოველნო თავადნო ქართლისანო და ქალაქისა ამირანო და ამირთა ამირანო, დიონნო და მეტამღენო და ყოველნო ჯელისუფალნო ქალაქისანო, და <u>მთიულეთისა თავადნო და ჯევის-ბერნო და მამასახლისნო</u> და კარისა ჩუენისა ვაზირნო, და ყოველნო ჩუენგან პატივცემულნო და ჯელისა მქონებელნო, ნუ ვინ უშლით ჩუენგან წყალობით ბოძებულსა სასისხლოსა განაჩენსა სოფელსა თუინიერ შეწევნისა და თანა-დგომისა“ (**თ. ჟორდანია**, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 279).

ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ციტირებულ დოკუმენტში ხსენებული „თავადნი“ ორმხრივი შინაარსისაა. ერთ შემთხთევაში ეს ცნება პირდაპირი მნიშვნელობით ეხება წოდებაში გაფორმებულ თავადს, რაც ქართლის ბარისათვის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახასიათებელ რეალობას ესადაგებოდა, ხოლო მეორე მხრივ ის ლოკალური ხასიათისა იყო და მთიულეთის (მთიანეთის) სოციალურ სტრუქტურას შეესაბამებოდა. ქართლის ბარისაგან განსხვავებით ქსნის საერისთავოს მთიანეთის „თავადნი" ხევისბერთან და მამასახლისთან სოციალურად ახლო მდგომი კატეგორიის გამომხატველია და ის არავითარ კავშირში არ არის მაღალი სოციალური სტატუსით ცნობილ თავადთან.

ქსნის საერისთავოს მთიანეთისაგან განსხვავებით, სადაც ადგილობრივი წარმომალობის აზნაურებიც იმყოფებოდნენ, არაგვის საერისთავოს მთიან ზონაში მკვიდრი მოსახლეობიდან თვით XVIII საუკუნეშიც კი აზნაურის სტატუსში არავინ ამაღლებულა. საარაგვოს მთიანეთში ვინც კი აზნაური იყო, მხოლოდ და მხოლოდ ბარიდან შესული აზნაურული გვარი (ჩრდილელი, ყარანგოზიშვილი, კობიაშვილი...), მაგრამ მთიელები მათ ბატონობასაც ვერ ურიგდებოდნენ და შეუპოვარი ბრძოლით უპირისპირდებოდნენ. ისეთ შემთხვევასთან ერთად, როდესაც რომელიმე მთიული ან მოხევე ბარიდან შესულ აზნაურს მამულის საკუთრებაში ედავებოდა, მის მოხვნას არ ანებებდა და იქიდან ზოგჯერ ცემა-ტყეპითაც აძევებდა, მათდამი ანტაგონიზმი ვლინდებოდა იურიდიული ნორმების გამოყენებითაც. მხედველობაში მაქვს ისეთი ვითარება, როდესაც მთიელები რომელიმე აზნაურისადმი ყმობაზე უარს ამბობდნენ და სახელმწიფო ხელისუფლებისადმი მორჩილების დაკანონებით სახასო ყმის მდგომარეობის შენარჩუნების თუ აღდგენის უფლებას მოითხოვდნენ. აღნიშნული ვითარების დამადასტურებელია ნაშრომის პირველ თავში (არაგვის საერისთავოს მმართველობის ისტორიიდან) განხილული ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი – „არზა დიდებაანთა ყმობის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით", 1776 წლის 17 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოწმებული დოკუმენტი სრული სიცხადით წარმოაჩენს იმ ვითარებას, რომ საარაგვოში, კონკრეტულ შემთხვევაში კი მთიულეთში, ყმობის სტატუსში მყოფი მოსახლეობა, აშკარად უპირისპირდებოდა აზნაურისადმი ყმობას და საპატიოდ მიაჩნდათ სახასო ყმის მდგომარეობაში ყოფნა. მაშასადამე, რიგითი მეთემეები ეგუებოდნენ მეფის სამსახურში ყოფნით მოპოვებული გარკვეული პრეროგატივის მქონე მოხელეების არსებობას, ეწინააღმდეგებოდნენ აზნაურის ყმობას და სახასო ყმის მდგომარეობის შენარჩუნებით თუ ამ სტატუსში აღდგენით თავიანთ თანადგმას და კეთილგანწყობას გამოხატავდნენ მეფისა და უფლისწულისადმი.

დიდებაანთ არზიდან არ ჩანს, რომ რიგითი მოსახლეობა დაპირისპირებული ყოფილიყო სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარი მოხელეებისადმი. ეს ალბათ არც იქნებოდა მოსალოდნელი, ვინაიდან სახასო ყმები, რომლებიც მეფეს ერთგულობდნენ, ანტაგონიზმში ვერ აღმოჩნდებოდნენ მეფის ან უფლისწულის ნდობით აღჭურვილ მოხელეებთან. ამგვარ ვითარებაზე სათანადო წარმოდგენას გვაძლევს ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების მიერ არაგვის საუფლისწულოს მოსახლეობისათვის შედგენილი სამართალი – „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გამოსცა ი. დოლიძემ). სამართლიდან ნათლად ჩანს, რომ საუფლისწულოს მმართველობაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ სოფლის რჩეული კაცებიც, რომლებიც მოხელეებთან ერთად მონაწილეობდნენ უფლისწულის ნებისმიერი ბრძანების აღსრულებაში. იმის შესახებ კი, თუ რა ფუნქციები გააჩნდათ მოხელეებსა და სოფლის კაცებს, პასუხს გვაძლევს „განჩინების“ მეხუთე და მეექვსე მუხლი. მეხუთე მუხლში ვკითხულობთ: „ქ. თუ ჩვენის ბრძანების წინააღმდეგი შეიქნას კაცი ვინმე, ის კაცი, რომლისაც სოფლისა იყოს, იმ თავისმა სოფლის კაცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმისმა მოჯელემ უნდა დაიჭიროს და დაჭერილი ჩვენთან უნდა მოიყვანონ. თუ არ დაიჭერენ და დაჭერილს არ მოგვგვრიან, რისაც გარდაკდევინების ღირსი ის კაცი იქნება, იმის მაგიერად იმ სოფლისა და იმისს მოჯელეს გარდავაკდევინებთ“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 451).

ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ მოხელეებსა და სოფლის კაცებს დამნაშავის დამალვის შემთხვევაშიც, რაც მეექვსე მუხლში შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „თუ რომელიმე კაცი ჩვენის ბრძანების წინააღმდეგი, იმ თავის სოფელში აღარ იყოს და სხვის სოფელში მივიდეს, ის თუ იმ სოფლის კაცთ და მოჯელემ არ დაგვიჭირა, იმ კაცის მაგიერ იმათ გარდავაკდევინებთ“ (გვ. 451).

ორივე მუხლის შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ საუფლისწულოს მმართველობაში უფლისწულს ჭირდებოდა როგორც თავის მიერ შერჩეული მოხელეები, ისე სოფლის რჩეული კაცები. მათი ერთობლივი მოქმედება ქმნიდა უფლისწულის გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიას. მოხელე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სოფელში გამწესებული ოფიციალური პირი იყო, რომელიც შუამავლისა და მაცნეს როლს ასრულებდა სოფლის მცხოვრებლებსა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის, რისი მაუწყებელიცაა „განჩინების“ მეცხრე მუხლი: „ქ. ღმერთმან ნუ ქნას, თუ რომელსამე სოფელში კაცი ამოსწყდეს, ან შვილი, ან ძმა არ დარჩეს, იმისს მამულს ნურავინ დაიჭერს, თუ უნდა გაყრილი ძმაც რომ ჰყვანდეს. მანამდისინ ჩვენ არ მოგვახსენონ, მანამდის ის მამული ისევ ბეითალმანად უნდა იდვას. მოჯელე მოვიდეს, მოგვახსენოს, და როგორც ჩვენ უბრძანოთ, იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს“ (გვ. 452).

ყოველივე იმასთან ერთად, რომ საუფლისწულო ხელისუფლება საქმეს აწესრიგებდა მოხელეებისა და სოფლის კაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ერთობლივი მონაწილეობით, ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფო სამსახურში აყვანილი მოხელეები რიგითი მოსახლეობიდან შერჩეული პირები ჩანან და ისინი აზნაურთა ფენას არ განეკუთვნებოდნენ.

თავისთავად იგულისხმება, რომ სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარი პიროვნება გამოყოფილი იყო რიგით მეთემეთა კატეგორიიდან. ამ სტატუსში შეიძლება წარმოვიდგინოთ სოფლის კაცი, რომელიც მოპოვებული ავტორიტეტით სოფლის მოსახლეობაშიც გავლენით სარგებლობდა და სამეფო ხელისუფლების მხრიდანაც ნდობით იყო აღჭურვილი. მაგრამ ის გარემოება, რომ სოფლის კაცი თავისი სოციალური მდგომარეობით მაინც რიგითი მეთემე იყო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის „თავისუფალი მეთემე“ ყოფილიყო. „თავისუფალი“ ამ შემთხვევაში რამდენადმე პირობითი ცნებაა იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის კაცთა უმრავლესობა სახელმწიფო გლეხებს შეადგენდნენ, ხოლო უმცირესობა ან საბატონო გლეხი იყო ან საეკლესიო. მთიელის გაგებით, გლეხთა ამ კატეგორიებიდან „თავისუფლად“ იწოდებოდა ის მეთემე, რომელიც არ ითვლებოდა რომელიმე ბატონის ყმად. გვიანფეოდალური ხევისა და მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობაში კი მხოლოდ თითო-ოროლა საბატონო გლეხი თუ აღირიცხებოდა. მოსახლეობის უმრავლესობა შეადგენდა სახაზინო (სახელმწიფო) გლეხებს, რომელთაც მთიანეთის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად გადასახადებიც ეკისრებოდათ და სამხედრო ვალდებულების აღსრულებაც. სწორედ ეს ფაქტორები არის საფუძველი იმისა, რომ მეთემის სრული თავისუფლება უმართებულოდ მივიჩნიოთ.

საარაგვოსაგან განსხვავებით, რომელიც ძველთაგანვე სამეფო ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა, ფხოვი შედარებით მეტ „ავტონომიურობას“ ინარჩუნებდა. ეს ნათლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდა თვით ქრისტიანობის გავრცელების პროცესში. ნიშანდობლივია, რომ ოფიციალურ სახელმწიფო ხელისუფლებას და ახალი სარწმუნოების მქადაგებელთ არაგვის ხეობაში უფრო ნაკლები პრობლემები შეექმნათ, ვიდრე ფხოვში. ხომ ცნობილია, რომ ფხოველნი მისიონერთა ქადაგებას განუდგნენ და თუშეთში „გარდაკრბნენ". ისტორიიდან ისიც ცნობილია, რომ ერთხანს ფხოველნი სამეფო ხელისუფლებას აუჯანყდნენ და მეფემ ეს აჯანყება არაგვის და ქსნის ხეობების მთიელთა ძალების გამოყენებით ჩაახშო. კახეთის მთიანეთის მკვიდრთაგან მეფემ მოიშველია მხოლოდ თიანელნი, აგრეთვე ერწოელნი (ზეგანის მკვიდრნი), რომელნიც ფხოველებსა და თუშებთან შედარებით უფრო მეტ მორჩილებას იჩენდნენ სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. დამახასიათებელია, რომ ამბოხების ანალოგიური ფაქტი არაგვისა და ქსნის ხეობებში არ დგინდება. ფხოველთაგან განსხვავებით, რომელთაც აჯანყება გაბედეს, არაგვის ხეობაში მხოლოდ იქაურ მთიელთა „აღრევით ყოფნა" და შინააშლილობა დასტურდება. სწორედ ამის აღსაკვეთად შექმნა გიორგი ბრწყინვალემ ლოკალური დანიშნულების მქონე სამართალი („ძელის დადება"). არაგვის ხეობისა და ფხოვის საზოგადოებათა სპეციფიურობა ვლინდება ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურაშიც. არაგვის ხეობის მთიანეთში ერთ-ერთ მოხელედ – „ლაშქართ თავადად" ფიგურირებს ხევისბერი, რაც ფაქტიურად უცნობია ფხოვისათვის. ფხოველი ხევისბერი ხალხის ნდობით აღჭურვილი თავკაცია, რომელიც ძირითადად ტრადიციულ ყოფას და კულტისმსახურების საქმეს არეგულირებდა.

როგორც წარმოდგენილი მიმოხილვიდან გამოჩნდა, სოციალური განვითარების თავისებურებები დამახასიათებელია საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონებს შორისაც, მაგრამ ამ მხრივ არსებითი განსხვავება მიჯნავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთიანეთსა და ბარს. ამიტომ, როდესაც საკითხი ეხება სოციალური დიფერენციაციის პროცესს, ბარის სქემების გადატანა მთიანეთში ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა. დიფერენცირებული მიდგომის აუცილებელი პირობაა მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება, რაც წარმოაჩენს მთიანეთისა და ბარის საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ რადიკალურ სხვაობას.

2. მსახურის სტატუსის გაგებისათვის

ვახუშტი ბაგრატიონი ეხება რა სამეფოს ერთიანობის მოშლის შემდეგდროინდელ ვითარებას, წერს: „ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა ჰქონდათ თჳს-თჳსად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა ცვალებანი არღარა. გარნა მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჯეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოკევეთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოდ“. იქვე ნათქვამია, რომ რეგულარული ჯარის (იგულისხმება „როქით სპა“) მუდმივად შენახვა ჭირდა, ვინაიდან „არღარა იყვნენ ეგოდენნი“... ამიტომ შემოღებულ იქნა ჯარში გაწვევა, ე. ი. საომარ ვითარებაში დროებითი სამსახური: ამისთჳს შეჰკუეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა – სრულიად რაოდენნი სახლსა შინა არიან – წარსვლად ლაშკარსა შინა, ხოლო გლეხთა მგზავსად შეწერილებისად“ (**ვახუშტი ბაგრატიონი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 31).

ნათქვამის მიხედვით, თავად-აზნაურთა ყველა ოჯახს ევალებოდა მეომარი წევრის ლაშქრად წასვლა, ხოლო გლეხების გაწვევა ხდებოდა შეწერილობით, ე. ი. მათ პატრონს (თავადს თუ აზნაურს) ეკისრებოდა გლეხთა ოჯახებიდან მეომრების გამოყვანა.

დამოწმებული ცნობიდან ამ შემთხვევაში ჩემი ყურადღება მიიპყრო ვახუშტისეულმა დამოკიდებულებამ მსახურის სტატუსისადმი.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ მსახური, რომელიც გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა, შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც აზნაური, ისე მოსახლეობიდან გამოყოფილი და რიგით მეთემეებთან შედარებით რამდენადმე მაღალი უფლებამოსილებით აღჭურვილი გლეხიც. ეს მკაფიოდ ჩანს ბარის ზონაში, მაგრამ ვახუშტის მსჯელობიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოხევეთა და მთიულთა შორის მსახურ გლეხებთან ერთად აზნაურებიც იმყოფებოდნენ. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან იმ დროისათვის მოხევეებსა და მთიულებს შორის აზნაურები არ არსებობდნენ. და თუ საარაგვოს მთიანეთში ვინმე აზნაური იყო, არა საკუთრივ მთიული, გუდამაყრელი თუ მოხევე, არამედ გვიანფეოდალურ ხანაში ბარიდან შესული და ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი ზოგიერთი გვარი (ჩრდილელი, ყარანგოზიშვილი, კობიაშვილი...).

ვახუშტის ცნობა იმის მანიშნებელიცაა, თითქოს სამეფო ხელისუფლების მიერ არაგვის საერისთავოს „დაპყრობის" შემდეგ მთიულებმა და მოხევეებმა მეფის მცველთა ფუნქცია დაკარგეს, რაც ასევე უმართებულოდ მიმაჩნია.

დამოწმებულ ცნობათა დასაზუსტებლად მხოლოდ იმის თქმის შესაძლებლობა არსებობს, რომ მთიულეთისა და ხევის მოსახლეობის შემადგენლობაში მცირედი რაოდენობით ფიგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რირებენ მსახურნი გლეხნი, რომლებსაც გარკვეული პრივილეგიები გააჩნდათ და ერთი საფეხურით მაღლა იდგნენ რიგით მეთემეებთან შედარებით. ამის საფუძველს ქმნიდა მათი ფუნქცია – მეფის სამსახურში ყოფნა, რაც განსახიერებულია თვით ამ ფუნქციის გამომხატველ შესაბამის სახელწოდებაში.

ვახუშტის ცნობასთან დაკავშირებით აქვე იბადება კითხვა – მოხევეთა და მთიულთა მოსახლეობის რა პროცენტს შეადგენდნენ ეს „მსახურნი გლეხნი ხეობათაგან?“ ამ კითხვას შეიძლება უპასუხოთ, რომ ეს ცნობა არ უნდა გულისხმობდეს ადგილობრივი მოსახლეობის მცირეოდენი ნაწილის გამოყოფას მეფის მცველთა ფუნქციით. ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებული იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ მეფის მცველი და მეომარი იყო ყველა მკვიდრი მთიული და მოხევე, ვისაც კი ბრძოლის თავი ჰქონდა. ისტორიიდან ხომ ცნობილია, რომ ქართველი მთიელები და მათ შორის მოხევეები და მთიულები აქტიურად მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში, რაც ძალიან კარგად იყო ცნობილი თვით ვახუშტისთვისაც. ამის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ მთიელთაგან მოლაშქრე იყო არა მარტო რიგით მეთემეთაგან სათანადო პრივილეგიებით გამორჩეული მსახურნი გლეხნი, არამედ ყველა ბრძოლისუნარიანი მთიელი. ამდენად, მიზანშეწონილი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მსახურის კატეგორიაში გულისხმობდა ყველა მოხევესა და მთიულს იმ მოსაზრებით, რომ ყველა მთიელი სამხედრო ვალდებული იყო და სალაშქრო საქმის შესრულების კვალობაზე მათ მსახურად გაიაზრებდა. არც იმის შესაძლებლობა უნდა გამოვრიცხოთ, რომ უშუალოდ მეფის მცველებად გამოყოფილი ყოფილიყვნენ პრივილეგირებული მსახურნი გლეხნი, როგორც საგანგებო ფუნქციით აღჭურვილნი, მაგრამ რამდენადაც ყველა მებრძოლი მთიელი სამხედრო სამსახურს ასრულებდა, ამდენად ვახუშტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობას ორნაირი მნიშვნელობა ენიჭება: 1) უშუალოდ მეფის მცველნი უნდა ყოფილიყვნენ რიგით მეთემეთაგან გარკვეული პრივილეგიებით განსხვავებული მსახურნი გლეხნი; 2) მსახურად იგულისხმებოდეს ყველა მეომარი მეთემე, რომელიც ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობის გამო სამხედრო სამსახურს ასრულებდა.

საარაგვოს მთიელები რომ საიმედო მეომრებად ეგულვებოდათ სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამაზე მეტყველებენ გვიანდელი ფაქტობრივი მონაცემებიც. 1802 წლის დოკუმენტები მკაფიოდ ადასტურებენ, რომ საუფლისწულო (საარაგვო) საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა, სადაც თავს აფარებს რუსებთან დაპირისპირებული უფლისწული ვახტანგ ბატონიშვილი იმის იმედით, რომ შეკრიბოს მეომრობით სახელგანთქმული მთიულები და გუდამაყრელები, ხოლო რეზერვის შეკრების მიზნით გადაიბიროს ფშავლები და თუშები, რომლებიც ამ საუფლისწულოს მკვიდრნი არ იყვნენ (АКАК, Т. 1866, С. 383).

ვახუშტის ცნობა, რომ მსახურნი გლეხნი იყვნენ მცველნი მეფისანი, არა მარტო საკუთრივ მეფის დაცვას გვაგულისხმებინებს, არამედ სამეფოს დაცვასაც. ეს მეორე ფაქტორი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მთიელები ოდითგანვე სამხედრო სამსახურის აქტიური შემსრულებლები იყვნენ. ამის დამადასტურებელია საისტორიო წყაროების ცნობები როგორც საზღვრების დაცვის საქმეში (პირველ ყოვლისა დარიალის ჭიშკრის მცველებად მოხევეთა დგომა), ისე სამხედრო ოპერაციებში რეგულარული მონაწილეობა. შემთხვევითი არც ის არის, რომ გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) სამართალში (ძეგლის დადება") საგანგებოდაა გამოყოფილი „სალაშქრო საქმე" და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საქმეში დაწინაურებული ხევისბერის („ლაშქართ თავადი“) და ციხისთავის სახელოები.

2. სალაშქრო საქმე მთიელთა უმთავრესი სამსახური იყო. სწორედ ჯარში სამსახური და დაწესებული სახელმწიფო გადასახადები შეადგენდა მთიელთა მთავარ ვალდებულებას. ამდენად, მთიელები თავიანთი მდგომარეობით მოლაშქრეები იყვნენ.

3. ბარის მოსახლეობისაგან განსხვავებით მთიელებში არასდროს არ მომხდარა ისეთი სტრატიფიკაცია, როდესაც გლეხი მიწაზე იყო მიმაგრებული, ხოლო აზნაური და მსახური კი ლაშქრობდა. მთაში გლეხის კატეგორია არ შექმნილა და, ამდენად, მსახური გლეხის კატეგორია ბარიდან არის შეტანილი. მთაში სახელმწიფო გლეხი (აქაც ნომენკლატურაა) გვაქვს სახეზე, რომლის ძირითადი მოვალეობაა სამხედრო სამსახური და სახელმწიფო გადასახადები.

4. არაგვის ხეობის 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული მსახური მეფის სამსახურში შესული მთიელია, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება რიგითი მკვიდრი გლეხისგან, რომ მოხელეა, მაგრამ რიგითი მეთემეც (მკვიდრი გლეხი) მასავით მოლაშქრეა. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე ვითარებასთან უნდა გვქონოდა საქმე ადრეული ხანისთვისაც. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მთიანეთში მსახური გლეხიც არსებობდა, რომლისგანაც სალაშქრო საქმის აღსრულების თვალსაზრისით „მკვიდრი გლეხი“ (სახელმწიფო გლეხი) დიდად არ განსხვავდებოდა. XIV-XVIII საუკუნეებში მსახურ გლეხებთან ერთად მოლაშქრე იყო ყველა რიგითი მეთემე მთიელიც. ამ თვალსაზრისით კი ყველა მთიელი მსახური იყო.

5. თავისი მდგომარეობის მიხედვით (სალაშქრო საქმეს თუ ავიღებთ უმთავრეს კრიტერიუმად), ყველა მთიელი მსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი იყო. სალაშქრო საქმე არა მარტო მსახურს ევალებოდა, არამედ ყველა მკვიდრ მთიელს, რომელიც „მეფის მცველის“ და, ამდენად, ქვეყნის მცველის მოვალეობას ასრულებდა.

6. ამგვარად, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა მოხევეებისა და მთიულების მეფის მცველთა ფუნქციის შესახებ ფრიად საყურადღებოა, ოღონდ იმ მონაცემების კორექტირების საფუძველზე, რაც წარმოიშვა „მსახურის“ ცნების გარკვევასთან დაკავშირებით.

3. ერთი დოკუმენტი არაგველთა შესახებ

ქართული საისტორიო წყაროების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ტოპონომიკური და ონომასტიკური მონაცემების რიგს განეკუთვნება ერთ-ერთი საყურადღებო დოკუმენტი („ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ვერცხლის თასის წარწერა“), რაც თავის დროზე გამოაქვეყნა სერგი მაკალათიამ (**ს. მაკალათია**, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 34). ეს დოკუმენტი გამოყენებული მაქვს ერთი მხრივ არაგვის ხეობის მოსახლეობის სოციალური სქტუქტურის შესწავლასთან დაკავშირებით (**ვახტანგ ითონიშვილი**, საკანდიდატო დისერტაცია – „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში“, დაცული 1984 წელს* და რამდენიმე გამოქვეყნებული სტატია), ხოლო მეორე მხრივ არაგვის ხეობის ლოკალიზაციასთან და არაგველთა ვინაობის გარკვევასთან მიმართებაში (**ვახტანგ ითონიშვილი**, არაგვის ხეობა, თბ., 1986; **მისივე**, არაგვი და არაგველები, თბ.,

---

* რედაქტორის კომენტარი: ეს მონოგრაფია გამოქვეყნდა 2001 წელს მისი ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1989; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992). ს. მაკალათიას მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მრავალმხრივმა მნიშვნელობამ მაფიქრებინა მისი საგანგებოდ განხილვის საჭიროება, მაგრამ ამ წარწერის შინაარსის შეფასებამდე უპრიანია პირველ რიგში სრული სახით მისი დამოწმება: „ქ:შენ წ – სა და : დიდებულისა მთავარ მოწამის გიორგისა ეკლესიას ლომისად წოდებულსა თასი ესე მსასოებელმან მფარველობისა შენისამან ყოვლისა საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა ძემან ვახტანგ მპყრობელმან არაგვისამან ოდეს: ჩღკბ (1797) წელსა აღამამად ხანის: მეორედ მომავლობა გველოდებოდა და ჩვენ შენს დღესასწაულზედ მოვედით და არაგველნი სრულ იქ გვახლდნენ და შენი დიდებული ბავრაყი ნაღვარევის ეკლესიაში ჩამოვასვენეთ და იქ იფიცეს ერთობით არაგველთ ჩვენს ერთგულებაზედ და უნაკლულოდ ლაშქრობაზედ და თუ ვინმე შემოსახიზნავად მოსულ იყვნენ, იმათ კეთილად დაცვაზე და ამისათვის შენის დიდებულის ბავრაყის პატივის საცემლად მოგართვით თასი ესე შეიწირე მსგავსად მეუფისა შენისა და იოხენ მათთვის, რომელნიც არაგველნი აღამამად ხანის ომში მოისრნენ, რათა საუკუნესა ცხოვრებასა ღირს იქმნენ“.

1797 წლით დათარიღებული ეს დოკუმენტი უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ლომისის ეკლესიას თასი შესწირა ერეკლე მეორის შვილმა ვახტანგ ბატონიშვილმა, რომელიც იმ დროისათვის არაგვის საუფლისწულოს განაგებდა. ეს მხარე კი საუფლისწულოდ გარდაიქმნა 1743 წლიდან, როდესაც თეიმურაზ მეორემ არაგვის საერისთავო გააუქმა, ურჩი ფეოდალების უფლებამოსილება შეწყვიტა და ამ რეგიონის მმართველობა უშუალოდ სამეო ხელისუფლებას დაუქვემდებარა. ამის შესაბამისად, საუფლისწულოდ გარდაქმნილ არაგვის საერისთავოს თავდაპირველად პატრონობდა თვით ერეკლე მეორე, რაც კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგად ჩანს 1746 წლის 22 სექტემბერს შედგენილ დოკუმენტიდან: „...მეფემან კახთამან და თვით ქემწიფემან, პყრობელმან არაგვთა და ყოველთა მთიულთამან პატრონმან ერეკლე“... (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 415; გამოსცა ნ. **ბერძენიშვილმა**). ერეკლე მეორე ასევე არაგვის პატრონად იხსენიება 1747 წლის 18 იანვრის ნასყიდობის წიგნშიც: „ქ. ჩვენ მეფე კახეთისა და არაგვის მეპატრონე ბატონი ერეკლე ვამტკიცებ სიგელსა ამას“... (დოკუმენტები, I, გვ. 418). ერეკლეს შემდეგ კი „სრულიად არაგვის საერისთავოს პატრონის“, „სრულიად არაგვის საუფლისწულო მპყრობელის“, „არაგვის მპყრობელის“ ან „სრულიად არაგვთა მპყრობელის“ სტატუსში უკვე ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები ფიგურირებენ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გამოსცა **ი. დოლიძემ**, თბ., 1974, გვ. 129, 374; **ქ. შარაშიძე**, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1945, გვ. 271; **ს. მაკალათია**, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 34, 79). მათ შორის ეს უფლებამოსილება პირველ რიგში წილად ხვდა უფროს ძმას ლევან ბატონიშვილს (1776-1781 წწ.). მისი გარდაცვალების შემდეგ საუფლისწულოს მართვა-გამგეობა მემკვიდრეობის წესით გადაეცა ერეკლე მეორის შვილს ვახტანგ ბატონიშვილს, მაგრამ მისი მცირეწლოვანების მიზეზით ეს მოვალეობა დაეკისრა ჯიმშერ ჩოლოყაშვილს, სამეფო კარზე აღზრდილსა და დიდი ნდობით აღჭურვილ ფეოდალს, რომელიც საუკუნოვანი ტრადიციის გავლენით კვლავინდებურად ერისთავის ტიტულს ატარებდა და XVIII საუკუნის წერილობით წყაროებშიც ერისთავად იხსენიება.

ბატონიშვილების მმართველობის პერიოდთან დაკავშირებით აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი ინიციატივით შეიქმნა გაუქმებული საერისთავოს მოსახლეობისათვის განკუთვნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი – „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ (ქართული სამართლის ძეგლები, IV თბ., 1965), რომელიც რეგიონალური სპეციფიკის გათვალისწინებით ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი („განჩინება მთიურთა ადგილთა“) შეადგინა ლევან ბატონიშვილმა და მისი მოქმედების ტერიტორია მოიცავდა საერისთავოს მთიანეთის თემებს. ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილმა 1782 წელს განაახლა თავისი ძმის „ლეონისაგან მთებში დადებული განჩინება“, ძეგლს ცალკეული დანამატებიც ჩაურთო და თავის მხრივ შეადგინა „განჩინება ბარისა“. ამის შემდეგ აღნიშნული განჩინებები სამართლის ერთ წიგნად იქნა შეკრული, რომელსაც ეწოდა „განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა“.

გიორგი ბრწყინვალის მიერ შექმნილი სამართლის („ძეგლის დადება“) შემდეგ, რაც მთიანეთის გარკვეულ ზონაში დარღვეული კანონმდებლობის აღდგენისა და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებისათვის იყო განკუთვნილი, ერეკლე მეორის შვილების „განჩინება“, ამავე მიზნით შედგენილ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო ძეგლს წარმოადგენდა. არაგვის ხეობის მოსახლეობაში ის ფუნქციონირებდა 1802 წლის 2 აგვისტომდე – მეფის რუსეთის მთავრობის უწყებაში საუფლისწულოს გადასვლამდე (ი. ფუტკარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964 წ.).

ამჯერად ამ მოვლენების შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის გამო, რომ სამართლის ორივე ძეგლის მოქმედების ფარგლებისა და ფუნქციონირების შესახებ საკმაოდ ვრცლად ითქვა ჩემს სპეციალურ გამოკვლევებში (იგულისხმება ზემოხსენებული საკანდიდატო დისერტაცია და ჟ. „მაცნეში“ თუ სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული შრომები). ამ შემთხვევაში ჩემი ყურადღება მიიპყრო ლომისის ეკლესიისადმი შეწირული თასის წარწერამ, რომლის შინაარსი გვაცნობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის საუფლისწულოს ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს. საარაგვოს ისტორიის ეპიზოდებიდან პირველ რიგში საყურადღებოა ის, რომ საუფლისწულო რეგიონის გამგებელი ვახტანგ ბატონიშვილი ლომისის ეკლესიისადმი „ყმურ“ დამოკიდებულებას იჩენს და ამ დამოკიდებულებას საწირის მირთმევით გამოხატავს. უფლისწულის ქმედება ამ შემთხვევაში ისეთივე იყო, როგორც ყველა ქართველი მეფისა და დიდებულისა საქართველოს სალოცავების მიმართ. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ქართველი მეფეები და დიდებულები თავიანთ „მოძმედ“ მიიჩნევდნენ ფშავის მთავარ სალოცავს ლაშარის ჯვარს. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ეკლესიასთან და ჯვარ-სალოცავთან ერთად მთიულეთის მთავარ ტაძარსაც ისინი თავიანთ შემწე-მფარველად თვლიდნენ და იმ სავალდებულო წესებს ასრულებდნენ, რაც ქრისტიანული დოგმებით იყო გათვალისწინებული.

ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი წარწერიანი თასის შეწირვა აღინიშნა სამეფო ხელისუფლებისათვის ფრიად მნიშვნელოვან საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით. თანაც ეს მოხდა ლომისობის დღესასწაულზე, რაშიაც მთელი საარაგვოს მრევლი მონაწილეობდა. საგანგებო მდგომარეობად კი წარმოგვიდგება 1795 წელს სპარსელთა შემოსევის დროს საარაკო გმირობით დაღუპულ არაგველთა მოხსენიება. ამასთან ერთად, შეწირული თასის წარწერიდან ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლება ხელახალი შემოსევის მოლოდინში იყო, ხოლო უფლისწულს მეომარ ძალად ეგულვებოდა „ერთობით არაგველნი“. წარწერაში ისიც აღინიშნა, რომ ლომისის დღესასწაულზე მისულ უფლისწულს ისინი იქ დახვდნენ და იმის შემდეგ, რაც ლომისის წმინდა გიორგის დროშა („ბავყარი“) ამ ეკლესიიდან (სოფელ მლეთიდან) სოფელ ნაღვარევის ეკლესიაში ჩამოაბრძანეს, „იქ იფიცეს ერთობით არაგველთ ჩვენს ერთგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებაზედ და უნაკლულოდ ლაშქრობაზედ“, შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ დაფიცება მოხდა ნაღვარევის ეკლესიაში. ეს იმითი უნდა აიხსნებოდეს, რომ სოფელი ნაღვარევი მთიულეთის ცენტრალურ ადგილას მდებარეობს, სადაც საარაგვოს მრევლს ყოველი მხრიდან იქ მისვლა გაუადვილდებოდა.

რამდენადაც „ერთობით არაგველთ“ სამეფო ხელისუფლებისა და სამშობლოსადმი ერთგულების ფიცი დასდეს, ცხადია, მათ რიგებში იგულისხმებიან საუფლისწულოს მკვიდრნი. თასის წარწერის შინაარსი იმაზედაც მეტყველებს, რომ სამეფო ხელისუფლებისადმი ფიცით განმტკიცებული ერთგულება არაგველთ იმასაც ავალდებულებდა, რომ მიეღოთ და დაეცვათ ომის შედეგად შემოხიზნული მოსახლეობა, რაც საერთოდ ყოველი ძნელბედობის ჟამს ტრადიციულად ხდებოდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, თასის შეწირვით უფლისწული გამოხატავდა არაგველთა ერთგულების იმედს მოსალოდნელ ომში და პატივს მიაგებდა მათ, „რომელნიც არაგველნი აღამამად ხანის ომში მოისრნენ, რათა საუკუნესა ცხოვრებასა ღირს იქმნენ“.

თასის წარწერიდან ყურადღებას იქცევს ის მნიშვნელოვანი დეტალიც, რომ საუფლისწულოს მოსახლეობა სახელდებულია არაგველად, რაც სრულ შესაბამისობაშია ისტორიული ვითარების შესატყვის ნომინაციასთან. ეს სახელწოდება პირდაპირ კავშირშია ფეოდალური სენიორიის სახელწოდებასთან. საისტორიო წყაროების მიხედვით არაგველი ეწოდა არაგვის საერისთავოს მკვიდრს და, ამდენად, ცნება „არაგველი“ თუ „ერთობით არაგველნი“ შეესატყვისება არაგვის საერისთავოს მოსახლეობის ლოკალურ სახელწოდებას. მოსახლეობის ვინაობის აღსანიშნავად ეს ცნება დამკვიდრდა არა მარტო იმის მიხედვით, თუ რამდენი არაგვია საქართველოში, არამედ იმათი მისამართით, ვინც არაგვის საერისთავოს მკვიდრად ით-

ვლებოდა. სამოსახლო სივრცის აღმნიშვნელი „საარაგვოც“ აღნიშნულ ვითარებას უკაშირდება.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ არსებობს ფშავისა და ხევსურეთის არაგვიც და ამის კვალობაზე ეთნოგრაფიული ნომინაციით ფშაველი და ხევსურიც არაგელია, მაგრამ სახელმწიფოებრივ ნომინაციაში ფშაველთა და ხევსურთა სახელწოდებად „არაგველი“ არ დამკვიდრებულა. მაშასადამე, თასის წარწერის მიხედვითაც ნათლად გამოჩნდა, რომ ცნება „არაგველნი“ ფეოდალური სენიორიის მოსახლეობის აღმნიშვნელი იყო და არა მდინარეთა სახელწოდებიდან წარმოქმნილი ეთნოგრაფიული შინაარსის მატარებელი სახელწოდება.

ამგვარად, ვახტანგ ბატონიშვილის მიერ ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი შეწირული ვერცხლის თასის წარწერა მეტყველი საბუთია იმისა, თუ რაოდენ საიმედო ძალად მიიჩნევდა სამეფო ხელისუფლება საარაგვოს მოსახლეობას და თავის ამ დამოკიდებულებას როგორ განასახიერებდა მთავარი სალოცავის მიმართ. არაგველთა უმთავრესი ვალდებულება კი გამოიხატებოდა „უნაკლულოდ ლაშქრობაზედ“ და შემოხიზნულთა მფარველობაში. ყოველივე ამის გამო ლომისის ეკლესისადმი უფლისწულის მიერ შეწირული ვერცხლის თასის წარწერას საყურადღებო დოკუმენტის მნიშვნელობა ენიჭება საარაგვოს ისტორიისათვის.

4. ერთი უზურპაციული აქციის შესახებ

დ. გვრიტიშვილი ეხება რა არაგვის საერისთავოს, საისტორიო წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ეს საერისთავო თავდაპირველად მოიცავდა მხოლოდ ბარის ზონას, ხოლო XII-XV საუკუნეებში ერისთავებად იჯდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბურისძეები (**დ. გვრიტიშვილი,** ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 84-86). მისივე შეხედულებით, მიუღებელია იმის მტკიცება, რომ ვანათელი აზნაურის სიდამონიძის შთამომავალმა ნუგზარ ერისთავმა არაგვის ბარის ზონაში ამოწყვიტა თავადნი ბაზილისძენი, ვინაიდან ხელშესახები ცნობები არ გაგვაჩნია ბაზილისძეთა არაგვის ერისთავებად მტკიცებისათვის. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ითვალისწინებს ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ ცნობას: „ხოლო ესე ნუგზარ იყო ერისთავი არაგუისა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სვიმონისასა უკუდგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბრძანებითა მეფისათა და შეტყუებითა აღიღო ციხე იგი, და მეფემან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სჯიმონ, ამანვე მოიმწო კსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყჯლნა თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრა ბაზალეთი... მერმე დაიმორჩილა მთიულეთი“ (**ვახუშტი ბაგრატიონი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 424).

ვახუშტის ამ ცნობის თანახმად არაგვის ხეობაში ნუგზარ ერისთავის გაბატონებამდე ერისთავებად იჯდნენ არა შაბურისძეები, არამედ თექთურმანისძე და ჭარმეული, რომელთა ამოწყვეტა ნუგზარის დამსახურებადაა მიჩნეული. ვახუშტისაგან განსხვავებით ბერი ეგნატაშვილი ფიქრობს, რომ თექთურმანიძე იყო ხევის გამგებელი. მაგრამ აქვე იბადება კითხვა – მისი ლოკალიზაციით რომელი ხევი იგულისხმება – მდ. თერგის ხეობაში მდებარე ხევი, თუ ფართოდ გაგებული ხევი არაგვისა, ე. ი. არაგვის ხეობა ჯვართა ყელიდან (ჯვრის უღელტეხილიდან) ანანურამდე. მაგრამ ვიდრე ბერი ეგნატაშვილის ამ ცნობას შევეხებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ არაგვის საერისთავოს ჩამოყალიბების პროცესისათვის დამახასიათებე-

ლი იყო სისხლიანი ბრძოლა უზურპაციის დონეზე. ბუნებრივია აქვე გავერკვეთ უზურპაციის მსვლელობაში, იმის შესახებ, თუ საიდან დაიწყო ეს პროცესი, მთიდან ბარისკენ თუ პირიქით. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ უზურპაცია განვითარდა ბარიდან მთიანეთის მიმართულებით, როგორც ეს ვახუშტის წარმოუდგენია. ზემოთ დამოწმებული მისი ცნობიდან ხომ გამოჩნდა, რომ უზურპატორები ჯერ იპყრობენ ბაზალეთს, ამოქლეტენ ჭარმეულებსა და თექთურმანიძეებს და მხოლოდ ამის შემდეგ იპყრობენ „მთიულეთს" (-მთიანეთს). ჭარმეულები რომ ბაზალეთში ცხოვრობდნენ და ისინი ფლობდნენ ქინვანის სიახლოვეს მდებარე სოფელ ლაუშას, ამას მოწმობს 1297-1298 წწ. დათარიღებული სიგელი დავით მეფისა ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიაშვილისადმი (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, IX-XIII სს. საბუთები შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 183-185). უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ამოწყვეტის გარეშე ბაზალეთის დაპყრობა ვერ მოხერხდებოდა.

ნათქვამთან დაკავშირებით გაუგებარია, რატომ არაფერს ამბობს ბერი ეგნატაშვილი ჭარმეულების ამოწვეტაზე. თუ მისეულ „ხევს" მთიულეთის მეზობლად მდ. თერგის ხეობაში მდებარე კუთხის მნიშვნელობით გავიგებთ და თექთურმანიძეების ამოწყვეტის ამბავს აქ ვიგულისხმებთ, მაშინ ხომ მით უფრო გაუგებარი ხდება უზურპატორებს რატომ ებოძათ მთელი არაგვის ხეობის ბარის ზონა ყოველგვარი „სისხლის" გარეშე. განა აქ არავინ ეგულვებოდათ ამოსაწყვეტი? სწორედ ის არის დამაფიქრებელი, რომ ბერი ეგნატაშვილი თექთურმანიძეებს ალბათ მაინც არაგვის ხეობის ბარის ზონის მკვიდრებად ცნობს. როგორც ჩანს, იგი ჯეროვანი სიცხადით ვერ განმარტავს სიტყვა „ხევის" შინაარსს. ასეა თუ ისე, ერთი რამ კი ცხადია – ქინვანის მიდამოებში მდებარე პუნქტების მპყრობელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭარმეულთა ამოწყვეტის გარეშე არაგვის ხეობის ბარის ზონის დაჭერა წარმოუდგენელი იყო და ვახუშტიც სწორედ ამას ამტკიცებს. ამ შემთხვევაში მის ცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და ორი აზრი არ უნდა არსებობდეს, რომ უზურპაციის აქციის პირველ მსხვერპლს ჭარმეულები და თექთურმანიძეები წარმოადგენდნენ. ჭარმეულები ბაზალეთში მოსახლეობდნენ, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ თექთურმანიძეებსაც მის ახლოს უნდა ეცხოვრათ. ამის გათვალისწინება საფუძველია იმისა, რომ ბერი ეგნატაშვილის ცნობა ეხება არა თერგის ხეობაში მდებარე ხევს, არამედ ხევად სახელდებული არაგვის ხეობის ბარის ზონას.

საისტორიო წყაროების მონაცემების შეფასებასთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვით მეღავნდება ბაზილისძეებისა და თექთურმანიძეების ამოწყვეტის ვერსია, ბუნებრივად იბადება კითხვა – რამ განაპირობა ხევში ისეთი გვარების არსებობა, როგორიცაა ბაზალი და თექთურმანიძე. ალბათ დასაშვებად მისაჩნევია ის გარემოება, რომ უზურპაციის შედეგად ამოწვეტილი ბაზილიძეების ნაწილმა თავი შეაფარა ხევს. ამის დამადასტურებელი ჩანს ხევის სოფელ არშაში ბაზალის გვარის ცხოვრება, რომელთაც ბაზალეთიდან მოსულად მიაჩნიათ თავი. ეს გვარი ხევში არავითარი პრივილეგიებით არ სარგებლობდა, ვინაიდან ბაზალეთიდან ლტოლვილებმა ადრინდელი გავლენა ვეღარ შეინარჩუნეს და რიგითი მეთემეების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თითქოს შესაძლებელი იქნებოდა ანალოგიურ მდგომარეობაში დაგვენახა თექთურმანიძეებიც, თუ დასაშვებად მივიჩნევდით, რომ ამოწყვეტას გადარჩენილი ამ გვარის ნაწილი ხევში გახიზნულიყო. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ბაზალისა და თექთურმანიძის ბედის იდენტიფიკაცია გამორიცხულია. ბაზალისაგან განსხვავებით, რომელიც ბაზალეთიდან მოსულადაა მიჩნეული, თექთურმანიძეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულობის ვერსია არ არსებობს. უნდა ვიფიქროთ, რომ თექთურმანიძეები ცხოვრობდნენ როგორც ბარის ზონაში, ისე ხევში. ხევში მათი ამოწყვეტის შესახებ არც ხალხური გადმოცემა არსებობს და არც წერილობითი დოკუმენტი. ამიტომ ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, რომ უზურპაციას ემსხვერპლნენ მხოლოდ ბარელი თექთურმანიძეები.

თექთურმანიძეები ხევში არა მარტო მკვიდრი გვარის რეპუტაციით სარგებლობდნენ, არამედ საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინაშე დამსახურებული პრეროგატივითაც. ნათქვამის დამადასტურებელია შემონახული სიგელები, რომელთაგან ორი გამოაქვეყნა სერგი მაკალათიამ. პირველი მათგანი ჯამაგირის წყალობის სიგელის სახით თექთურმანიძეებს უბოძა ვახტანგ VI-ემ, რომელიც გვაუწყებს:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა: ჩვენ ღვთივ აღმატებულმან, ღვთივ ცხებით ზეცით გჯრგჯნოსანმან იესეან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოიანმან და ყოვლისა საქართველოსა თჯთ მპყრობელმან, მეფეთ მეფემან პატრონმან ვახტანგ: და თანამეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზ ბატონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან: პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან მეფემ პატრონმან ბაქარ და ბატონიშვილმან პატრონმან გიორგიმ: ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ: თქვენ ჩვენთა ერთგულთა და მრავალ გვარად გარჯილსა და ნამსახურს თექთურმანიძეს კურდღელასა, შვილსა შენსა იესესა, ბერსა და პაპას, შვილთა თქვენთა ივანეს და ანგვიშტუყოსა და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქვენისათა: მას ჟამსა ოდეს ჩვენ მოსკოვს მივედით: შენ იესე თქვენისა ქვეყნის კაცთაგან ჩვენს სამსახურზედ რუსეთს მოხვედით გამოგზავნილნი და აგრეთვე ჩვენგან გამოგზავნილს გამვლელ-გამომვლელს კაცებზედ დიდად ერთგულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირჯებოდით სადმე. ეს ჩვენ მოგვხსენდა და დაგიმადლეთ. ამა ქვეყნისა მრავალთა მსახურობისა და გარჯილობის სანუქბოდ მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და ჯამაგირის წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. შეგიწყალეთ და გაგიჩინეთ წლის ჯამაგირათ რომ მოგეცემოდესთ ჩვენის სალაროდამე: წელიწადში ოცდაცამეტი მარჩილი. საცა ვბრძანდებოდეთ იქიდამე ყოვლის წლივ გეძლეოდესთს სანიადაგოთ. ესე ასე გაგითავდესთს და არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთგან. აწე გიბრძანებთ ვექილ-ვეზირნო და კარისა ჩვენისა გამრიგენო რომელიცა ამა ჩვენგან ნაწყალობევსა ფარმანსა შიგან ეწეროს, თქვენცა ესე დაუმტკიცეთ და ნურარასმე ცუდად ჰელჰყოფთ თვინიერ თანადგომისა და შეწევნისა განვიდე. დაიწერა ბრძანება ესე ჩვენი ჰელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობარის კავკასიძის მელიქისადეგისასა, ქრისტეს აქეთ ჩღლბ (1732 წ.). ქკსუკ (420)=1732 წ. თებერვლის თ (=9), ხელის მოწერა ხვეულად: ვახტანგ, აზის ბაქარის ბეჭედი" (ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934, გვ. 94).

სამეფო კარის წინაშე თექთურმანიძეების დამსახურებას გვიჩვენებს ბაქარ მეფის სიგელიც, რომელიც ქვემოხსენებული სოფლების მფლობელობის უფლებასაც ადასტურებს:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა: ჩვენ ღვთივ ამაღლებულ აღმატებულმან და ღვთივ ცხებით ზეცით გურგჯნოსანმან იესეან დავითიან სოლომონიან პანკრატოიანმან და ყოვლისა საქართველოსა თვითმპყრობელმან მეფეთ მეფემ პატრონმან ბაქარ და თანამეცხედრემან ჩვენმან არაგჯის ერისთავის ასულმან ბატონმან ხანუმ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ლევან და ალექსანდრემ შენ თექთურმანიძე იესესა და პაპას ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ. ასე რომე, ჟამთა ვითარე-

ბისაგან ჩვენ რუსეთს ვიყავით და შენ იესე ჩვენს სამსახურზედ ბევრს ირჯებოდი. ამა შენისა ნამსახურობისა სანუქბოდ ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენი ნაქონი სოფელი სიონი და გარბანი და თუ ააშენო თოთიცა. თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად მათის მთითა, ბარითა, სახნავ-სათეს-სათიბითა და სამართლიანის სამძღვრითა. ესე ასე გაგითავდეს და არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა მოსაქმენო, ბრძანება ესე ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. დაიწერა ბრძანება ესე კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის კავკასიძის მელქისადეგისათა წელსა ჩღლდ (1734 წ.) სეკდემბრის კმ აზის ბაქარის ბეჭედი" (ს. **მაკალათია,** ხევი, გვ. 95).

დამოწმებული დოკუმენტები აშკარად გვიჩვენებენ თექთურმანიძეების დამსახურებას სამეფო ხელისუფლების წინაშე, რაც თავისთავად ხევში მოპოვებული ავტორიტეტისა და გავლენის დამადასტურებელია. ისიც ნიშანდობლივია, რომ ეს დოკუმენტები ინახებოდა თექთურმანიძის შთამომავალი ხეთაგურების ერთ-ერთ ოჯახში, ხოლო შემდეგ გადაეცა ყაზბეგის მუზეუმს.

ციტირებულ დოკუმენტებთან ერთად დამაფიქრებელია თვით თექთურმანიძეებისადმი მოხევეების დამოკიდებულება. ხალხური გადმოცემით ცნობილია, რომ იესე თექთურმანიძეს თავი გამოუჩენია ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ამ გვარის საერთო დამსახურების გამო თითქოს მეფეს მათთვის აზნაურობაც კი შეუთავაზებია, მაგრამ თექთურმანიძეებს ასეთ წყალობაზე უარი უთქვამთ იმ მოტივით, რომ არ უსურვებიათ ასეთი გამოყოფით მოხევეებისადმი დაპირისპირება. სამაგიეროდ, ისინი დათანხმებულან თემის გადაწყვეტილებას, რომ ახალწელს თექთურმანიძეების უბანში, სადაც მათი საგვარეულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალოცავიც იდგა, წმინდა სამების ტაძრის დეკანოზებს წმინდა ნინოს ჯვარი და სათემო დროშები მიებრძანებინა და პირველ რიგში ეს გვარი დაემწყალობნა. ხალხის აზრით, ამ ტრადიციას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გვარის ატორიტეტის ამაღლებისათვის, ვიდრე სამეფო ხელისუფლების მხრიდან მათთვის წყალობის სიგელის გაცემას. ყოველივე ამის გათვალისწინება ქმნის იმის საფუძველს, რომ თექთურმანიძეები ხევში მყარი რეპუტაციით სარგებლობდნენ, რაც თავის მხრივ ადასტურებს მათ ადგილობრიობას და პრეროგატივას. ეს გარემოება კი გამორიცხავს მარტოოდენ ბარის ზონაში მათი ცხოვრების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის დაშვება იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ თექთურმანიძეების გაქცევა ბარში მომხდარიყო. ისიც შესაძლებელია, რომ მათ გვარობრივი კავშირი ჰქონოდათ ხევის თექთურმანიძეებთან, მაგრამ არაფრით არ მტკიცდება, რომ მთიელი თანამოგვარეები უზურპაციის მსხვერპლი გამხდარიყვნენ. ასეთი ტრაგედია რომ ხევში მომხდარიყო, ხალხშიც ცნობილი იქნებოდა გადმოცემის სახით. მოხევეებმა მხოლოდ ის იციან, რომ თექთურმანიძე ადგილობრივი გვარია, რომელთა პრიორიტეტის გამომხატველი საახალწო დამწყალობნების ტრადიცია დღემდე ფუნქციონირებს ხეთაგურების გვარის უბანში. ეს იმიტომ, რომ ხეთაგურები თექთურმანიძეების შთამომავალნი არიან. გვარის შეცვლა კი უკავშირდება ერთ-ერთი ეპონიმის ხეთაგ თექთურმანიძის სახელს, რასთან დაკავშირებითაც ფეხი მოიკიდა მცდარმა ვერსიამ, თითქოს ხეთაგურები ოსური წარმომავლობისანი არიან. სინამდვილეში მხოლოდ ფონეტიკური მსგავსებაა ოსურ გვარს ხეთაგუროვსა და მოხევე ხეთაგურს შორის (აქვე ცნობისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით ოსური გვარი ხეთაგუროვი წარმომავლობით ყაბარდოულია, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ამის შესახებ წერდა ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი კოსტა ხეთაგუროვი).

ხევში თექთურმანიძეების პრეგოგატივასთან დაკავშირებით სავსებით გაუმართლებელია იმის მტკიცების შესაძლებლობა, თითქოს ხევი ცალკე საერისთავოს წარმოადგენდა და, ამდენად, „პატრონი ხევისა" თექთურმანიძე ყოფილიყო. დ. გვრიტიშვილი იმის დამტკიცებასაც კი შეეცადა, თითქოს ხევის საერისთავო იგივე სიონის საერისთავო იყო. ამის საფუძვლად იგი მიიჩნევს XVII საუკუნის რუსი ელჩების ცნობას „სონთა ერისთავების" შესახებ. დ. გვრიტიშვილმა „სონი" ხევის სოფელ „სიონთან" ფონეტიკურად მიუსადაგა და აღნიშნა: „სონთა ერისთავი" სხვა არაფერია თუ არა „სიონის ერისთავი", ხოლო სიონის საერისთავოს რეზიდენციად მიაჩნია სოფელი სიონი (**დ. გვრიტიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 93-94).

სინამდვილეში „სონთან" „სიონს" არავითარი კავშირი არ გააჩნია და, ამდენად, ხევის საერისთავოს არსებობა და მისთვის სახელწოდების მორგება „სიონის საერისთავოს" სახელწოდებით, აბსოლუტურად მიუღებელია. ამაზე მსჯელობის გაგრძელება არც ღირს იმის გათვალისწინებით, რომ ხევი ზურაბ ერისთავის დროიდან მოექცა არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში და ის ტრადიციულად ინარჩუნებდა ეთნოტერიტორიული ერთეულის სახეს. ამიტომ მხოლოდ იმის თქმაა შესაძლებელი, რომ არაგვის საერისთავოში ხევის გაერთიანებამდე ადგილობრივი ხალხური მმართველობის ფუნქციონირების პირობებში ხევს სათავეში ედგა სათემო საბჭო ხევისბერის მეთაურობით. ნათქვამის მატერიალური დადასტურებაა გერგეტის წმინდა სამების ტაძარზე მიშენებული სათემო საბჭოს პატარა ნაგებობა თაღოვანი გადახურვით, სადაც ხევისბერი და თემის კაცები ბჭობდნენ. ამდენად, „პატრონი ქევისა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო არა არარსებული ხევის საერისთავოს მმართველი ერისთავი, არამედ ტრადიციულად ცნობილი ხევისბერი.

ლოგიკურად მიმაჩნია ის აზრი, რომ უზურპაციის პერიოდში ხევის პატრონად (ხევისბერად ან გამგებლად) მდგარიყო რომელიმე თექთურმანიძე. როგორც ჩანს, მისმა პრეროგატივამ განაპირობა ამ გვარისადმი სამეფო ხელისუფლების ნდობა, რაც ნიშანდობლივად ჩანს თექთურმანიძეებისადმი ბოძებული ზემოთ დამოწმებული სიგელებიდან. უზურპატორებიც სწორედ ხევის ასეთ პატრონს უნდა შებრძოლებოდნენ. ეს ბრძოლა აქტიურად დაიწყო ნუგზარ ერისთავმა და დაასრულა ზურაბ ერისთავმა. გამოიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ნუგზარმა თექთურმანიძე დაამარცხა და ალბათ მოკლა კიდეც, მაგრამ მან ხევში თავისი ძალაუფლება ვერ განამტკიცა. როგორც ჩანს, ეს ფაქტორი ჰქონდა გათვალისწინებული ალექსანდრე ყაზბეგს, რომელიც თავის ბრწყინვალე ისტორიულ რომანში „ხევისბერი გოჩა“ მძაფრი ბრძოლის სურათს აღწერს ნუგზარ ერისთავსა და ხევისბერს შორის. ამ თხზულების მიხედვით ერთ-ერთი შეტაკება მოხევეთა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ის გარემოება, რომ გადახდილი ომის შემდეგ ხევისბერი კვლავ თემის კაცებთან ერთად დაჯდა საბჭოში და დამნაშავეებიც გაასამართლა, მიგვანიშნებს მწერლის შეხედულებაზე, რომ ნუგზარმა ხევი ვერ დაიმორჩილა, მისი მართვა კვლავ ხევისბერისა და თემის საბჭოს პრეროგატივა იყო და, ამდენად, ხევი მაშინ ჯერ კიდევ ვერ მოექცა არაგვის საერისთავოს გამგებლობაში. ყოველ შემთხვევაში გამართლებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ არაგვის საერისთავოს ფორმირების მიუხედავად სათავადოდ მისი ჩამოყალიბება დიდ დაბრკოლებათა დაძლევას მოითხოვდა. მითუმეტეს, საერისთავოს მიერ ხევის დაპყრობა ჯერ კიდევ ბოლომდე განხორციელებული არ იყო. სათავადოს სოციალური სტატუსით გამოიყოფოდა

„დაბალი საერისთავო“, ე. ი. არაგვის საერისთავოს ბარის ზონა. მთიანეთში კი ერისთავების ძალაუფლება უფრო ნომინალური ხასიათისა იყო, რამდენადაც ერისთავები, როგორც ჩანს, მთიელებს გაბედულად ვერ ჰკარნახობდნენ თავიანთ პირობებს და ბატონყმობის რეჟიმს ვერ უმორჩილებდნენ.

საინტერესოა ითქვას, რომ ნუგზარ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მწვავე ბრძოლა გაიმართა ერისთავობისათვის მის მემკვიდრეებს შორის. შაჰ-აბაზის წყალობით გამარჯვებას მიაღწია ზურაბმა. სპარსეთიდან „მოსულმან ზურაბ ძალითა ყეენისათა და სჯმონის მწეობითა დაიპყრა ბაზალეთი და განაძო ბაადურ ძმა თჯისი და მივიდა საჩინოს ბაადურ. ხოლო ზურაბ მოიმწო სპასპეტი საბარათიანოსი ბარათა ბარათაშვილი და დაუწყო კირთება მთიულ-მოკევეთა და დაიპყრნა იგინი და განაძლიერა ფრიად (რამეთუ იყვნეს სახასონი მეფისანი და აქამომდე არა ეპყრათ კევი ამათ, არამედ მთიულნი ერჩდენ მცირედ)“ (**ვახუშტი**, გვ. 428).

განხილულ მონაცემებთან ერთად, რაც ეხება არაგვის საერისთავოს ფორმირების პროცესს და მასთან დაკავშირებულ უზურპაციულ აქციას, საყურადღებოა კიდევ ერთი დოკუმენტი (ვახტანგ ბატონიშვილის წერილი გენერალ-ლეიტენანტ კნორინგისადმი 1801 წლის 9 ივნისს).

იმის გამო, რომ ეს დოკუმენტი ავსებს სხვა წყაროების მონაცემებს არაგვის საერისთავოს ფორმირების შესახებ და თვით XIX საუკუნის დასაწყისში არსებულ ვითარებასაც გვაცნობს, საჭიროდ მიმაჩნია სრული სახით მისი დამოწმება:

„თუმცაღა ზედმიწევნით მცნობი არა ვარ ამ საქმისა, მაგრამ ასე მესმა, რომ ვითამც თავადს ბეჟანს სარიდანიჩს სიდამონოვს მდივანბეგსა თქუმნთვის არზა მოეწეროს, რომ არაგვი, რომელიც მე ღირსად ნეტარებით სახსოვარისა მამისა ჩემისაგან ბოძებული მაქვს, – თქვენც კარგად იცით, ეს ხსენებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არაგვი თავისად აღმოეჩინოს და ეთხოვოს და ის არზი ახლა რომ ერისთავი ელიზბარ წამოვიდა, იმისთვის გამოეტანებინოს. ზემოხსენებულს განგიახლებთ, – თუმცაღა ზედმიწევნით მცნობი კი არა ვარ ამ საქმისა, მაგრამ რადგან მესმა, თანამდები მგონია ამაში თავი ჩემი, რომ თქვენთვის მეუწყებინა. მოწყალევ ხელმწიფევ, ამისი ვითარება ესრეთ გეუწყოსთ: ეს ხსენებული არაგვი ყოფილ არს ნიადაგ ბაგრატოვანთა მეფეთა სახლისა, და გუარი ხსენებულისა ამის ბეჟანისა გამოსრულ არს რომლისამე ოსეთიდამა, დღესაც არიან ამისნი გვარნი ოსნი სიდამონნი და მიუღიეს მას პატივი კეთილშობილებისა, ესე იგი აზნაურობისა და თუ ვისგან და ვითარ – არა ვუწყი, და ესახლნენ ესენი ქართლს, სოფელსა შინა ვანათსა, ანუ მახლობელ მისსა და შემდგომად განყოფისა სამეფოთასა უბედურობითა საქართველოჲსათა დროსა სპარსეთის განძლიერებისასა და ფრიად დაჩაგრულებასა ქართლისა და კახეთისა მეფეთასა; ჰპოვა ამათგანმანცა ვინმე მზგავსად სხუათთა ვიეთთამე კეთილშობილთა ავაზაკებრი ძალი და მოქმედება და დაიპყრა ხსენებული სოფელი ვანათი და გარშემო მისნი და შემდგომად მისსა ჰპოვა მრავალნი სხვანიცა თანახმანი თვისისა ავაზაკებისანი და ეკირთებოდა და ბრძოდა ქუჩყანასა ამას არაგვსა და დაიპყრა ამით, გარნა არა სრულად; და შემდგომად რაოდენთამე ხანთა მზგავსად ზემოხსენებულითა მოქმედებითა, დაიპყრა სრულიად და იქცეოდენ მიერითგან ქუჩყანისა ამას შინა მსხდომარენი პაპანი ანუ ბიძანი ხსენებულისა ამის ბეჟანისანი ყოფაქცევითა არა თუ ქრისტიანებრისა სჯულისა, არამედ ბუნებითისაცა სჯულისა წინააღმდეგობითა, ესე იგი უმსჯავროდ კლვითა კაცთათა და განსყიდვითა ტყუჩთათა და სხვათა მრავალთა ავაზაკებრივთა საქმეთა, რომელნიც სიგრძისათჳს დავიდუმენ, და ამას ზედაცა შესძინეს მრავალგზის ორგულებაჲ მეფეთა, ვინაჲთგან აქვნდათ მათ ხვედრიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვე უბედურობითა საქართუჩლოჲსათა, ესე იგი განძლიერება სპარსთა და დაჩაგრულება მეფეთა, ესრეთ, ვითარ მრავალგზის თვისთა სამეუფოთა შინაცა ვერღარა შემძლებელ იყვნენ ყოფად და თჳთ მამამან ხსენებულისა ამის ბეჟანისმან სარიდან თუმცაღა არ იყო ერისთაობით მჯდომარე, გარნა ჰყო ქუჩყანასა ამას შინა მრავალი უსამართლოება და ავაზაკებრნი საქმენი, ვითა ზემო მოვიხსენეთ და ვინაითგან ვერღარა უძლეს ერთა ამის ქუჩყანისათა, ესე იგი არაგველთა, ესოდენთა დაუთმობელთა ბოროტშემთხვეულებათა თავთა თვისთა ზედა, წარვიდენ შეკრებულნი სამღუდელონი საეროჲთურთ და მიერთუნენ განსვენებულსა მეფესა პაპასა ჩემსა თეიმურაზ მეორესა, სამეფოსა შინა კახეთსა და აღსთქვეს წინაშე მისსა ფიცითა ყოვლითურთ უვარისყოფაჲ თავთა თვისთა ზედა მფლობელობისა გვარისა ამის ხსენებულისა ბეჟანისა და უმონებივესი ერთგულება საუკუნოდ ხსენებულისა ამის განსვენებულისა მეფისა პაპის ჩემისა თეიმურაზ მეორისა და ძისა მისისა, მამისა ჩემისა მეფისა ირაკლი მეორისა და შვილთა მისთა; და შემდგომად საქმისა ამისა, მოჰსცაცა ქუჩყანასა ესე, ესე იგი არაგვი, შაჰნადირ ხსენებულთა მეფეთა, განსვენებულთა პაპასა და მამასა ჩემსა, და აგრეთვე ქსანი და შემდგომად მცირედის ჟამისა მოჰსცა შაჰნადირ ხსენებულთა ამათ მეფეთა, პაპასა ჩემსა მეფესა თეიმურაზ მეორესა – სამეფო ქართლისა და ძესა მისსა, მამასა ჩემსა მეფესა ირაკლი მეორესა – სამეფო კახეთისა და მიერითგან აქუნდათ ქუჩყანა ესე, რომელიცა მბოძებიეს მე განსვენებულისა მამისა ჩემისა მეფისა ირაკლისაგან და უწინარეს ჩემსაცა აქუნდათ განსვენებულთა ძმათა ჩემთა მიცემული მამისაგან თვისისა: ძმასა ჩემსა, პირმშოსა ძესა მამისა თჳსისასა, მეფისძეს ვახტანგს, თანამოსახელესა ჩემსა, და შემდგომად მისსა ძმასა ჩემსა მეფისძეს ლეონს და ესეც უწყოდეს თქუჩნგან მაღალმსვლელობამან, თუმცაღა ხსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული სარიდან, მამა ბეჟანისა ამის, სამართლიანის მსჯავრით იყო განვრდობილ ქუჭყანასა ამისგან, ესე იგი არაგვისაგან, გარნა იყოვე შეწყალებულ ხსენებულთა ამათ მეფეთა პაპისა და მამისა ჩემისაგან და სცხოვრებდა საქართუჭლოსა შინა, რომელმანცა კვალად აჩუჭნა ორგულება დიდი დროსა მას, ოდესცა შემოაწერა შაჰნადირ ხარკი ფრიად მძიმე და შეუძლებელი ხსენებულთა ამათ მეფეთა და სრულიად ქართლსა და კახეთსა და ამის გამო ივლტოდენ ჟამ რაოდენიმე ხსენებულნი ესე მეფენი და ერიცა. მოწყალევ ხელმწიფევ! ვითა არ შემძლებელ იყო სამართლითა ხსენებული ესე ბეჟან, ეგრეთ არ მეგონა ამისაგან, რომ ამაზე ხმას ამოიღებდა და ახლაც იჭვნეულ ვარ, მაგრამ ვინ იცის რომ მართალი იყოს, ამისთჯს მოგახსენებთ, თორემ თუ აქავ თქუჭნს ყოფაში შემეტყო, ვითა სხვა, ამის ვითარებასაც პირისპირ მოგახსენებდით. ამაზე მოიმედე ვარ, რომ თუ მართლა მოუხსენებია თქუჭნთჯს, ვჰგონებ რომ იმისი თხოვილი სრულყოფას ვერ მიიღებს; არც იმათის იმპერატორების დიდებულების ჩვენის ხელმწიფისაგან მაქვს ეს იმედი და არც თქუჭგან. ვითხოვ თქუჭნის მაღალმსვლელობისაგან, რომ ამის პასუხი დროზედ მაუწყოთ“ (АКАК, I, 1866, с. 265-266).

დამოწმებული წერილი ეხმიანება არაგვის საერისთავოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს. მისი შინაარსიდან ნათლად ჩანს ბეჟან ერისთავის პრეტენზიების უსაფუძვლობა არაგვის მფლობელობის შესახებ. როგორც ვახტანგ ბატონიშვილი ასაბუთებს, ეს რეგიონი თავიდან სამეფო ხელისუფლების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ხოლო საქართველოს ძნელბედობის ხანაში შექმნილი სიტუაციით სარგებლობდნენ ვანათში გააზნაურებული სიდამონნი, რომელნიც მისი „ავაზაკებრი“ დაპყრობის შემდეგ ასევე ავაზაკური საშუალებებით გაბატონებას აღწევენ ჯერ საარაგვოს ნაწილში (იგულისხმება ბარის

ზონა), ხოლო მერმე მთელი არაგვის ხეობაში. მაგრამ საარაგვოს მოსახლეობა ვერ ურიგდება ერისთავების განუკითხაობას, არაქრისტიანულ ყოფაქცევას, „ბუნებითი სჯულის“ საწინააღმდეგო ქმედებას, „უმსჯავროდ კლვითა კაცთათა და განსყიდვითა ტყუეთათა და სხვათა მრავალთა ავაზაკებრივთა საქმეთა“. ბოლოს და ბოლოს ხალხისათვის აუტანელი რეჟიმის მქონე საერისთავო გაუქმდა და ის საუფლისწულოდ გარდაიქმნა. ყოველივე ამის გათვალისწინებით ვახტანგ ბატონიშვილი აქარწყლებს ბეჟან ერისთავის მხრიდან არაგვზე ხელდების გაუმართლებელ პრეტენზიებს. ამასთან ერთად, დოკუმენტი ყურადღებას იქცევს შემდეგ გარემოებათა გამოც:

1. უზურპაციული აქცია ხორციელდება ბარიდან მთიანეთისაკენ;

2. არაგვი მხარედ ფიგურირებს, რომლის მკვიდრნი იხსენიებიან არაგველებად;

3. ეთნოგრაფიული ნიშნებით არაგვი დაახლოებით ისეთივე ქვეყანაა, როგორც ქსანი;

4. ერი ხალხის მნიშვნელობით ხმარებული ტერმინია. ამასთან „სამღვდელონი“ „საერონის“ ანტონიმად წარმოგვიდგება.

ამგვარად, განხილული საისტორიო წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ნათლად გამოჩნდა, რომ არაგვის საერისთავოს ფორმირებისათვის ბრძოლა საკმაოდ მძაფრად მიმდინარეობდა. გამარჯვების მიღწევისათვის უმთავრესად ძალისმიერი მეთოდები იყო გამოყენებული, რაც პირველ რიგში უზურპაციის გზით განხორციელდა. ეს პროცესი დაიწყო არაგვის საერისთავოს ბარის ზონაში, ე. წ. „დაბალ საერისთავოში“, ხოლო შემდეგ გავრცელდა არაგვის მთიანეთშიც. არაგვის საერისთავოს ფორმირების ბოლო ეტაპი იყო საერისთავოში ხევის გაერთიანება, სადაც თექთურმანიძეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართ უზურპაციული ქმედება არ დადასტურდა, განსხვავებით ბარის ზონისაგან, სადაც ამოწყვიტეს როგორც ბარელი თექთურმანიძეები, ისე ბაზილისძენი და ჭარმეულები.

5. ეთნოგეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხისათვის

ტრადიციული ისტორიულ-ეთნოგრაფიული დარაიონებისათვის დამახასიათებელია როგორც ეთნოგრაფიული ჯგუფებით დასახლებული კუთხეების, ისე ლოკალური ტერიტორიული ერთეულების არსებობა. სხვაობა მათ შორის შეინიშნება როგორც წერილობითი წყაროებისა და საისტორიო ლიტერატურის, ისე ხალხური ნომინაციის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ჩემი ყურადღება მიიქცია პირველ რიგში ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომმა, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველო იყოფა ორ ძირითად ნაწილად – ქართლად და კახეთად. ამ ორი უმთავრესი რეგიონიდან ვახუშტი გამოყოფს ცალკეულ კუთხეებსა და მიკროერთეულებს, მაგრამ ამ დაყოფაში შეინიშნება ერთგვარი გათანაბრება, როდესაც თითქმის ერთ სიბრტყეზეა წარმოდგენილი მთიულეთი, გუდამაყარი, ბაზალეთი, არაგვისპირი, გრემისხევი თუ ხორხი. დიფერენცირებული მიდგომა კი საჭიროებდა ერთ შემთხვევაში ეთნოგრაფიული ჯგუფებით დასახლებული კუთხეების, ხოლო მეორე შემთხვევაში ლოკალური ტერიტორიული ერთეულების გამოყოფას. მხედველობაში მაქვს იმის გათვალისწინება, რომ შეუძლებელია ბაზალეთი, არაგვისპირი, გრემისხევი თუ ხორხი ცალკეულ ეთნოგრაფიულ კუთხეებად წარმოვიდგინოთ, ხოლო მათი მოსახლეობა ეთნოგრაფიულ ჯგუფებად მივიჩნიოთ. მთიულეთთან, გუდამაყართან თუ ხევთან მიმართებაში ეს ტერიტორიული ერთეულები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდებულნი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებად, თუ ეთნოგრაფიული ჯგუფების სახით იარსებებდნენ ბაგალელნი, არაგვისპირელნი, გრემისხეველნი ან ხორხელები. ეთნოგრაფიულ ნომინაციაში კი მათი ლოკალიზაცია ეთნოგრაფიული ჯგუფებით დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებად გაუმართლებელი იქნებოდა.

კონკრეტული მონაცემების მიხედვით, მაგალითად, ბაგალეთი შიდა ქართლის ერთ-ერთი მიკროერთეულია, მაგრამ იგი ისეთივე რანგის კუთხეს არ წარმოადგენს, როგორსაც წარმოადგენენ მთიულეთი, გუდამაყარი და ხევი. ბაგალეთი ვერ ჩამოყალიბდა ამ ტიპის კუთხედ, ხოლო მისი მოსახლენი ქართლელებია და არა ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი ბაგალელთა სახით, განსხვავებით ისტორიულად ფორმირებული მთიულეთის, გუდამაყრისა და ხევის მოსახლეობისაგან, რომელთა ნომინაციაში ფიგურირებენ ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდებანი: მთიული, გუდამაყრელი, მოხევე.

შემთხვევითი არ არის, რომ ვახუშტი არ იძლევა ბაგალეთის, არაგვისპირის, გრემისხევის და ხორხის მკვიდრთა ეთნოგრაფიულ დახასიათებას, განსხვავებით მთიულეთის, გუდამაყრის ან ხევის მოსახლეობის ამ თვალსაზრისით მიდგომისაგან. ბაგალეთის, არაგვისპირის, გრემისხევის და ხორხის „კაცნი და ქალნი“ ისტორიკოსს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არ აინტერესებს, ვინაიდან მისი გაგებით ისინი ქართლელები არიან. ვახუშტისათვის ცნობილი იყო, რომ ქართლის მთიანეთში ისტორიუ-ეთნოგრაფიულ კუთხეებად ჩამოყალიბდა მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ხევი და თრუსო ორი არაგვის – მთიულეთ-გუდამაყრისა და ხევის არაგვის ხეობებში, ხოლო ცხრაზმა ქსნის ხეობაში. თუმცა ისიც შეინიშნება, რომ ვახუშტიმ არც ჭართალელთა და ხანდოელთა ეთნოგრაფიული დახასითება მოგვცა, რაც, ალბათ, ერთგვარი დაუდევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობით აიხსნება. ეს მაშინ, როდესაც მის მიერ შედგენილ რუკაზე ჭართალიც და ხანდოც ცალ-ცალკეა გამოყოფილი.

ვახუშტისეული დიფერენცირებული მიდგომა ამ შემთხვევაში იმ თვალსაზრისმა განაპირობა, რომ ნებისმიერი ტერიტორიული ერთეულის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხედ ფორმირებისათვის აუცილებელი იყო როგორც მისი ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურება, ისე განსაკუთრებით მისი მოსახლეობის კუთხური თვითშეგნება. ამგვარი ნიშნებით არ ხასიათდებიან ქართლის ზემოხსენებული ლოკალური ერთეულები (ბაზალეთი, არაგვისპირი, გრემისხევი, ხორხი), რისთვისაც ისინი შიდა ქართლის სანახების მდგომარეობაში დარჩნენ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებად ვერ ჩამოყალიბდნენ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დახასიათდეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყნად, თუკი მის მკვიდრთა ეთნოგრაფიული თავისთავადობაც, ინდივიდუალობაც სახეზეა და ისინი განსაზღვრული ეთნოტერიტორიული ჯგუფის დონეზე ფუნქციონირებენ. ე. ი. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარედ ითვლება ის ტერიტორიული ერთეული, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზღვრებში წარმოჩნდება, კულტურულ-ისტორიული ინდივიდუალობით გამოირჩევა და ეთნოგრაფიული ჯგუფის ოდინდელი ან თანამედროვე განსახლების დისლოცირების არეალს წარმოადგენს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე არის მიწა-წყლის ის მონაკვეთი, რომელიც ერთი მხრივ მტკიცედ ლოკალიზებული ტერიტორიული ერთეულის სახით უსათუოდ ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზღვრებშია მოქცეული და მეტ-ნაკლებად ზუსტ ეთნოკარტოგრაფირებას ექვემდებარება, ხოლო მეორე მხრივ კულტურულ-ყოფითი ინდივიდუალობით ღირსშესანიშნავი ლოკალური ეთნოტერიტორიული ჯგუფის ოდინდელი ან თანამედროვე დისლოცირების არეალს წარმოადგენს. მაშასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამე, ეს არის არა მარტო ისტორიულად ცნობილი გეოგრაფიული ტერიტორიული ერთეული, არამედ ისტორიულად ცნობილი ეთნოგეოგრაფიული ერთეული.

აღნიშნულის კვალობაზე მიზანშეწონილად მიმაჩნია ქართული ენციკლოპედიის ზოგად ტომში შეტანილი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციათა რუკის იმ ნაწილის მართებულობა, რომ ბაზალეთი და მუხრანი საგანგებოდ გამოყოფილ დამოუკიდებელ პროვინციათა სახით კი არ არის შეტანილი, არამედ განთავსებულია შიდა ქართლის ტერიტორიაზე. ამის პარალელურად კი გაუმართლებელია, რომ ცხრაზმა ცალკე გამოყოფილი არ არის. რუკაზე ასევე ცალ-ცალკე დატანილი უნდა ყოფილიყო გუდამაყარი, ჭართალი და ხანდო. ყოველ შემთხვევაში, თუ ამგვარი გამოყოფა მოუხერხებელი იყო, რუკის შემდგენელს ის მაინც უნდა ეფიქრა, რომ ცალკე გამოეყო პროვინცია „არაგვის“ სახელწოდებით (შდრ. „მწყემსი მუხრანისი, ორისავე არაგჯსა და ბაზალეთისა“). ეს რამდენადმე გამართლებული იქნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ ორივე არაგვი (მთიულეთ-გუდამაყრისა და ხევის) ქართლის სანახები კი არ არის, არამედ ქართლის მთიანეთში შემავალი რეგიონებია, რომელნიც მოიცავენ დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულ კუთხეებს მცირე მოუცლობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციების სახით.

ეთნოგეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით პირველ ყოვლისა უნდა განისაზღვროს ისტორიული მეცნიერების ორი დარგის – ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ობიექტი. მკვლევარს უნდა ახსოვდეს, რომ ისტორიული გეოგრაფია სწავლობს ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანას თავისი მდებარეობით, მთით და ბარით, წყლით, ტყით, ნადირით, სახნავით თუ უხნავით. მისგან გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვავებით ეთნოგრაფიული კვლევის არე მოიცავს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყანას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი ცნება სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე ჯეროვნად გამიჯნული არ არის. გაუმართავია შესაბამისი ტერმინოლოგია და დაზუსტებას საჭიროებს ტერიტორიული ერთეულების აღმნიშვნელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა **ხევი, ხეობა, სოფელი, ქვეყანა, არე, სანახი**. იგივე შეიძლება ითქვას შედარებით გვიან შემოსულ ტერმინებზე: **მხარე, კუთხე, რაიონი, ოლქი, რეგიონი.**

მეორე აზრი არ უნდა არსებობდეს, რომ კვლევის ინტერესები საჭიროებს ტრადიციული და შედარებით გვიან შემოსული ტერმინების ფრთხილ შეჯერებას და მართებულ შინაარსობრივ კოორდინაციას, რაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. ეს იმითი აიხსნება, რომ დღემდე ვერ განხორციელდა ისტორიულ დისციპლინათა, უწინარეს ყოვლისა, ეთნოგრაფიისა და ისტორიული გეოგრაფიის კვლევის არეალების შემოფარგვლა, ამ ორი დისციპლინის შესაძლებლობათა მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება, რის გამო ისინი მექანიკურად იჭრებიან ერთმანეთის კომპეტენციის სფეროში. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება ის ფაქტი, რომ ეთნოგრაფები თითქმის ჩამოცილდნენ თავიანთ ძირითად საკვლევ ბაზას – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჭრილში შესწავლის საგნად აქციეს. არადა ნებისმიერი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა თავისთავად ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანაცაა – მას გააჩნია თავისი ისტორიულად ფორმირებული გეოგრაფიული საზღვრები, რამაც დააბნია ეთნოგრაფები. მათ ჩათვალეს, რომ ამ ქვეყანათა შესწავლა მხოლოდ ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტთა საქმეს წარმოადგენდა, რაც სერიოზულ შეცდომად შეფასებას იმსახურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე იმაშია, რომ ნებისმიერი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა (მაგალითად: ხევსურეთი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა და ა. შ.) ამავე დროს ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანასაც ან ისტორიულ-გეგორაფიული ქვეყნების კრებულს წარმოადგენს, მაგრამ ყველა ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა ან ამ რიგის ქვეყნების კრებული არ წარმოადგენს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყანას. მაგალითად, ბაზალეთი, მუხრანი, საამილახვრო, თორი, თრიალეთი წარმოადგენენ ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყნებს, მაგრამ ისინი თავისი დიალექტური და ყოფითი თავისებურებებით აღჭურვილ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყნებად არ ჩამოყალიბებულან და ქართლის, ვითარცა ვრცელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყნის შემადგენელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყნებად განიხილებიან. არ შემუშავებულა ცნება „მუხრანელი", „თრიალეთელი", „თორელი" ისეთივე მნიშვნელობით, როგორი შინაარსითაც ცნობილია „ქართლელი", „კახელი", „მოხევე", მთიული", „გურული" და ა. შ.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა არის გარკვეული ტერიტორული ერთეული გეოგრაფიულად ფორმირებული საზღვრებით. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა არის გარკვეული ტერიტორიული ერთეული გეოგრაფიულად ფორმირებული საზღვრებით, რომელიც თავისი მოსახლეობითურთ მკვეთრად განსხვავდება სხვა მხარეებისაგან. განსხვავება ძირითადად გამოიხატება დიალექტისა და ეთნოგრაფიული თავისებურებების პრივალირებაში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა უფრო ვრცელია, რომელშიც შეიძლება შედიოდნენ ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები (მაგალითად, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყანა ქართლში შედის მხარეები: მუხრანი, ბაზალეთი, საამილახვრო, სამაჩაბლო, სომხითი, თორი, თრიალეთი), მაგრამ ისტორიულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული ქვეყანა არ აერთიანებს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყნებს.

მაინც რა კანონზომიერებით ხდება ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყნის ჩამოყალიბება? – ცხადია ეთნოგრაფიული ჯგუფისა და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ რომელიმე ტომის დისლოცირების ტერიტორია თავისთავად უკვე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყნად ფორმირების ტენდენციას ამჟღავნებს. მაგალითად: თუშების ტომი – თუშეთი, ინგილოს ტომი – საინგილო, მესხების ტომი – მესხეთი, ჯავახების ტომი – ჯავახეთი, ქართლის ტომი – ქართლი, კახეთის ტომი – კახეთი, ზანის ტომი – საზანო, ლაზის ტომი – ლაზიკა, სვანის ტომი – სვანეთი, წანარის ტომი – წანარეთი, დვალეთის ტომი – დვალეთი... ტომი შეიძლება გადიდდეს მოსახლეობით და განსახლების ტერიტორიით (მაგალითად სვანის, ზანის ან ქართლის ტომი). გაფართოვების საფუძველია ძირითადად სამოსახლო მიწა-წყლის გაზრდა. მაგალითად, ქართის ტომმა საკუთრივ ქართლის გარდა დაიკავა სხვა მხარეებიც: არაგვის ხეობა, ქსნის ხეობა, მტკვრის მთელი ხეობა. ჩნდება ტერიტორიული ერთეულები: მუხრანი, თორი, აჭარა, იმერეთი, არგვეთი და ა. შ. ამ ალაგებს შეერქვა აღწერილობითი სახელწოდებანი, მაგრამ ეს არის ქართი – იმერელი, ქართი – აჭარელი, ქართლი – მუხრანელი... დროთა განმავლობაში წარმოიქმნა ჯერ ისტორიულ-გეოგრაფიული, შემდეგ კი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა. გამოდის, რომ ზოგი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა ამჟღავნებს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყნად გადაქცევის ტენდენციას, ზოგი კი არა, რაც სხვადასხვა ფაქტორით აიხსნება: 1) ტერიტორიული იზოლაცია, ცენტრთან სუსტი კავშირი; 2) უცხო ეთნიკურ სამყაროსთან კონტაქტი და სინთეზი უცხო ელემენტთან – ადაპტაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაიშვიათად ქვეყნები ხევ-ხეობების ფარგლებში ყალიბდება, ზოგჯერ კი ისინი ფართოვდება და რამდენიმე ხეობას მოიცავს.

სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ორგანიზებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დარაიონება ზოგჯერ ემთხვევა და ზოგჯერ კი არა ისტორიულ-გეოგრაფიულსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ დარაიონებას. თქმულის საილუსტრაციოდ დავიმოწმოთ ფარნავაზის დროინდელი საერისთავოები (ადმინისტრაციული ერთეულები): 1. მარგვი, 2. კახეთი და კუხეთი, 3. გარდაბანი, 4. ტაშირი და აბოცი, 5. ჯავახეთი, კოლა და არტაანი, 6. სამცხე და აჭარა. 7. კლარჯეთი, 8. ეგრისი, 9. შიდა ქართლი. ასევე საყურადღებოა ვახტანგ გორგასლის დროინდელი დარაიონება: 1. შიდა ქართლი, 2. კახეთი და კუხეთი, 3. ჰერეთი, 4. ხუნანი, 5. სამშვილდე, 6. შიდა ეგრისი და სუანეთი, 7. მარგვი და თაკუერი, 8. კლარჯეთი, 9. ცუნდა, 10. ოძრახე.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დარაიონება ნაწილობრივ ესადაგება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ დარაიონებას, მაგრამ ამ მომენტის იდეალიზაცია არ შეიძლება. მაგალითად, ქართულ ენციკლოპედიაში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პიროვინციათა რუკაზე გამოსახულია: შიდა ქართლი, ხევი, მთიულეთი, მაშინ როდესაც ხევიც და მთიულეთიც შედიოდა შიდა ქართლში, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრრაციულ ერთეულში და ამდენად, ისინი არ წარმოადგენდნენ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს. სისრულისათვის აქვე წარმოვადგენთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყნების ნუსხას 29 ერთეულის სახით: 1. ქართლი, 2. კახეთი, 3. ქიზიყი, 4. საინგილო, 5. თუშეთი, 6. ხევსურეთი, 7. ფშავი. 8. თიანეთი, 9. ერწო, 10. ხევი, 11. მთიულეთი, 12. გუდამაყარი, 13. ჭართალი, 14. ხანდო, 15. ქსანი, 16. დვალეთი, 17. ჯავახეთი, 18. მესხეთი, 19. იმერეთი, 20. სვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთი, 21. რაჭა, 22. ლეჩხუმი, 23. სამეგრელო, 24. გურია. 25. აჭარა, ლაზეთი (ან ჭანეთი), 27. ტაო. 28. კლარჯეთი, 29. შავშეთი.

იმისათვის, რომ გავერკვეთ არსებობდა თუ არა ტომი „ქართი", აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ეთნონიმიკაში გვაქვს აღწერილობითი სახელები: ყვარა-ყვარელნი, ხადა-ხადელნი, ხევი-მოხევე, ცხრაზმა-ცხრაზმელი, ჭართალი-ჭართალელი, ხანდო-ხანდოელი, იმერეთი-იმერელი, რაჭა-რაჭველი, ქსანი-ქსნელი, ლეჩხუმი-ლეჩხუმელი, გუდამაყარი-გუდამაყრელი, მთიულეთი-მთიული, ხესურეთი-ხევსური, ფშავი-ფშაველი, ფხოვი-ფხოველი, აჭარა-აჭარელი, გურია-გურული, ეგრისი-მეგრელი.

როგორც ვხედავთ, ადგილის სახელწოდებიდანაა ნაწარმოები მოსახლეობის სახელწოდება. გვხვდება ისეთი სახელებიც, რომლებიც ადგილის სახელწოდებიდან მომდინარეობენ, მაგრამ ტომობრივ სახელწოდებამდე არ ამაღლებულან: წილკანი-წილკნელი, სტეფანწმინდა-სტეფანიელნი, ჟამური-ჟამურელნი, თრუსო-თრუსოელნი, თორი-თორელნი, გარდაბანი-გარდაბანელნი. მეორე შემთხვევაში კი გვაქვს ტომობრივი სახელები: სვანი-სვანეთი, ლაზი-ლაზეთი (ლაზიკა), დვალი-დვალეთი, წანარი-წანარეთი, მესხი-მესხეთი, ჯავახი-ჯავახეთი, შავშ-კლარჯი-შავშ-კლარჯეთი, ინგილო-საინგილო, ჰერი-ჰერეთი.

წარმოდგენილი ჩამონათვალის ანალოგიურად **ქართლი**-საგან არის ნაწარმოები **ქართელი//ქართველი**. თვით ქართლის უძველეს სახელწოდებად შეიძლება ვიგულისხმოთ **ქართა//ქართი**, რომლის მკვიდრთ შესაძლოა თავდაპირველად რქმეოდათ **ქართები**. როგორც ჩანს მათი ექსპანსია ვრცელდება მეზობელ ეთნიკურ სამყაროზე, რისი შედეგიცაა მოსახლეობის ქართიზაციის პროცესი, მაგრამ ეს არ უნდა აგვერიოს ქართველიზაციის პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ფიცისა და მოფიცრობის ტრადიცია

გვარებს, ოჯახებსა და ცალკეულ პირებს შორის სადავო საკითხების წამოჭრასთან დაკავშირებით საქმეში ერეოდა ერთ შემთხვევაში სოფელი ან თემ-საზოგადოება, ხოლო მეორე შემთხვევაში სამეფო ხელისუფლება. ნებისმიერი დავის გარკვევა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა როგორც ადათობრივი, ისე სახელმწიფო სამართლით. ხალხური სამართლით მოქმედებდნენ უმთავრესად სანათესაო და სამეზობლო ურთიერთობაში. სამეფო ხელისუფლების, საუფლისწულოს თუ საერისთავოს წარმომადგენელი მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით სადავო საქმის განსჯაში მონაწილეობდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თემ-საზოგადოებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდებოდა.

ეთნოგრაფიული მასალებით, საისტორიო დოკუმენტებით და სამართლის წიგნებით ცნობილია, რომ ურთიერთშორის დავის საფუძველს ქმნიდა ერთ შემთხვევაში მძიმე დანაშაული მკვლელობის ან დაჭრის სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში ეკონომიკური ანგარიშსწორება. იმის გამო, რომ მომხდარი დანაშაული ობიექტურად შეფასებულიყო და მოსალოდნელი შურისძიებით მდგომარეობა კიდევ უფრო არ გამძაფრებულიყო, შექმნილი ვითარების განსჯაში მონაწილეობდნენ სოფლის ან თემ-საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები თემის კაცების სახით, რომლებიც მედიატორების მოვალეობას ასრულებდნენ. მათი მსჯელობა ეფუძნებოდა მამა-პაპურ ტრადიციას, რომლით ხელმძღვანელობა გამორიცხავდა ტენდენციურ მიდგომას. ამ პრინციპით საქმის განსჯის საბოლოო შედეგი იყო ნდობით აღჭურვილი მედიატორების საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის დარღვევა შეუძლებელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადათობრივი სამართლის მოქმედების პირობებში სოფლის ან თემის კაცების ჩარევით ხდებოდა ისეთი სახის დანაშაულის კვალიფიკაცია, როგორიც იყო ქურდობა, სხვისი ქონების ხელყოფა, საოჯახო დოვლათის მითვისების მცდელობა, საადგილმამულო დავა, ადამიანის დამცირება მისი ცემით ან სიტყვიერი შეურაცხყოფით, კანონიერი საქორწინო ურთიერთობის დარღვევა ქალის მოტაცების გზით და საერთოდ ცხოვრებისეული ნორმების უგულვებელყოფა.

მეტ-ნაკლები სიმძიმის დანაშაულის შეფასებისა და აღკვეთის მიზნით ადათობრივ სამართალწარმოებაში მონაწილე შუაკაცები შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე სარგებლობდნენ მოწმეების დაკითხვის პრაქტიკით, განსაკუთრებით კი სახელოვან მეთემეთა ჩვენებით, ხოლო უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოფიცრობის ტრადიციას, ე. ი. მტკიცებულების საფუძვლად ფიცის გამოყენებას. მოფიცარი კი უმთავრეს შემთხვევაში იყო სამართლის დამცველი მოდავე ან საქმეში ჩახედული გარეშე პირი.

განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდა იმ პიროვნებას, რომელიც თავისი სიმართლის დამტკიცებისათვის სახალხოდ დაიფიცავდა. სიცრუის შემთხვევაში კი ის მძიმე საზოგადოებრივ სასჯელს ვერ აცდებოდა. ნათქვამის დამადასტურებელია ვალერიან ითონიშვილის მიერ ხევში ჩაწერილი ერთ-ერთი ცნობა (ყაზბეგი, 7.IX.1954 წ. მთხრ. ივანე პავლეს ძე ეფხოშვილი, დაბად. 1883 წ.): სოფელ სნოს მამასახლისად ყოფილა ერთ-ერთი გაიძვერა და მატყუარა კაცი. მას განუზრახავს ტიალად (ბეითალმანად) დარჩენილი ყანის მისაკუთრება. ამ მიზნით სოფლისთვის განუცხადებია, რომ ეს ყანა მისმა პატრონმა მე მიანდერძაო. ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი მას არ ჰქონდა. ამიტომ სოფელი აუჯანყდა და თემის კაცებმა სიმართლის დასამტკიცებლად სახარებაზე დაფიცვა მოსთხოვეს. იმ გაიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერამაც ასეთ ხერხს მიმართა: ჩაფხუტებში ჩაყარა თავის საკუთარი ყანის მიწა და ფეხებზე ასე ჩაიცვა. დადგა იმ სადავო (ტიალ) ყანაში და სახარებაზე დაიფიცა: ხატსა და ღმერთს ვფიცავარ, რომ ფეხები ჩემი მამულის მიწაზე მიდგასო. ცხადია, სინამდვილეში ფეხები ფეხსაცმელში ჩაყრილ თავის ყანის მიწაზე ედგა. სოფელი ყოყმანობდა, ამგვარი ფიცით მას თითქოს უნდა გაემარჯვა, მაგრამ ერთ-ერთ თანასოფლელს შეუნიშნავს, რომ ჩაფხუტები ძალიან გაბერილი იყო და მიუხვდა ეშმაკობას. მან ამის შესახებ აცნობა თემის კაცებს. ფეხსაცმელები გაახდევინეს, მიწა გადმოაყრევინეს და უბრძანეს – აი ეხლა დაიფიცე თუ ეს ყანა შენიაო. ღვთის შიშით მან ფიცი ვეღარ გაბედა და სოფელიც დარწმუნდა მის სიცრუეში. ასეთი ტყუილის გამო მას მაგრად სცემეს და მხოლოდ ხვეწნა-მუდარით გადაურჩა ჩაქოლვას ან თემიდან მოკვეთას.

დამოწმებული ფაქტი ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ საზოგადოება რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიცს და რამდენად შეუწყნარებელი იყო მისი ბოროტად გამოყენება. ფიცის რწმენა არეგულირებდა ადამიანთა ურთიერთობას და მას ამიტომ ანიჭებდნენ განსაკუთრებულ როლს ნებისმიერი სადავო საკითხის განხილვის პროცესში.

გარდა ადათობრივი სამართლისა, ფიცს დიდი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული სახელმწიფო სამართალშიც, რისი დამადასტურებელიცაა არაერთი წერილობითი დოკუმენტი თუ ქართული სამართლის წიგნების შესაბამისი მონაცემები. საილუსტრაციოდ დავიმოწმებ ზოგიერთ მათგანს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს საბუთები სვეტიცხოვლის მამულების შესახებ:

1) „გამოფიცულობის წიგნი ქრისტეფორე კათალიკოზისა სვეტიცხოვლის მამულების საქმეზე“ (1651 წ. 2 იანვარი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 95-96); 2) „სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლის წიგნი ქრისტეფორე კათალიკოზისა სვეტიცხოვლის მამულის საქმეზე“ (1654 წ. 2 იანვარი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 96-97); 3) განაჩენი ერეკლე მეორისა კახეთში სვეტიცხოვლის მამულების შესახებ“ (1753 წ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 421-422).

ხსენებული სამი დოკუმენტიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მეორე მათგანი, საიდანაც ჩანს, რომ სვეტიცხოველს თავისი მამულები ჰქონდა კახეთის მთიანეთში. სვეტიცხოველს ამ მამულებს ეცილებოდნენ ჭივჭივაძე მამუჩი, მისი ძმისწულები გიორგი და გულბათი და მათი განაყოფი იასონი, ხოლო ცოტა რამ ვაჩნაძიანთაც ილაპარაკეს. ეს ამბავი მოახსენეს მეფე როსტომს, რომელმაც „კახეთის სარდალს ერისთავს ზაალს უბრძანა და ყორჩიბაშს ბარამსა და სუფრაჯს ბიძინასა. სამართალი იმათზედ დადვეს ჯელმწიფის ბრძანებითა“. ეს სადავო საკითხი მეფისა და ზაალ ერისთავის ბრძანებით გარიგდა: წინანდლის საზღვრებამდეც მამულები სვეტიცხოველს დარჩა. ამ გადაწყვეტილების საფუძვლად დაედო ანთა ბუშატის ჩვენება, რაც თავისთავად ფიცის ტოლფასი იყო.

განჩინების მიღებისათვის ფიცის დადების მნიშვნელობას გვაუწყებს 1751 წლის „განჩინება სეხნია ზუბიაშვილისა და ბერი დავითაშვილის მამულების საქმეზე“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 402-403): „ქ. ასე რომე, სეხნია ზუბიაშვილის ცოლ-შვილს ბერის დავითაშვილის ცოლი მიწებზე უჩიოდა. ჩვენ ბატონმა ამილახორმა ამირინდომ ეს სამართალი უყავით: სეფისკვერზე პავლე წადგეს სეხნია ზუბიაშვილის საფლავზე და ასე ცოდვა აიკიდოს, რომე: „სეხნია ზუბიაშვილო, შენი ცოდვა ჩემი იყოს, თუ ეს მიწები ტყუილათ არა გჭეროდეს და ეს წიგნიც ტყუილი არ იყოს. თუ ასე ვერ გამოიცადოს, ზუბიაშვილის ცოლ-შვილს დარჩეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტიდან ჩანს, რომ „ცოდვის აკიდების“ პირობა ფიცის დადების ტოლფასია, რაზედაც მიგვითითებს კიდევ ერთი საბუთი: „ტბისს მანგლელის ზვარზე სარჩლობდეს. ღამბარაშვილმა ასრე ოთარის ცოდვა საფლავზე შედგომით აიკიდოს... რომ ცოდვაში ესეც ჩაიტანოთ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 204). ამ დოკუმენტის მიხედვით საქმე გვაქვს საფლავზე შედგომით და დაფიცებით „ცოდვის აკიდების“ ჩვეულებასთან, რომლის იდენტურია მთიანეთში ცნობილი ფიცითა „მიწის ცოდვის აკიდება“.

ფიცს რომ საადგილმამულო დავაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ჩანს 1779 წელს შედგენილი დოკუმენტიდანაც („განჩინება ქაიხოსრო სახლთხუციშვილისა და ქავთარ ახალაურის მამულის საქმეზე“; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, **ი. დოლიძის** გამოცემა, თბ., 1974, გვ. 95). „განჩინებაში“ აღნიშნულია, რომ ქაიხოსრო სახლთხუციშვილი ქავთარ ახალაურს ვენახის ნაკვეთს ედავებოდა და მის მიჩემებას ცდილობდა. საქმეში ჩარეულა მდივანბეგი, რომელსაც განუმარტავს: „რადგან ის მამული ახალაურს ჯელთ ქონდა, ჩვენ სამართლის ძალით ფიცი ახალაურს დავადევით, რომ უნდა დაეფიცნა და მამული იმას დარჩომოდა. რადგან რომ ვერ დაიფიცა, ის ერთის ცალის ვენახში დარჩა ქაიხოსროს სახლთხუციშვილის სამართლის ძალით“. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ფიცს სამართლის ძალა ჰქონდა და მისი გაუმართლებლობის შემთხვევაში დავაც დამთავრებულად ითვლებოდა.

ფიცის როლი ასევე ნათლადაა გამოკვეთილი 1794 წლის 17 ივნისს შედგენილ დოკუმენტში („არზა ფშაველებისა მამულის თაობაზე ერეკლე მეორის ოქმით“; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, **ი. დოლიძის** გამოცემა, თბ., 1985, გვ. 280). ამ არზაში ნათქვამია: „ღმერთს ვფიცავთ და თქვენს მზეს მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფშაველი და ხევისბერი და თემის უფროსი. ჩვენო ხელმწიფევ! ჭიჩოველთ და გაბიდაურთ ფიცის დღეს იქ დავესწარით თქვენის ბრძანებით. განაჩენშიც ისე აცხადებდა, თქვენის მოძმის დროშით მიჯნა ჩაესვათ. ჭიჩველებმა მეორე დღეს ის მიჯნა ისევ ამოყარეს და დააქცივეს. თქვენი ბრძანებაც გატეხეს და თქვენი მოძმისაც. ერთობით ფშაველი მოგახსენებთ, როგორც თქვენ თოფს არ გესვრით, ისე ამ ფიცის მოშლა არ შეიძლება". არგის თავში ჩაწერილია ერეკლე მეორის ბრძანება:

„ჩვენი ბრძანება არის თიანეთის მოურავის შვილო დიმიტრი და ხიმშიაშვილო გოგიავ! მერე გაბიდაურებს და ჯიმშიტაშვილებს როგორც ჩვენგან გასამართლებული განაჩენი უჭირავსთ, ის განაჩენი როგორც აცხადებს, თქვენ უნდა მიხვიდეთ და რომელიც ვადა ეწეროს, იმ ვადაზედ ესენი დააფიცო.

თუ შეჰფიცეს როგორც განაჩენში აცხადებს ისე, მაშინ ის მამული ამათ უნდა დაანებოთ. და თუ ისე ვერ შეჰფიცეს, მასუკან ის მამული ისევ წიჩოელებს დარჩება. ეს ასრე უნდა აღასრულოთ".

ამ დოკუმენტის მიხედვითაც სრული სიცხადით ჩანს, რომ სააღგილმამულო დავაში ფიცს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი დარღვევის შემთხვევაში მეფე საჭიროდ სცნობდა ფიცის განახლებას, რომლის დადება საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველი იყო და შემდგომი განსჯა მნიშვნელობას კარგავდა.

მეფესთან ერთად ფიცს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა უფლისწულიც, რომლის დამადასტურებელია „არგბა პეტრეშვილებისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით" (1794 წ. 10 სექტემბერი; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 292). დოკუმენტი გვაუწყებს: „ქ. ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის ჭირი ხანდოვლებს პეტრეშვილებს მოსცეს. ამას მოგახსენებთ, სახნია ჩვენი სახლისკაცი მამულს შემოგვეცილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფირან მოურავმა მიგვაცემინა. ახლა ჩვენ წავედავეთ ერთს მამულზედა, ფიცი დაადვა ფირანმა. მოლარეთ უხუცის სიტყვით ან შეფიცეო და ან მამული დაანებეო. არც დაიფიცა და არც მამული დაგვანება. ამ მამულის სათხოვრათ რომ მივედით, დამკრა კეტი თავში და თავი გამიტეხა, და მას უკან ასე ამაჩნდა თავში ეს. გასამართლებული მამულიც წართმეული გვაქვს და მაგისი გალახულობით დაშავებული შავიქენი. და ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი გვაღირსეთ".

არზას ახლავს ვახტანგ ბატონიშვლის რეზოლუცია: „მოუარო იოსებ, ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, სამი ოთხი ამათი მეზობელი, რომელიც დამსწრე და მახსოვარი იყოს, ისინი მოაყვანინე, თან დაისწარ, კიდევ გამოიძიეთ, კარგა ზედმიწევნით შაიტყევით. თუ გასაყოფად გამოჩნდეს, გაუყავით; და თუ ფიცი გაუჩნდებოდეს, ფიცით გასწმინდონ. და თუ ვერც ერთი ვერ შეიძლოთ, ისევ ჩვენთან ილაპარაკონ".

უფლისწულის რეზოლუციიდან ნათლად ჩანს თუ სადავო საქმის მოგვარებაში რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფიცს, რომლის დადება მოწმედ მონაწილე მეზობლების თანდასწრებით უნდა შესრულებულიყო. უფლისწული მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუსმენდა მოდავე მხარეებს, თუ ვითარების დარეგულირება ფიცით ვერ მოხდებოდა.

ადათობრივი სამართლისა და ზემოთ განხილული დოკუმენტების პარალელურად ყურადღებას იქცევს სახელმწიფო სამართლის წიგნების შესაბამისი მუხლები, რომელთა კვალიფიკაციის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ საპროცესო ნორმებში შუაკაცობის წესთან ერთად თავისი ადგილი ჰქონდა განკუთვნილი ფიცისა და მოფიცრობის ინსტიტუტს, როგორც დამამტკიცებელ საბუთთა მნიშვნელოვან საშუალებას. „ფიცი და მოფიცრობა მთლიანად ძველი ადათობრივი სამართლის ინსტიტუტია. ძველად, როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოფიცრის როლში, ჩვეულებრივად ნათესავები ან სახლის კაცები გამოდიოდნენ, მოფიცრობა დაზარალებულისა და მოპასუხისათვის მის ნათესავს ან ახლო მეგობელს უნდა გაეწია" (ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 94).

ფიცის გამოყენების დამადასტურებელია პირველ ყოვლისა ბექას და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები, რომელთა მიხედვითაც მოფიცარი ვალდებული იყო ფიცით დაემტკიცებინა, რომ პატიოსანი კაცის გამართლებისათვის ირჯებოდა. ამ პრინციპის დაცვით მოფიცრობა სხვადასხვა სახის სადავო საქმის განხილვისას იყო გამოყენებული. ამასთან დაკავშირებით ბექას სამართლის წიგნის მე-4 მუხლში აღნიშნულია: „მრავალგვარი ასეთნი საქმენი არიან, ზოგსა საქმესა შიგან რომელნიმე დასახელებულნი მოფიცარნი უნდან, რომე ბჭეთა შეუსახნენ და ზოგსა – დაუსახელებელნი და ბჭეთაგან კარგა მონახვა უნდა".

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, მდგომარეობის შეფასება და საქმის განსჯა ბჭეთა მოვალეობას შეადგენდა, რომელნიც ეფუძნებოდნენ მოდავე მხარეების მიერ წარმოდგენილი დაუსახელებელი ან დასახელებული მოფიცრების ჩვენებას. „მოფიცრობის პირველი ფორმა დაუსახელებელი მოფიცრობაა. საპროცესო სამართალი როცა თავისი განვითარების პირველ საფეხურზე მხარეთა კერძო ინიციატივაზე იყო დაფუძნებული, მაშინ ბრალდებულს ან დაზარალებულს მისი გვარისეული ნათესავი უწევდა მოფიცრობას და მას „დაუსახელებელი მოფიცარი" ეწოდებოდა. როცა სასამართლო წარმოება განვითარდა, მძიმე ხასიათის დანაშაულთა გამო საჭირო გახდა მოფიცართა „დასახელება", ე. ი. „კერძო, გარეშე პირთა მოწვევა სასამართლო პროცესზე მოწმე – მოფიცრის სახით" (ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 95). მოფიცართა რაოდენობა კი საქმის სიმძიმის შესაბამისად განისაზღვრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბექას სამართალში ცნობილი „დასახელებული“ და „დაუსახელებელი“ მოფიცრის შესატყვისია ვახტანგ VI-ის სამართლის მე-11 მუხლში ხსენებული „შეგდებული და შეუგდებელი მოფიცარი“.

ქართული სამართლის ძეგლების, ცალკეული დოკუმენტებისა და მთის რეგიონებში მოქმედი დაფიცების წესების შეპირიპირება ცხადყოფს ადათობრივი და სახელმწიფო სამართლის ნორმების იდენტურობას. ისიც ნათლად ჩანს, რომ მთიანეთსა და ბარში ეს წესი ფაქტიურად ერთნაირად სრულდებოდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებულსა და მოქმედ სამართლებრივ ნორმას წარმოადგენდა. იდუნტურობა ხალხურ და სახელმწიფო სამართალს შორის განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ დაფიცების ხალხური წესი სახელმწიფო სამართალში შევიდა და სამართლებრივ ნორმად იქცა. როგორც ჩანს, ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ვახუშტი ბაგრატიონს, როდესაც წერდა: „ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათვის ჰქონდათ: სისხლი, ჯრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი“. რაც შეეხება თვით ფიცის კონკრეტულ ფუნქციას, სწავლული განმარტავს: „ხოლო ფიცი მამულის ცილობისათჳს და სხუათათჳსცა. დაიფიციან მოწმითა, რაოდენნი შეხუდის“ (**ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 18, 20).

განხილული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ტრადიციულ და სახელმწიფო სამართალწარმოებაში ფიცი და მოფიცრობა საყოველთაოდ ფუნქციონირებად საშუალებას წარმოადგენდა და მას მნიშვნლოვანი ადგილი ეჭირა უმთავრესად სადავო საკითხების განხილვაში და რეგულირებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. არაგვის საერისთავოს მმართველობის ისტორიიდან..... 3

II. ქართველ მთიელთა ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან და ფეოდალურ ზედაფენასთან (პირველად გამოქვეყნდა კრებულში – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. VI, თბ., 2004).....21

III. იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობები ქართველ მთიელთა შესახებ.....45

IV. ერთი ხალხური გადმოცემის მცდარი ინტერპრეტაცია.....57

V. ზოგიერთ უზუსტობათა გამო..... 68

VI. ეპიზოდები საარაგვოს ისტორიდან (პირველად გამოქვეყნდა კრებულში – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. VII, თბ., 2005).....75

დაიბეჭდა შ.პ.ს. „ენა და კულტურა“-ს სტამბაში
0162, თბილისი, ქ.ჩოლოყაშვილის გამზ. 3

5(·
n2/973